ISSN 0206—5681

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ფ/2
1982

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

1.1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია

# СЕРИЯ ФИЛОСОФИИ И ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

1. 1982

გამომცემლობა „მეცნიერება" • თბილისი
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა


სარედაქციო კოლეგია:

ა. ბოჭორიშვილი, თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Бочоришвили А. Т., Буачидзе Т. А., Григолава В. В. *(зам. редактора)*, Джиоев О. И. *(зам. редактора)*, Кешелава В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. *(редактор)*.

Ответственный секретарь **Ц. А. Шаламберидзе**



© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982.



რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაეცა წარმოებას 5.1.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.5.82; შეკვ. № 23; ანაწყობის ზომა $7 \times 11^1/_2$; ქაღალდის ზომა $7 \times 108^1/_{16}$; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,8; უე 05564; ტირაჟი 700;
ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებანი 70-იან წლებში . . . . . 5

## ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ, ფოიერბახის შესახებ მარქსის მეექვსე თეზისის ინტერპრეტაციისათვის . 14
Ს. ᲐᲠᲖᲣᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ (ერევანი), სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ხელოვნების პროგრესი . . . . . . . . . . . . 23
Მ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, შემთხვევითობა და მიზეზობრიობა დამატებითობის კონცეფციაში . 30
Დ. ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ, მნიშვნელობის ოთხი მოდუსი ლუისის სემანტიკური ანალიზის მეთოდში 36
Გ. ᲛᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თემატიკა რობერტ მუზილის „უთვისებო ადამიანში" . . . . . . . . 50

## ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ

Ა. ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, მასალები საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში განწყობის თეორიის განვითარების ისტორიისათვის . . . . . . . 56
Დ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, Კ. ᲑᲔᲠᲐᲫᲔ, Ფ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა, ბიბლიოთეკაში სიარულსა და სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვას შორის ფსიქოლოგიური კავშირის შესახებ . . . . . . . . 72

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ

Ფ. ᲨᲔᲚᲘᲜᲒᲘ, კანტი, ფიხტე . . . . . . . . . 82

## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ, წიგნის განხილვა . . . . . . . . . 99

## ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

საიუბილეო სესია . . . . . . . . . . 104
ლევან გოკიელის დაბადების 80-ე წლისთავი . . . . . . 107
ზურაბ კაკაბაძე (ნეკროლოგი) . . . . . . . . 109
კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე . . . . . 111
ახალი წიგნები . . . . . . . . . . 112

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

Философские и психологические науки в 70-е гг. . . . . . . 5

## ФИЛОСОФИЯ

Г. О. НОДИА, К интерпретации шестого тезиса Маркса о Фейербахе . . 14
С. С. АРЗУМАНЯН (Ереван), НТР и прогресс искусства . . . . . 23
М. Г. ДОЛИДЗЕ, Случайность и причинность в концепции дополнительности 30
Д. Д. ТЕВЗАДЗЕ, Четыре модуса значения в льюисовском методе семантического анализа . . . . . . . . . . . . . 36
Г. Т. МАРГВЕЛАШВИЛИ, Экзистенциально-онтологическая тематика в «Человеке без свойств» Роберта Музиля . . . . . . . 50

## ПСИХОЛОГИЯ

А. С. ПРАНГИШВИЛИ, Материалы к истории развития теории установки в системе советской психологии . . . . . . . . . 56
Д. А. ЧАРКВИАНИ, К. Г. БЕРАДЗЕ, Ф. Г. БОЛКВАДЗЕ, О психологической связи между повышением профессиональной квалификации, посещением библиотеки и чтением разных видов литературы . . . . . 72

## НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Ф. ШЕЛЛИНГ, Кант, Фихте . . . . . . . . . 82

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. О. НОДИА, Обсуждение книги . . . . . . . . . 99

## ИНФОРМАЦИЯ

Юбилейная сессия . . . . . . . . . . . . . 104
К 80-летию рождения Левана Гокиели . . . . . . . 107
Зураб Какабадзе (некролог) . . . . . . . . . 109
Конкурс на наилучшую работу молодых ученых . . . . . . 111
Новые книги . . . . . . . . . . . . . . 112

ეროვნული ბიბლიოთეკა

17342

# ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებანი 70-იან წლებში

გასული ათწლეული ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ეს იყო წლები, როდესაც საქართველოს მშრომელები იმ ნაკლოვანებათა დასაძლევად იბრძოდნენ, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა და ხარვეზების დაძლევა ხანგრძლივ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს, რადგან მათ თავი იჩინეს აგრეთვე ადამიანთა ღირებულებით ორიენტაციებში, მათ ფსიქოლოგიაში, განწყობილებაში, რომელთა შეცვლა ერთბაშად ვერ მოხდება, ცხოვრებამ იმაშიც დაგვარწმუნა, რომ ეს ნაკლოვანებანი მხოლოდ ჩვენი დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში კი არ შეინიშნებოდა, არამედ მეტ-ნაკლებად რესპუბლიკის ყველა რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი. უფრო მეტიც: თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ აღნიშნულ ნაკლოვანებათაგან ზოგიერთი განსაკუთრებით იყო გავრცელებული ჩვენში, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლას მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. ცხოვრება გვასწავლის, რომ ნაკლოვანებანი ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში, კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში, მოსახლეობის მომსახურებაში, იდეოლოგიურ მუშაობაში, ნეგატიური მოვლენები ვრცელდება ყველგან, სადაც თავს იჩენს ხელმიშვებულობა და სუსტდება ეკონომიკისა და კულტურის ჰარმონიულ განვითარებაზე მიზანდასახული ზრუნვა, სადაც არ ითვალისწინებენ ყველა იმ უარყოფით შედეგს, რაც შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სულიერ მოთხოვნილებათა წარმართვასა და დაკმაყოფილებაზე ზრუნვის შესუსტებას, მომხმარებლური ტენდენციების მომძლავრებას, რაც შეიძლება გამოიწვიოს სულიერი კულტურის დონის შედარებითმა ჩამორჩენამ მოხმარების საგნების მასობრივი წარმოების ეპოქაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს უარყოფითი მოვლენების დაძლევას, არა აქვს მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა, ხოლო რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების შესწავლა, მათი განზოგადება საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიერ მხოლოდ კონიუნქტურულ მიზანს როდი ისახავს, არამედ თვით ამ მეცნიერებათა შემოქმედებითი განვითარების საფუძველს წარმოადგენს. საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესები სულ უფრო მეტი სირთულით ხასიათდებიან და მათი წარმართვა სულ უფრო მეტად საჭიროებს მეცნიერებაზე დამყარებას, სულ უფრო ცხადი ხდება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირის აუცილებლობა.

გასული ათწლეული მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ქართული ფი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოსოფიური მეცნიერებისათვისაც. საქართველოში ამ დროს დასაწყისისათვის ფილოსოფიური კვლევის კარგი ტრადიციები არსებობდა. ახალი ქართული ფილოსოფიური სკოლისათვის, რომელსაც ჩვენი ეპოქის დასაწყისში მიეცა დასაბამი, დამახასიათებელი იყო კვლევის ფუნდამენტურობა, ფილოსოფიის ისტორიაზე და თანადროული მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების საფუძვლიან ცოდნაზე დამყარება, მკაცრი ლოგიკურობისა და დასაბუთებულობისაკენ მისწრაფება. ეს ტრადიციები მიიღო მემკვიდრეობად მკვლევართა ახალმა თაობამ, რომელსაც დაეკისრა ამ ტრადიციების გაგრძელება და განვითარება. ცხოვრებამ მოითხოვა ფილოსოფიის დარგის მუშაკებისაგან არა მარტო ფილოსოფიური კულტურის მაღალი დონის შენარჩუნება, არამედ აგრეთვე ახალი პრობლემების ინტენსიური კვლევა. პრობლემებისა, რომლებიც წინ წამოსწია საზოგადოებისა და მისი კულტურის განვითარებამ. საქართველოს ფილოსოფიურ ცხოვრებაში უკვე შეიმჩნეოდა მობრუნება ახალი პრობლემატიკისაკენ, რომელიც უფრო უშუალოდ იყო დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტასთან. ამას მოწმობდა საკავშირო სიმპოზიუმის მოწყობა ღირებულების პრობლემაზე თბილისში 1965 წელს, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბება ფილოსოფიის ინსტიტუტში 1968 წ., ადამიანის ყოფიერების ანალიზი მოცემული მთელ რიგ გამოკვლევებში, კერძოდ, ზ. კაკაბაძის წიგნებში „ეგზისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (1966) და „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ (1970), კრებულში „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“, რომელთა გამოქვეყნება 1970 წელს დაიწყო, და სხვ. მაგრამ მობრუნება ახალი პრობლემატიკის ინტენსიური კვლევისაკენ ნელა ხდებოდა. საჭირო იყო ფილოსოფიის უფრო მჭიდრო დაკავშირება ცხოვრებასთან, ფილოსოფიის დარგის ძირითადი ძალების წარმართვა ყველაზე აქტუალური პრობლემის საკვლევად. სწორედ ამ მიმართულებით დასახა ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც 1973 წ. ოქტომბერში საგანგებო დადგენილება მიიღო ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი ახასიათებდა არა მარტო ფილოსოფიის ინსტიტუტს, არამედ რესპუბლიკაში ფილოსოფიის დარგის მუშაობას და, მეტ-ნაკლებად, საზოგადოებრივ მეცნიერებას საერთოდ. ამიტომ დადგენილების მიერ დასახულ ღონისძიებებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეცნიერების და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი პერსპექტივებისათვის.

მეცნიერული აზრის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია აზრთა ინტენსიური ურთიერთგაცვლა, მეცნიერული დიალოგი, კამათი და ურთიერთთანამშრომლობა. ასეთ დიალოგს, კამათსა და ურთიერთთანამშრომლობას კი მაშინ ექნება ადგილი, თუკი სამეცნიერო დაწესებულებები თავიანთ მუშაობას, თავიანთ ძალებს გარკვეული მიმართულებებით წარმართავენ. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ფილოსოფიის ინსტიტუტი, როდესაც ის კვლევის სტრატეგიულ ხაზს იმუშავებდა. მის მიერ არჩეული სტრატეგიული ხაზი — ადამიანი, კულტურა, ღირებულებანი — სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა რესპუბლიკაში ცხოვრების აქტუალურ ამოცანებთან და ეხმაურებოდა საერთოდ თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების ძირითად ტენდენციებს. ამ სტრატეგიული ხაზის შემუშავება და მისი ნაწილობრივი განხორციელება ინსტიტუტის და მთლიანად რესპუბლიკის ფილოსოფიური დაწესებულებების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიერ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაში 70-იანი წლების ფილოსოფიური მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევებს მიეკუთვნება. ამ მიღწევების შედეგად საქართველოს ფილოსოფოსებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ფილოსოფიური მეცნიერების განვითარებაში, მისი აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა ადამიანის პრობლემის კვლევაა. წარსულში მარქსისტი ფილოსოფოსები ცდილობდნენ დაეძლიათ ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიზმი და ატომარული მიდგომა. მათ წინ წამოსწიეს ადამიანის სოციალური ბუნების მნიშვნელობა. მაგრამ როდესაც ადამიანის სოციალურ ბუნებას უსვამდნენ ხაზს, ისინი ხშირად უგულებელყოფდნენ ადამიანის პიროვნულ თავისებურებებს, მის თავისუფლებას. სწორედ ადამიანის ყოფიერების ამ მხარეებს მიაქციეს ყურადღება ქართველმა ფილოსოფოსებმა და მათ დამუშავებაში და ამით მარქსისტული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის უფლებამოსილების დაფუძნებაში, მისი პრობლემების პოზიტიურ კვლევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს მისი კულტურული განვითარება ასრულებს. ამით არის განპირობებული ინტერესის ზრდა კულტურის თეორიული პრობლემებისადმი. წარსულში კულტურა ხშირად გაგებული იყო ხოლმე ზედაპირულად, როგორც უბრალოდ ადამიანის მიერ შექმნილი სამყარო. ცხოვრებამ მოითხოვა კულტურის ფენომენის უფრო ღრმა ანალიზი, მისი თავისებურების, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობაში მისი ადგილის გარკვევა. საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში უკანასკნელ 10—15 წელიწადში წამოყენებულ იქნა კულტურის ახალი ინტერპრეტაციები. მათ შორის აღიარება მოიპოვა თვალსაზრისმა, რომლის შემუშავებაში ქართველმა ფილოსოფოსებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ეს არის თვალსაზრისი, რომელიც კულტურას განიხილავს როგორც ღირებულებათა განხორციელებას, როგორც პიროვნების სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის მაჩვენებელს (იხ. ჟურნალი „Вопросы философии, 1982, № 1, გვ. 34—52).

ადამიანისა და მისი კულტურის ანალიზი აუცილებლობით მოითხოვს ღირებულების ცნების გამოყენებას. წარსულში ადამიანის, მისი ყოფიერების, ცნობიერების სხვადასხვა ფორმების ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი იყო სწორედ ღირებულების ფენომენის უგულებელყოფა, რაც ბიძგს აძლევდა ადამიანის რედუქციონისტურ გაგებებს, რომლებიც ვერ ხედავდნენ ადამიანის და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებას. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ადამიანის ყოფიერების, მისი ცხოვრების წესის, მისი ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურის კვლევა მეტად ცალმხრივია და ნაკლოვანი ადამიანის ცხოვრების ღირებულებითი ასპექტების, არსისა და ჯერარსის განსხვავებულობის გაუთვალისწინებლად. ამის გარეშე შეუძლებელია გავაშუქოთ, კერძოდ, ადამიანური ყოფიერების ისეთი აუცილებელი მხარეები, როგორიცაა ადამიანის ცხოვრებისეული მიზნები, იდეალები, საზრისი, დანიშნულება. სწორედ ღირებულების ცნების ამ გაგებას, ღირებულების ობიექტურობის თავისებურების, ღირებულებათა იერარქიის, სხვადასხვა ღირებულებათა სპეციფიკის გათვალისწინებას ემყარება 70-იანი წლების გამოკვლევები ეთიკის, ესთეტიკის, ისევე როგორც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ისტორიისა და კულტურის ფილოსოფიის და სხვ. დარგებში. თავის მხრივ, ღირებულებითი ასპექტის გათვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინებაზე დამყარებული ცნებები ადამიანისა და მისი კულტურისა გამოყენება კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში, რომლებშიც უკანასკნელ დროს სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს კულტურის პროცესების შესწავლა.

ადამიანის, კულტურის, ღირებულების სერიოზული გამოკვლევა შეუძლებელია ზოგადფილოსოფიური კატეგორიებისა და პრინციპების გააზრებისა და მათი მოხმარების გარეშე. თვით ადამიანის, კულტურისა და ღირებულებათა დახასიათებაც გულისხმობა ადამიანისა და კულტურის არსებობის ფორმების, მათი ონტოლოგიური სტატუსის გამორკვევას, არსისა და ღირებულების ურთიერთობის, ადამიანისა და კულტურის შემეცნების თავისებურების, ღირებულებისა და შემეცნების ურთიერთობის შესწავლას, ამიტომ ადამიანის, კულტურისა და ღირებულებათა კვლევა არ უპირისპირდება ფილოსოფიის სხვა მხარეებს, უწინარეს ყოვლისა, ონტოლოგიასა და გნოსეოლოგიას, დიალექტიკასა და კატეგორიებზე მოძღვრებას, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებს. ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის თავისთავადი ღირებულების უგულებელყოფა ისევე გაუმართლებელია, როგორც იმის გაუთვალისწინებლობა, რომ აუცილებელია ფილოსოფიის ამ საფუძველთა საფუძვლების ახლებური, იმგვარი გააზრება, რომელსაც მნიშვნელობა ექნება ადამიანის ყოფიერებისათვის, მისი ცხოვრების პრინციპების ნათელსაყოფად. და ფილოსოფიური აზრის განვითარება გასულ ათწლეულში ამ მიმართულებითაც წარმოებდა. ამან ხელი შეუწყო თვით ფილოსოფიის ბუნების, მისი თავისებურების, ცხოვრებასთან მისი კავშირის ცხადყოფას, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ცხოვრებასთან ფილოსოფიის კავშირი რთული და მრავალმხრივია. ფილოსოფია არა მარტო ადამიანის ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპების ნათელყოფას ემსახურება, იგი არა მარტო ადამიანთა ღირებულებით ორიენტაციებს, მათ ზნეობრივ და ესთეტიკურ იდეალებს აფუძნებს, არამედ ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის პრინციპებსაც იკვლევს, ის მეცნიერული შემეცნების ზოგადმეთოდოლოგიური წანამძღვრების დახასიათებას ისახავს მიზნად. ამიტომ ცხოვრებასთან მისი კავშირი მეცნიერებასთან კავშირის ფორმითაც ხორციელდება. ამ კავშირის განსამტკიცებლად კი მან უნდა იკვლიოს მეცნიერების ლოგიკისა და მეთოდოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები. საქართველოში ამგვარ პრობლემებს იმთავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა. საკმარისია მივუთითოთ ახალი ქართული ფილოსოფიის ფუძემდებლების ლოგიკურ და დიალექტიკურ გამოკვლევებზე, კ. ბაქრაძისა და ს. წერეთლის გამოკვლევებზე ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკების ურთიერთობის შესახებ, კ. მეგრელიძის მიერ აზროვნების ძირითადი პრობლემების გამოკვლევაზე. მაგრამ მეცნიერების განვითარებამ ამ სფეროში წინ წამოსწია ახალი მხარეები და ახალი პრობლემები. აუცილებელი გახდა თანამედროვე ლოგიკური გამოკვლევების გამიჯვნა მეცნიერებისა და ლოგიკის ფილოსოფიური წანამძღვრების კვლევისაგან და ამ ორივე სფეროს ინტენსიური განვითარება. ამ მიმართულებითაც ქართული ფილოსოფიური აზროვნება 70-იან წლებში შესამჩნევი მიღწევებით გამოირჩევა.

ადამიანის ცხოვრებასთან ფილოსოფიის კავშირის ერთი ასპექტია, აგრეთვე, რელიგიისადმი ადამიანის დამოკიდებულების გააზრება. წარსულში ფილოსოფიურ მოღვაწეობას ამ მხრივაც ჰქონდა ნაკლი. ნაშრომებში მეცნიერული ათეიზმის დარგში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა რელიგიისა და მეცნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერების დაპირისპირებულობის ჩვენებას, რელიგიების ძირითადი შინაარსის, რელიგიური შეხედულებების ანტიმეცნიერულობის დასაბუთებას და ჩრდილში რჩებოდა ის ვითარება, რომ რელიგიის გავლენა უმთავრესად მისი თეორიული შინაარსის ჭეშმარიტობაზე პრეტენზიას კი არ ემყარება, არამედ უფრო მის პრეტენზიას მისცეს ადამიანს ნუგეში, იმის იმედი, რომ ღმერთის აღიარებითა და მასთან „ურთიერთობის დამყარებით“ აზრი მიეცემოდა ადამიანის ცხოვრებას და ცოდნის გარდა ის შეიძენდა მისი ცხოვრებისათვის აუცილებელ რწმენას. მაშასადამე, რელიგიის ფილოსოფიური გააზრების უპირველესი ამოცანა სწორედ იმაშია, რომ გაარკვიოს ცოდნისა და რწმენის ჭეშმარიტი ურთიერთობა და ყოფიერებისა და კერძოდ ადამიანის ყოფიერების ძირითადი ტენდენციების გამოკვლევით შუქი მოჰფინოს ადამიანის დანიშნულებისა და სიცოცხლის აზრის ფუნდამენტურ პრობლემას. ამ მხრივაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 70-იანი წლების ქართულ ფილოსოფიაში.

ფილოსოფიურ მეცნიერებას ერთი, მისთვის მეტად დამახასიათებელი თავისებურება აქვს: თეორიული კვლევა მასში მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიული მასალის გააზრებასთან. ამ კავშირს ასეც გამოხატავენ ხოლმე: ფილოსოფიის ისტორიაც ფილოსოფიაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წარსული ფილოსოფიის ყოველგვარ გამოკვლევას თანადროული და თეორიული მნიშვნელობა ჰქონდეს. ჭეშმარიტი თეორიული გამოკვლევა ფილოსოფიაში მისი ისტორიის ღრმა გააზრებას ემყარება, ისევე როგორც ნამდვილი გამოკვლევა ფილოსოფიის ისტორიის დარგში ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების ნათელყოფას ემსახურება. ფილოსოფიაში (ისევე როგორც საზოგადოებათმცოდნეობის სხვა დარგებში) შეიძლება სავსებით აქტუალურ თემაზე დაწერილი ნაშრომი ყოველგვარ ღირებულებას იყოს მოკლებული, ხოლო თუნდაც ძალზე შორეული პერიოდის მოაზროვნის მემკვიდრეობის გამოკვლევა პირდაპირ ეხმაურებოდეს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს. და თუ წარსულში ჩვენში ფილოსოფიურ კვლევას ახასიათებდა ისტორიული თემატიკის სიჭარბე, ეს იმდენად იყო ნაკლი, რამდენადაც ამგვარი გამოკვლევები ხშირად არ იყვნენ დაწერილი თანამედროვე პრობლემების თვალთახედვით. იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ანალიზის შესახებ. ცხოვრებასთან კავშირის ვულგარული გაგებაა ის, როდესაც ზოგჯერ ამტკიცებენ ხოლმე: დასავლეთის მიმდინარეობებს თვითონ დასავლეთში მოუვლიან, ჩვენ კი მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები უნდა ვიკვლიოთო. რა თქმა უნდა, დასავლეთის ფილოსოფიური მიმდინარეობების კრიტიკის დროს ჩვენი მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები დავარწმუნოთ მათი თვალსაზრისის მცდარობაში, არამედ ის, რომ გავითვალისწინოთ მათი შეხედულებები, მათი არგუმენტაცია, რათა ამით ხელი შევუწყოთ თვით პრობლემების ნათელყოფას და მათ პოზიტიურ გადაწყვეტას. სწორედ ამგვარ ამოცანებს ისახავენ 70-იან წლებში, ისევე როგორც წინამავალ პერიოდში, შექმნილი საუკეთესო ნაშრომები ფილოსოფიის ისტორიისა თუ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის დარგში, იქნება ეს კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიის გამოკვლევები, თუ თანამედროვე პოზიტივიზმისა ან ეგზისტენციალიზმის შესახებ კრიტიკული ნარკვევები, საშუალო საუკუნეების თუ XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიის შექმნის ცდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს გამოკვლევები ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში. კულტურის თეორიული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია კულტურის ისტორიის გააზრების გარეშე. ფილოსოფიის ისტორია კი კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მხარეა. ამიტომ ქართველი ფილოსოფოსების გადაუდებელი ამოცანაა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ნაწილის — ქართული ფილოსოფიის — მეცნიერული ისტორიის შექმნა. ეს ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფიის ისტორია განვიხილოთ როგორც კულტურის ისტორიის ნაწილი. ქართულ ფილოსოფიას ამ მხრივაც კარგი ტრადიციები აქვს. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ, ჯერ ერთი, კიდევ უფრო მიზანდასახულად განვიხილოთ ჩვენი ფილოსოფიის ისტორია როგორც სწორედ კულტურის თვითცნობიერების ისტორია და, მეორეც, ვიზრუნოთ ქართული ფილოსოფიის ისტორიის შემაჯამებელი ფუნდამენტური ნაშრომის შექმნაზე.

კვლევის განვითარებისათვის აუცილებელი დიალოგისა და კამათის გაშლას ხელს უწყობს მჭიდრო კონტაქტები სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებს შორის. ამ მიმართულებითაც ქართველმა ფილოსოფოსებმა სასარგებლო მუშაობა გასწიეს 70-იან წლებში: ფილოსოფიის ინსტიტუტმა მჭიდრო სისტემატური კოორდინაცია დაამყარა აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტებთან, მის მიერ მოწყობილ კონფერენციებში და სამეცნიერო გამოცემებში მონაწილეობას იღებდნენ, ბაქოსა და ერევნის ფილოსოფოსთა გარდა, მეცნიერები მოსკოვიდან და კიევიდან. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა რესპუბლიკის ფილოსოფიურ კათედრებთან უფრო სისტემატური კონტაქტების დასამყარებლად. მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციები ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიური კათედრების ინიციატივით. ქართველი ფილოსოფოსები, თავის მხრივ, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეცნიერთა მსოფლიო ფორუმებში, და მათი ნაწარმოებები ითარგმნება უცხო ენებზე. ნაყოფიერია, სხვა მეცნიერებთან ერთად, თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფოსთა თანამშრომლობა იენის უნივერსიტეტის ფილოსოფოსებთან და სხვა. ამგვარი ღონისძიებანი, თავის მხრივ, მოწმობენ ქართველ ფილოსოფოსთა დიდ პოტენციებსა და მათი მეცნიერული კონტაქტების გაფართოების შესაძლებლობებზე.

ფილოსოფიურ მეცნიერებას გარკვეული მიღწევები ჰქონდა გასულ, 70-იან წლებში. მაგრამ ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკის მშრომელებს, ფილოსოფიის დარგის მუშაკებსაც არ გადაუწყვეტიათ მათ წინაშე მდგარი ყველა ამოცანა. მათ ბოლომდე არ დაუძლევიათ ყველა ის ნაკლი, რაც საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიუროს დადგენილებამ აღნიშნა მათ მუშაობაში. ყველაზე არსებითი ნაკლოვანებანი შემდეგია: ერთი მხრივ, ჯერ კიდევ არაერთი ფილოსოფიური ნაშრომი, რომელიც თითქოს აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება, დაბალი თეორიული დონით, ზედაპირულობითა და შემოქმედებითი გაუბედაობით ხასიათდება; მეორე მხრივ, რიგი თეორიული და ისტორიული ნაშრომი დაწერილია ფილოსოფიისა და თვით ცხოვრების თანამედროვე ამოცანებისაგან დაშორებით და თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების თავისებურების გაუთვალისწინებლად: ონტოლოგიურ საკითხებზე ზოგჯერ იმგვარად მსჯელობენ, რომ არ ითვალისწინებენ თანამედროვე ტენდენციებს ფილოსოფიაში, ძველი ონტოლოგიის იმ კრიტიკას, რაც კანტის დროიდან წარმოებს. ხოლო შემეცნების თეორიის საკითხებზე ბჭობა ზოგჯერ დიდად არ არის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვავებული ემპირისტული მოაზროვნეების მსჯელობისაგან. ფილოსოფოსებს ვალი არ მოუხდიათ, აგრეთვე, ფართო მკითხველის წინაშეც. ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ფილოსოფიური ნაწარმოებები, რომლებიც პოპულარულად, მიმზიდველად და, ამავე დროს, მაღალმეცნიერულ დონეზე გასცემდნენ პასუხს ფართო მკითხველისათვის საინტერესო საკითხებზე, საკითხებზე, რომლებიც აღელვებს ყოველ გონიერ მკითხველს, მაგალითად, საკითხებზე ადამიანის ცხოვრების აზრის შესახებ, სიკეთისა და ბოროტების შესახებ, ერისა და ეროვნული კულტურის შესახებ და სხვა. ფილოსოფოსები და სპეციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლები უფრო მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული მეცნიერებათა მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევის საქმეში. ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად დიდი მნიშვნელობა ექნება სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებას, რაშიც ფილოსოფიის ინსტიტუტთან და უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტთან ერთად თავისი როლი უნდა შეასრულონ ფილოსოფიურმა და სოციოლოგიურმა საზოგადოებებმა.

70-იანი წლები დასრულდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დასრულებულა ამ წლებში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება. 80-იან წლების დასაწყისში იხილავს დღის სინათლეს ზოგიერთი ნაწარმოები, რომელიც ძირითადად წინა ათწლეულში შეიქმნა. ეჭვი არ არის, რომ 80-იან წლებში ახალი პრობლემები დაისმება და ახალი ნაშრომებიც შეიქმნება ამ პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც უკვე დამდგარ ათწლეულში ფილოსოფოსებმა უნდა გადაწყვიტონ, ეს არის ახალი თაობის მომზადება, თაობისა, რომელმაც მემკვიდრეობით უნდა მიიღოს წინა თაობების საუკეთესო თვისებები და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს ქართული ფილოსოფიური კულტურა.

* * *

ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში ძირითადად ადამიანის ფსიქოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების შესწავლაზეა ორიენტირებული. მისი ასეთი მიმართულება განსაზღვრული იყო იმით, რომ იგი ემყარება დ. უზნაძის განწყობის თეორიას, რომელიც ფსიქოლოგიაში ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებათა გაგებას, რეალური, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული, მოქმედი ადამიანის პოზიციებიდან ცდილობს. ბოლო ათი წლის განმავლობაში, როდესაც დღის წესრიგში მწვავედ დადგა საზოგადოებრივ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ადამიანის აღზრდის საკითხები, ქართველმა ფსიქოლოგებმა გააძლიერეს პიროვნების საქმიანობის ფსიქიკური მექანიზმების კვლევის საკითხებზე მუშაობა.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკამ ფსიქოლოგიური მეცნიერების შემდგომი მიმართულებით მოითხოვა ძალების კონცენტრაცია: თეორიული ფსიქოლოგია, შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია და გამოყენებითი ფსიქოლოგია.

ზოგადი ფსიქოლოგიის დარგში შეისწავლება განწყობის ზოგადი პრობლემები, კერძოდ, შემდეგი საკვანძო საკითხები: განწყობის ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერებანი, პიროვნების ცნობიერებისა და განწყობის ცნებათა ურთიერთობა, განწყობა და არაცნობიერი ფსიქიკა. ამ დარგში მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის ინტენსიობაზე მეტყველებს ის, რომ თბილისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი არაცნობიერი ფსიქიკურის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილმა მეცნიერმა, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს. გამოიცა 120 ფორმიანი სამტომიანი კოლექტიური მონოგრაფია „არაცნობიერი, მისი ბუნება, ფუნქციები და კვლევის მეთოდები“, რომლებშიც განხილულია ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საკითხები, უმაღლესი ნერვიული მოქმედების ფსიქო-ფიზიოლოგიური საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ნეოფროიდიზმის კრიტიკისათვის და ფსიქიკური მოქმედების დიალექტიკურ მატერიალისტური კონცეფციის განვითარებისათვის.

ფსიქოლოგიური მეცნიერების პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაძლიერდა მუშაობა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა შრომისა და სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგიის შესწავლის მეთოდები და სამედიცინო ფსიქოლოგია.

შრომისა და სოციალური ფსიქოლოგიის დარგში ინტენსიურად მუშავდება შრომის ფსიქოლოგიის საკითხები და სოციალური ფსიქოლოგიის, კერძოდ, სოციალური განწყობების ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებების საკითხები. აგრეთვე მუშავდება განწყობის ფსიქოლოგიური თეორიების ურთიერთობის საკითხი. ამ მიმართულებით მუშაობა აისახა საკავშირო ჟურნალებსა და დამხმარე სახელმძღვანელოში „Социальная психология личности“, სადაც ერთი თავი ქართველი ფსიქოლოგების მიერ შესრულებული მუშაობის განზოგადების საფუძველზეა დაწერილი.

იმ დიდ მუშაობას, რაც უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება ნეგატიური მოვლენებისა და კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ქართველი ფსიქოლოგები ფართოდ გამოეხმაურნენ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა გარკვეული განყოფილება და ლაბორატორიები, რომელთა მუშაობა ამ მიმართულებით წარიმართა. გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილება პიროვნების კვლევის განყოფილებად გადაკეთდა; განყოფილების ძირითად პრობლემას პიროვნების სტრუქტურისა და მისი ცალკეული კომპონენტების ურთიერთქმედების კანონზომიერებების კვლევა წარმოადგენს. ამ საკითხების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გაირკვეს ის პიროვნული თვისებები, რომელთა საფუძველზე ყალიბდება ადამიანის ძირითადი სოციალური და მორალური ორიენტაციები, მისი ხასიათობრივი ნიშნები. ამ კანონზომიერების გამოყენება მასწავლებლებსა და აღმზრდელებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური დახასიათება, იბრძოლონ მათში სასურველი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებისათვის და მიუღებელი, ანტისოციალური ტენდენციების აღმოფხვრისათვის. ამ მუშაობას დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს. მის საფუძველზე დღეს უკვე იქმნება ახალი ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები.

სამედიცინო ფსიქოლოგიის დარგში ფსიქიატრიული კლინიკის მასალის საფუძველზე მუშავდება სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემები, კერძოდ, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პათოფსიქოლოგიური საკითხები.

დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს მეტყველების ფსიქოლოგიის, ენისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხების შესწავლას. ამ მიმართულებით ენის პირველადობის პოზიციიდან დადგენილია ადამიანის ფსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიკური და ცნობიერი აქტივობის საინტერესო კანონზომიერებანი. ასევე შეისწავლებოდა დაწყებითი სკოლის ასაკის მოსწავლეების მიერ მათემატიკის დაუფლების ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების ზოგადი კანონების განვითარებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ქართველმა ფსიქოლოგებმა შექმნეს სახელმძღვანელო „მათემატიკა მოსამზადებელი კლასებისათვის", რომელიც აპრობირებულია და მიღებულია საქ. სსრ განათლების სამინისტროს მიერ. საინტერესო შედეგებია მიღებული მეორე ენის სწავლების მიმართულებით. ამ მხრივ დადგენილ იქნა მეთოდები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევს სკოლაში მეორე ენის სწავლების საქმეს.

უკანასკნელ ხანს ინტენსიურად შეისწავლა პროფორიენტაციის პრობლემა — კერძოდ, პროფესიების მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულება, გრძელდება ძიება იმ ფაქტორების დასადგენად, რომლებიც განსაზღვრავენ მოსწავლეთა მიერ პროფესიის სწორ არჩევას.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წელს გაიხსნა აგრეთვე მასწავლებლის ფსიქოლოგიის საკითხების შემსწავლელი ლაბორატორია, რომელიც სწავლობს მასწავლებლის პრინციპების თავისებურებებს, იმ მოთხოვნებს, რომელსაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს აღმზრდელობითი ზემოქმედების დროს.

ინტენსიური მუშაობა წარმოებს მცირეწლოვან დამნაშავეების ფსიქოლოგიის შესასწავლად. ამ მიმართულებით გამოვლენილ იქნა ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ მცირეწლოვან ბავშვებში დამნაშავეობის განვითარებას. ამის საფუძველზე მიღებულ რეკომენდაციებს წარმატებით იყენებენ თავის მუშაობაში სააღმზრდელო ორგანიზაციები.

ბოლო დროს გაიშალა შრომითი კოლექტივების საქმიანობის, შრომისადმი დადებითი განწყობის ჩამოყალიბების საკითხების შეწავლა. ქართველი ფსიქოლოგები გაერთიანებული არიან ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ერთობლივ მუშაობაში წარმოების ფსიქოლოგიური საკითხების შესახებ და მათმა შრომამ დიდი მოწონება დაიმსახურა სპეციალურ სიმპოზიუმზე, რომელიც უნგრეთის რესპუბლიკაში ჩატარდა.

საინტერესო და ინტენსიური მუშაობა წარმოებს მოტივების შესწავლის მიმართულებით. მოტივების ფორმირებასა და მოქმედების კანონზომიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ადამიანის ფორმირების საქმეში.

ქართველი ფსიქოლოგების გამოკვლევები უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და უნგრეთში. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფსიქოლოგთა საკავშირო ყრილობებში და საერთაშორისო კონგრესებში. ბოლო XXII საერთაშორისო კონგრესში სიმპოზიუმს განწყობის მოქმედების შესახებ ხელმძღვანელობდა აკად. ა. ფრანგიშვილი, ხოლო თემატურ სხდომას განწყობის ფორმირებასა და შეცვლის საკითხებზე — პროფ. შ. ნადირაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილოსოფია

გია ნოდია

## ფოიერბახის შესახებ მარქსის მეექვსე თეზისის ინტერპრეტაციისათვის

ეს სტატია შეეხება არა ფოიერბახის შესახებ მარქსის მეექვსე თეზისს მთლიანად, არამედ მხოლოდ მის ყველაზე ცნობილ ნაწილს: „ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“ [1,3].

გასაკვირი არაა, რატომ ვუძღვნი საგანგებო სტატიას მარქსის ამ ორ ფრაზას. საქმე ისაა, რომ ის ხშირად გაგებულია, როგორც ადამიანის არსის მარქსისტული განსაზღვრება, დეფინიცია. თუ გავითვალისწინებთ, რამდენად გაიზარდა ადამიანის პრობლემისადმი ინტერესი საბჭოთა ფილოსოფიაში საერთოდ, განსაკუთრებით კი ქართველი ფილოსოფოსების მუშაობაში, ჩემი არჩევანი მით უფრო გასაგები და ბუნებრივი ხდება.

ამ თეზისთან დაკავშირებით გასარკვევია ორი საკითხი: 1) არის თუ არა ის ადამიანის არსების მარქსისტული განსაზღვრება, თუ მის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტზე მინიშნებაა, და 2) როგორ უნდა გავიგოთ მისი შინაარსი, ე. ი. რისი თქმა უნდა მარქსს ამ სიტყვებით. ცხადია, ეს ორი დამოუკიდებელი საკითხი კი არ არის, არამედ ერთი პრობლემის ორი მხარე.

ავტორების დიდ ნაწილს ხსენებული თეზისი ესმის სწორედ როგორც ადამიანის არსის მარქსისტული განსაზღვრება. როდესაც ის ციტატის სახით კი არ მოჰყავთ, არამედ პერიფრაზას მიმართავენ, ჩვეულებრივ დაახლოებით ასე ამბობენ: „მარქსის აზრით, ადამიანის არსი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“. ან სიტყვა „არსსაც“ კი სტოვებენ: „ადამიანი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა“.

თუკი მარქსის ამ თეზისს ასე გავიგებთ და მას ადამიანის არსის განსაზღვრებად ვაღიარებთ, თანმიმდევრულნი უნდა ვიყოთ და ვთქვათ: მარქსიზმი ადამიანს სოციოლოგისტური რედუქციონიზმის პოზიციიდან უყურებს. ეს ნიშნავს: ადამიანს არ გააჩნია საკუთარი არსი, ის არის მეორადი, საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან წარმოებული და მისით სავსებით განსაზღვრული ყოფიერება. ამიტომ მას შემდეგ, რაც ადამიანის სოციოლოგისტური რედუქცია განვახორციელეთ, ჩვენ შეგვიძლია საერთოდ აღარ ვილაპარაკოთ ადამიანზე, რადგან საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ლაპარაკით ჩვენ სავსებით ამოვწურავთ ადამიანის თემას, სოციალური პრობლემების გადაწყვეტით ადამიანის პრობლემასაც ვწყვეტთ. „საერთოდ ადამიანის“ ცნება აღარ გვჭირდება, რადგან ის ცარიელი, უშინაარსოა; შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მუშაზე, კაპიტალისტზე და ა. შ., ანუ ადამიანის კონკრეტულ სოციალურ განსაზღვრულობებზე.

ბევრი საბჭოთა მკვლევარი მართლაც ეთანხმება ამ დასკვნებს, მაგრამ ყველაზე თანამიმდევრული მაინც ფრანგი მარქსისტი ლ. ალთუსერია — თუმცა ის სწორედ მარქსის მე-6 თეზისზე ყურადღებას არ ამახვილებს. მისი აზრით, ისეთი ცნებები, როგორც „ადამიანის გვარეობითი არსი“, მისი „უნივერსალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა“, „ჰუმანიზმი“, „გაუცხოება“ და მისთანები ფოიერბახის ფილოსოფიურ პრობლემატიკას მიეკუთვნება და 1845 წელს მომხდარი „ეპისთემოლოგიური წყვეტის“ შემდეგ, როდესაც მარქსი საბოლოოდ შორდება ფოიერბახს და სხვა თავის ფილოსოფიურ წინამორბედებს, საბოლოოდ განდევნილ იქნა მარქსისტული ფილოსოფიიდან; ამიტომ მარქსიზმს შეიძლება ვუწოდოთ „თეორიული ანტიჰუმანიზმი“, ანუ მოძღვრება, რომელიც უარყოფს ადამიანის ცნების რაიმე თეორიულ ღირებულებას [10]. ალთუსერის თვალსაზრისმა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა მარქსისტ მკვლევარებს შორის; მაგალითად, თ. ოიზერმანი ამბობს, რომ „ამგვარი პოზიცია, მისი მარქსისტი ავტორის ნება-სურვილისდა მიუხედავად, მარქსის მოძღვრების ბურჟუაზიულ ინტერპრეტაციებს უახლოვდება“ [19,279]. მართლაც, ამგვარი ინტერპრეტაცია შეუძლებელს ხდის მარქსიზმში თავისუფლებისა და შემოქმედების ფილოსოფიურ დაფუძნებას; ადამიანი სათამაშო ხდება ისტორიის ობიექტურ კანონთა ხელში — ისევე, როგორც ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში ხდება; კომუნისტური საზოგადოება გვესახება როგორც იდეალურად აწყობილი მანქანა, სადაც ყოველი ადამიანი ზუსტად და უდრტვინველად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, — ესე იგი სამართლიანი გამოდის ის ბრალდებები, რასაც დიდი ხანია უყენებს მარქსიზმს ბურჟუაზიული იდეოლოგია. მაგრამ საქმე მხოლოდ ბურჟუაზიული კრიტიკა როდია. როგორ გავიგოთ, მაგალითად, ის ადგილი „კაპიტალიდან“ (ესეც ხომ „ახალგაზრდა მარქსი“ არ არის), სადაც კომუნისტური საზოგადოება განიხილება როგორც „ადამიანის ბუნების ღირსი“ და მისი ადექვატური [2,449]? აქ ხომ არა მხოლოდ „ადამიანის ბუნებაზეა“ ლაპარაკი, არამედ ეს უკანასკნელი განხილულია როგორც საზომი, კრიტერიუმი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ურთიერთობები, და არა პირიქით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვუერთდებით ალთუსერის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას, მაგრამ მთავარი აქ მაინც იმის განსაზღვრაა, რომ თუ ადამიანის არსის რედუქციონისტულ განსაზღვრებას მივიღებთ, ალთუსერისმაგვარ პოზიციას თავს ვერ დავაღწევთ. ამიტომ ალთუსერი მართალია ბევრი მისი კრიტიკოსის მიმართ, რადგან მათზე უფრო თანმიმდევრულია. პირდაპირ უნდა ვთქვათ: თუ ადამიანის არსი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, მაშინ მარქსისტული ფილოსოფიისათვის ადამიანის თემა არ არსებობს.

ბევრი მკვლევარი ხედავს ხსენებულ საფრთხეს, და თუმცა მაინც აღიარებს მარქსის მე-6 თეზისს ადამიანის არსის დეფინიციად, ცდილობს რაღაცნაირად „შეარბილოს“ მისი საზრისი, რაღაცნაირად „დააზუსტოს“ ის. ამ „შერბილებისა“ და „დაზუსტების“ სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. მაგალითად, ი. კონი წერს: „აქ (ე. ი. მე-6 თეზისში — გ. ნ.) მარქსი აშკარად გულისხმობს არა ცალკეულ პიროვნებას, არამედ ადამიანს, როგორც გვარეობით არსებას. ადამიანი, როგორც გვარი, მართლაც თანხვდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას, საზოგადოებას“ [7,9]. თუ მარქსის ამ თეზისს მართლაც ასე გავიგებთ, გამოგვივა მეტისმეტად ტრივიალური აზრი: ადამიანთა მოდგმა საზოგადოების სახით ცხოვრობს. ვითომ ღირდა ამის საგანგებოდ ხაზგასმა და აქედან გამომდინარე ფოიერბახის კრიტიკა?

ნ. ნაუმოვა ხაზს უსვამს, რომ სოციოლოგიას ადამიანში მხოლოდ მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა აინტერესებს, და არა ადამიანი როგორც მთელი, ამიტომ მარქსის მე-6 თეზისი უფრო „ფართოდ“ უნდა იქნეს გაგებული: „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის ერთობლიობა, რასაც მარქსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის არსს უწოდებდა, მოიცავს არა მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ უფრო ფართო ისტორიული მთელის (კულტურის) განსაზღვრულობებს“ [8,66]. საქმით არსს ესეც არ ცვლის: ადამიანი განსაზღვრული გამოდის არა მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობებით, არამედ ისტორიით საერთოდ; ის მაინც პასიურია, შედეგია, და არა ისტორიული პროცესის სუბიექტი, არა თავისუფალი, შემოქმედი არსება.

ეს კარგადა აქვს შეგნებული ა. ბოჭორიშვილს. ამიტომ მას წინადადება შემოაქვს, ადამიანის არსის გათანაბრება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობასთან გავიგოთ როგორც ადამიანის მხოლოდ გ ე ნ ე ტ უ რ ი განსაზღვრება, ესე იგი განსაზღვრება იმისა, თუ რა ქმნის ადამიანს, რის შედეგად არის ადამიანი; მას სჭირდება შევსება ადამიანის არსის განსაზღვრებით, ანუ განსაზღვრებით იმისა, თუ რა ა რ ი ს ადამიანი [3,184]. მაგრამ, ჯერ ერთი, ამგვარი ინტერპრეტაცია თვითნებური ჩანს: მარქსის კონტექსტი არაფრით არ მიანიშნებს, რომ აქ ადამიანის წარმოშობაზეა ლაპარაკი. გარდა ამისა, ბატონ ანგიას ინტერპრეტაცია გულისხმობს მეტად სარისკო დაშვებას: თითქოს „საზოგადოებამ შექმნა ადამიანი“. მაშინ ისმის კითხვა: ვინლა შექმნა საზოგადოება?

ბოლო ხანებში მეტად გავრცელდა ადამიანის როგორც „ბიოსოციალური“ არსის ეს გაგება. მას ემხრობიან კაგანი, მისლივჩენკო და სხვები. ისინი ადამიანს სისტემური მეთოდით უდგებიან. ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ადამიანის ა რ ს ი და მისი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. ადამიანის „ბიოსოციალური“ გაგების მომხრეთა აზრით, ადამიანის არსი სოციალურია, სტრუქტურა კი ბიოსოციალური. სწორედ ადამიანის სტრუქტურის ბიოლოგიური ელემენტი განაპირობებს იმას, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებრივ პირობებში ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ხშირად იმის საწინააღმდეგოდაც კი იქცევიან, რასაც მათგან სოციალური პირობები მოითხოვს.

„ბიოსოციალური“ თეორია ცდილობს ადამიანის სოციოლოგისტური გაგების ცალმხრივობა დაძლიოს, და ეს მოტივი მისასალმებელია. მაგრამ ამ თავის ამოცანას იგი, ჩემი აზრით, ვერ ასრულებს. ჯერ ერთი, თუკი ვიტყვით, რომ ადამიანის არსი სოციალურია, ამით ყველაფერი მთავრდება: ის, რაც არაარსებითია, მეცნიერებას არც აინტერესებს. მეორეც, ბიოლოგიური ადამიანის არსშიც რომ შევიყვანოთ, ის მაინც ვერ დააფუძნებს ადამიანის თავისუფლებას, შემოქმედებას და ა. შ. — ყოველივე იმას, რისი აუხსნელობაც შეადგენს ადამიანის სოციოლოგისტური გაგების ნაკლს.

ბიოლოგიური მომენტი ადამიანში, რა თქმა უნდა, არის. ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია და, ამდენად, ბიოლოგიურ კანონზომიერებებს ემორჩილება. მაგრამ თუ გვსურს თანმიმდევრულნი ვიყოთ, უნდა ვილაპარაკოთ ადამიანზე, როგორც ფიზიკობიოსოციალურ არსებაზე: ადამიანი ხომ ფიზიკური სხეულიცაა და, როგორც ასეთი, ფიზიკის კანონებსაც ემორჩილება (სიმაღლიდან რომ ჩამოვაგდოთ, $g$ აჩქარებით იფრენს და ა. შ.). მთავარი ისაა, რომ ეს ფენები ადამიანში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ გარკვეული იერარქიით, და უფრო მაღალი ფენა უფრო დაბალს ანიჭებს საზრისს, დაბალი მაღალშია ინტეგრირებული. ადამიანის კანის ფერი (ფიზიკური განსაზღვრულობა) მის რასას (ბიოლოგიურს) ნიშნავს, წონა — მისი კვების თავისებურებებზე მიგვანიშნებს, სიგრძეს კი „სიმაღლეს“ ვუწოდებთ. თავის მხრივ, ადამიანის რასას, წონას თუ სიმაღლეს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა საზოგადოებრივ პირობებში. ამიტომ, თუკი ვაღიარებთ, რომ სოციალური ადამია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის უმაღლესი, განმსაზღვრელი ფენაა, მისი ბიოლოგიური განსაზღვრულობის ხაზგასმას არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს.

ამდენად სამართლიანია კრიტიკა, რომელსაც ლენინგრადელი ფილოსოფოსები გეორგიევი და შარონოვი ადამიანის ბიოსოციალურ გაგებას უპირისპირებენ: თუკი სოციალური მაღალია ბიოლოგიურზე (ანუ, მათი ტერმინებით, ბიოლოგიური „ქვესისტემაა“ სოციალურისა), ადამიანის განხილვა „ბიოსოციალური“ თვალსაზრისით არაფერს მატებს ადამიანის სოციოლოგიურ კვლევას. აქედან ისინი აკეთებენ დასკვნას: ადამიანის სოციოლოგიური კვლევა ამოწურავს ადამიანს, როგორც მთელს. იმ მკვლევარებს კი, ვინც თვლის, რომ სოციოლოგიას აინტერესებს ადამიანში მხოლოდ ტიპიური, განმეორებადი, საშუალო, და მხედველობიდან უშვებს უნიკალურს, პიროვნულს, ისინი შემდეგ არგუმენტს წარმოუდგენენ: ისტორიულად ისე მოხდა, რომ მარქსისტულ სოციოლოგიაში, ანუ ისტორიულ მატერიალიზმში, წინა პლანზე იყო წამოწეული ე. წ. „ორგანული დონე“, როდესაც საზოგადოება განიხილება როგორც მთლიანი სისტემა, რომელშიც ცალკეული ადამიანი „ითქვიფება“, „იკარგება“. მაგრამ შესაძლებელია მეორე მიდგომაც, რომლის დროსაც საზოგადოების იგივე „კომპონენტები“ (ანუ ადამიანები) „განიხილებიან არა მათ ორგანულ ერთიანობაში... არამედ მათ დიფერენცირებულ, ავტონომიურ, ატომარულ ყოფიერებაში“ [5,28]. ამ მეორე მიდგომას ავტორები „სუმატურს“ უწოდებენ (სიტყვისგან „сумма“ — „ჯამი“). საბოლოოდ ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის მთლიანობის თეორია წარმოადგენს „მატერიის მოძრაობის სოციალური ფორმის მოდიფიკაციას“ [5,30]. აქედან გამოდის, რომ ადამიანი სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა მატერიის მოძრაობის სოციალური ფორმის სახესხვაობა. როგორც ვხედავთ, რედუქციონისტულმა წანამძღვრებმა სავსებით ლოგიკურად მიგვიყვანა ადამიანის ცნობიერების, მასში იდეალური საწყისის უარყოფამდე. ადამიანის ამგვარი გაგება კი თვით სოციოლოგიასაც ხდის შეუძლებელს: ცნობიერების გარეშე ხომ ადამიანი თავის სოციალურ ფუნქციებს ვერ შეასრულებს; მაგრამ თუ ადამიანს მის სოციალურ ფუნქციებზე დავიყვანთ, მისი ცნობიერების აქტივობა აუხსნელი გვრჩება.

გეორგიევისა და შარონოვის სტატიის ღირებულება, ჩემი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ის თვალნათლივ გვიჩვენებს: ადამიანის სოციოლოგისტურ-რედუქციონისტული გაგება ეყრდნობა მარქსისტული სოციოლოგიის (ანუ — ისტორიული მატერიალიზმის), მისი საგნის არასწორ გაგებას. თვითონ გამოთქმა — „ადამიანთა სუმატური ერთიანობა“ — გულისხობს, რომ საზოგადოება არის ადამიანთა ჯამი, რომ ცალკეული ადამიანი არის ის „კომპონენტი“, „უჯრედი“, რომლებისგანაც საზოგადოება შედგება. საზოგადოების სწორედ ამგვარი გაგებაა ის, რასაც მარქსი „რობინზონადას“ უწოდებდა და მკაცრად აკრიტიკებდა. მარქსისტული სოციოლოგიის ამოსავალი არის არა ცალკეული ადამიანი — „ატომარული“ რობინზონი — არამედ ადამიანთა შორის ურთიერთობის გარკვეული ტიპი. ამიტომ სოციოლოგიას აინტერესებს ადამიანი არა მთლიანად, არამედ იმდენად, რამდენადაც ის გარკვეულ სოციალურ ურთიერთობებში შედის. თანამედროვე სოციოლოგიის ენაზე რომ ვთქვათ, სოციოლოგია იხილავს ადამიანს, როგორც გარკვეული სოციალური როლის ან მათი ერთობლიობის მატარებელს. მარქსი ამას პირდაპირ ამბობს პრუდონის კრიტიკისას: «Общество не состоит из индивидов, а выражает сумму тех связей и отно-



17 342

ეროვნული ბიბლიოთეკა

шений, в которых эти индивиды находятся друг к другу. [Рассуждать подобно Прудону] равносильно тому, как если бы кто-нибудь захотел сказать: с точки зрения общества не существует ни рабов, ни граждан; и те и другие — люди. На самом деле людьми они являются вне общества. Быть рабом или быть гражданином — это общественные определения, отношения человека А к человеку В. Человек А как таковой — не раб. Он — раб в обществе и посредством общества» [4, 214].

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარქსს არ „გაუთქვეფია“ ადამიანი საზოგადოებაში, არ დაუყვანია იგი სოციალურ განსაზღვრულობებზე. მან მხოლოდ სოციოლოგია გაათავისუფლა ანთროპოლოგიზმისაგან („რობინზონადისაგან“), ანუ უარყო შეხედულება, რომლის თანახმადაც „ადამიანის ბუნება“ სოციოლოგიური ანალიზის ამოსავალი წერტილია.

მაგრამ რა ვუყოთ მაშინ ხსენებულ ორ წინადადებას მარქსის მე-6 თეზისიდან, რომელსაც ეს სტატია ეძღვნება? როგორ შევათანხმოთ ისინი მარქსისავე სიტყვებთან იმის შესახებ, რომ ადამიანი, როგორც ასეთი, საზოგადოების გარეთაა ადამიანი?

ჩემი აზრით, მკვლევარები არასწორად იქცევიან, როდესაც ხსენებულ თეზისში უყურადღებოდ ტოვებენ სიტყვებს „თავის სინამდვილეში“. გავიხსენოთ კიდევ ერთხელ: „ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თ ა ვ ი ს  ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი (ხ. ჩ. — გ. ნ.) იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“. აქ სიტყვა „სინამდვილეში“ დაახლოებით ასე ესმით: „ფოიერბახს ადამიანის არსი ბიოლოგიურ-ანთროპოლოგიურად ესმოდა. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კი ის სოციალურია“. მე კი მგონია, რომ აქ სიტყვა „სინამდვილეში“ უნდა გავიგოთ კატეგორიალურ დონეზე, ე. ი. შესაძლებლობის კატეგორიასთან კავშირში.

მარქსის მე-6 თეზისი ფოიერბახის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ფოიერბახს ეხება: აქ მარქსი ფოიერბახის საპირისპიროდ გახაზავს ადამიანის სოციალურობას. მაგრამ თუმცა მარქსი ფოიერბახს საკუთარ უბის წიგნაკში აკრიტიკებს, იგი აქაც კი არ ივიწყებს და დასძენს: „თავის სინამდვილეში“. ჩემი აზრით, ეს შენიშვნა ადამიანის ღრმა ონტოლოგიურ თავისებურებაზე მიანიშნებაა. საქმე ისაა, რომ სიტყვას „არსი“, „არსება“ სხვადასხვა საზრისი ენიჭება იმისდა მიხედვით, ვლაპარაკობთ ადამიანის არსზე თუ ნებისმიერი სხვა საგნისა თუ მოვლენის არსზე. მეორე შემთხვევაში სიტყვაში „არსი“ იგულისხმება საგნისა თუ მოვლენის მყარი, უცვლელი ნიშნების ერთობლიობა. ფოიერბახისთვის ადამიანის არსიც ამგვარი არსია, მარქსი კი ეკამათება მას: ის თვლის, ადამიანის არსი ერთხელ და სამუდამოდ კი არ ყალიბდება, არამედ განუწყვეტლივ ქმნადობა-განვითარებაშია. მაგრამ რას ნიშნავს ეს? თუ ადამიანში არაფერია უცვლელი, მაშინ ხომ თვით სიტყვა „ადამიანის“ ხმარების უფლებაც არა გვაქვს?

საქმე ისაა, რომ ადამიანის გარდა ყველა სხვა საგნისა თუ მოვლენის არსი დაიყვანება იმაზე, რაც ნამდვილია: ყოველი საგანი თუ მოვლენა არის განამდვილებულ, რეალიზებულ შესაძლებლობათა ერთობლიობა. სხვა სიტყვებით, ყოველი საგანი არის ის, რაც ის არის. რა თქმა უნდა, მასშიც არის ჩაბუდებული სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა, მაგრამ ამ შესაძლებლობის განამდვილება გარეგან პირობებზეა დამოკიდებული. ადამიანი კი ყველა სხვა არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულისაგან განსხვავებით ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მასზეა დამოკიდებული, თუ რომელი განამდვილდება მისი ყოფნის შესაძლებლობიდან. ამიტომ ადამიანი ყოველთვის მეტია იმაზე, რაც ის არის; მისი არსი შესაძლებლობისა და სინამდვილის ერთიანობაა. ადამიანი საკუთარი არსის გამოვლენა კი არ არის, არამედ გარკვეულ მიმართებაშია თავის არსთან: იგი თავად ქმნის მას. ადამიანი არის ერთადერთი არსი, რომელსაც შეუძლია უარყოს საკუთარი თავი.

მაგრამ ადამიანი არ დაიყვანება უარყოფითობაზე, დენადობაზე, სუბიექტურობაზე. ყოველი პიროვნება არის რაღაც გარკვეული, საკუთარი სახის მქონე, რაღაც ნამდვილი. ამ სახის როგორობა დამოკიდებულია იმ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაზე“, რაშიც ადამიანს ცხოვრება უხდება. ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი პირობები ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, თუ საკუთარი ყოფნის რომელ ვარიანტს „აირჩევს“, გაანამდვილებს ადამიანი; გარეგანი პირობები ყოველთვის რაღაცისკენ „უბიძგებს“ მას, მაგრამ ეს არ ხსნის მისი თავისუფლებას, პასუხისმგებლობას. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ „საკუთარი თავის არჩევა“ თუ „შექმნა“ მხოლოდ კონკრეტული საზოგადოებრივი პირობების მიმართ იძენს საზრისს; ადამიანის მიერ „საკუთარი თავის არჩევა“ ნიშნავს საზოგადოებაში თავისი პოზიციის, თავისი ადგილის განსაზღვრას. სწორედ ეს არის ადამიანის სოციალურობის ღრმა, უსაკუთრესი აზრი და არა ის, რომ ადამიანი სხვა ადამიანების მიერ შეკერილ ფეხსაცმელს იცვამს და ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბებულ ენაზე ლაპარაკობს. ეს აზრი ბრწყინვალედ აქვს გამოთქმული მარქსს: «Человек есть в самом буквальном смысле zoon politikon, не только животное, которому свойственно общение, но животное, которое только в обществе и может обособляться» [4, 18 ]. ესე იგი ადამიანის სოციალური არსი ყველაზე მეტად იმაში კი არ ვლინდება, რომ ადამიანი ვერ ძლებს სხვა ადამიანების გარეშე, არამედ იმაში, რომ მის მიერ საზოგადოებისადმი ზურგის შექცევაც გარკვეული საზოგადოებრივი პოზიციაა, თვით განმარტოების აქტის ს ა ზ რ ი ს ი სოციალურია. ადამიანი საკუთარ თავს პოულობს, როდესაც საზოგადოებაში თავის ადგილს პოულობს, და საკუთარ თავს კარგავს, როდესაც საზოგადოებასთან კავშირს კარგავს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინი „ადამიანის არსი“ მარქსიზმში ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული და ამ ორივე გაგებას თავისი გამართლება აქვს. ოღონდ ხაზი უნდა გაესვას: ლაპარაკია არა იმაზე, რომ ადამიანს ორი არსი აქვს (თუ ადამიანი ერთია, მას მხოლოდ ერთი არსი შეიძლება ჰქონდეს), არამედ სიტყვა „არსის“ ორ მნიშვნელობაზე გამოთქმაში „ადამიანის არსი“. საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივ ტერმინში „არსი“, „არსება“ ორი ასპექტი იგულისხმება:

1) რაიმეს არსი არის ის, რაც ამ რაიმეში მყარია, უცვლელია, ინვარიანტულია;

2) რაიმეს არსი არის ის, რაც შეადგენს ამ რაიმეს თავისებურებას, შინაგან მხარეს, საზრისს, მნიშვნელობას.

ტრადიციული გაგება ამ ორ რაიმეს ერთმანეთს არ აშორებს. მის მიხედვით ის, რაც რაიმეში უცვლელია, ინვარიანტულია, ამავე დროს მის საზრისსაც გამოხატავს. როგორც ვთქვით, ამ ტრადიციული გაგების მომხრე იყო ფოიერბახიც. როდესაც მარქსი აკრიტიკებს ფოიერბახს თავის მე-6 თეზისში, ისიც სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვა „არსებას“ ტრადიციული აზრით ხმარობს: თუკი არ გავითვალისწინებთ ადამიანის უნარს უარყოს ყოველი მოცემული არსი თავისი უსასრულო პოტენციის საფუძველზე, ესე იგი განვიხილავთ მას „თავის სინამდვილეში“ — მხოლოდ როგორც მისი ყოფნის განამდვილებულ შესაძლებლობათა ერთობლიობას, მაშინ ადამიანის არსი სხვა არაფერია, თუ არა მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, ანუ ადამიანის ადგილი მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში („ანსამბლში“, როგორც მარქსი ამბობს), მისი სოციალური როლი. ტრადიციული ტერმინების ამგვარი ტრადიციული აზრით ხმარება და მათივე უარყოფა მათივე ნოვატორული ინტერპრეტაციის მიზნით ხშირად გვხვდება მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში და ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. მაგალითად, ენგელსი „ანტი-დიურინგში“ ლაპარაკობს „ფილოსოფიის სიკვდილზე“, მაგრამ ამ დროს ჰეგელის ფილოსოფიის ტიპის სპეკულატურ მოძღვრებებს გულისხმობს და მათ ფილოსოფიის ახლებურ გაგებას უპირისპირებს. იგივე მდგომარეობაა ადამიანის არსის ცნების შემთხვევაში. იგი უთანაბრდება „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას“ მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუკი გამოთქმას „ადამიანის არსი“ გავიგებთ ანალოგიურად გამოთქმებისა: „ბალახის არსი“ და „სახლის არსი“. მაგრამ თუკი ადამიანში გვაინტერესებს ის, რაც მას ყველა სხვა არსებულისაგან განასხვავებს—მისი სპეციფიკა, მისი ყოფნის საზრისი (ესე იგი სიტყვა „არსის“ მეორე ასპექტი), მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი არ დაიყვანება არავითარ სასრულო და მოცემულ „არსზე“, არამედ მუდმივ ძლევს თავის თავს და თავის „სამყაროს“ და შრომის, შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ანამდვილებს თავის უსასრულო, უნივერსალურ შესაძლებლობებს.

ამ მსჯელობამ შეუძლებელია არ გაგვახსენოს ექსისტენციალისტური ფილოსოფია. მისი ძირითადი დებულებაც ხომ ისაა, რომ არსებობა (ექსისტენცია) წინ უსწრებს არსს, სადაც სიტყვა „არსი“ სწორედ პირველი, ტრადიციული აზრით არის გაგებული. ბევრი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიკოსი, განსაკუთრებით კი რევიზიონისტი მარქსისტი, მარქსს ექსისტენციალიზმის წინამორბედად თვლის, ხოლო ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი კლასიკოსი სარტრი სულაც ამბობს, რომ მარქსიზმი ჩვენი ეპოქის ერთადერთი ფილოსოფიაა, ექსისტენციალიზმი კი — მხოლოდ მისი ერთ-ერთი ასპექტის გაღრმავება. საბჭოთა მკვლევარები ხშირად უარყოფენ ყოველგვარ კავშირს მარქსიზმსა და ექსისტენციალიზმს შორის, რაც, ჩემი აზრით, შეცდომაა. როგორც ლენინი ამბობდა, ფილოსოფიური იდეალიზმი სისულელე კი არ არის, არამედ შემეცნების ერთ-ერთი მხარის გაზვიადებაა. ექსისტენციალიზმი სავსებით სამართლიანად ლაპარაკობს ადამიანის ძირეულ ონტოლოგიურ თავისებურებაზე, რაც შეიძლება არსისა და არსებობის ტერმინებშიც გამოითქვას, მაგრამ შემდგომ ამ პრინციპს სუბიექტივისტურ ინტერპრეტაციას აძლევს[1]. არც სარტრი უარყოფს, რომ ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და მას ვერსად გაექცევა. მაგრამ ადამიანის სოციალურობის შ ე ფ ა ს ე ბ ა მის მიერ კარდინალურად განსხვავდება მარქსისტულისაგან და ეს აქსიოლოგიური სხვაობა არსებით ონტოლოგიურ შედეგებს

[1] ვ. კეშელავა მართებულად აღნიშნავს: „ეს დებულება (ადამიანის არსის „გარდუვალი დაუსრულებლობის“ შესახებ—გ. ნ.) ექსისტენციალისტურად ჟღერს. აქ არც არაფერია გასაკვირი: ექსისტენციალიზმმა, სხვა ყველაფერთან ერთად, კერძოდ ეს იდეაც ისესხა მარქსიზმისაგან, ოღონდ მასში სუბიექტურ-იდეალისტური შინაარსი ჩადო“ (6, 102—103).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგნიფიკატური ეკვივალენტობა განსხვავდება როგორც ჩვეულებრივი ექსტენსიონალური ეკვივალენტობისაგან, ისე კომპრეჰენტთა ეკვივალენტობისაგანაც. მაგალითად, „მრგვალი“ და „სიმრგვალე“ ისეთი ტერმებია, რომელთაც ერთი და იგივე სიგნიფიკატები გააჩნიათ, მაგრამ მათ აქვთ განსხვავებული დენოტატები და შესაბამისად, კომპრეჰენტებიც.

323. არსებობს ტერმები, რომელთა სიგნიფიკატები ტოლია, თუმცა კომპრეჰენტები განსხვავებულია.

324. არსებობს ტერმები, რომელთა სიგნიფიკატები ტოლია, თუმცა დენოტატები განსხვავებულია.

ზემოთქმულის გამო, აზრი აქვს 311-ის ანალოგის შემოტანას:

325. თუ (... x— — — —) რაიმე კონტექსტია, რომელიც ინტენსიონალურ ოპერატორსაც შეიცავს, მაშინ იქიდან, რომ x ტერმის სიგნიფიკატი ტოლია რაიმე y ტერმის სიგნიფიკატისა, გამოდის, რომ (...y— — —) სიგნიფიკატურად ეკვივალენტურია თავდაპირველი კონტექსტისა.

შემდეგი პრინციპების სამართლიანობა ეჭვს არ იწვევს:

326. ყალბია, რომ სიგნიფიკატთა იგივეობა აპირობებს კომპრეჰენტთა იგივეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ327. ყალბია, რომ სიგნიფიკატთა იგივეობა აპირობებს დენოტატთა იგივეობას

პ328. კომპრეჰენტთა იგივეობა აპირობებს სიგნიფიკატთა იგივეობას.

პ326-ის ფონზე უკანასკნელი პრინციპი შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ იგი სავსებით ბუნებრივად წარმოგვიდგება, თუ კი კომპრეჰენტის დახასიათებას გავიხსენებთ. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ კომპრეჰენტი არ უნდა იყოს უნივერსალური ან ცარიელი. ამ შეზღუდვის მნიშვნელობა გამოჩნდება მოგვიანებით, პ344-თან და პ345-თან დაკავშირებით.

თუმცა,

პ329. დენოტატთა იგივეობა არ აპირობებს სიგნიფიკატთა იგივეობას.

პ329 გამოდის პ324-დან.

პ330. თუ ტერმი ისეთია, რომ მისი სიგნიფიკატი შეუძლებელია დააკმაყოფილოს ობიექტთა შესაძლო უნივერსუმის ერთმა საგანმა მაინც, მაშინ ამ ტერმის კომპრეჰენტი ცარიელია.

პ331. თუ ტერმი ისეთია, რომ მისი სიგნიფიკატი შეუძლებელია დააკმაყოფილოს ობიექტთა შესაძლო უნივერსუმის ერთმა საგანმა მაინც, მაშინ ამ ტერმის დენოტატი ცარიელია.

პ332. თუ ტერმი ისეთია, რომ მის სიგნიფიკატს აკმაყოფილებს ობიექტთა შესაძლო უნივერსუმის ყოველი საგანი, მაშინ ამ ტერმის კომპრეჰენტი უნივერსალურია.

პ332-დან, პ315-თან ერთად გამოდის, რომ იმ ტერმის დენოტატი, რომლის სიგნიფიკატს აკმაყოფილებს ყოველი ობიექტი ობიექტთა შესაძლო უნივერსუმიდან, ყოველთვის არაცარიელი იქნება.

პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს თ ვ ი ს:

პ333. ყოველი ტერმისთვის არსებობს შინაარსი.

თუ კი გავიხსენებთ შინაარსის ლუისისეულ განსაზღვრებას, შეიძლება ვთქვათ, რომ შინაარსი თავად არის ტერმი.

პ334. არსებობს ტერმი, რომლის შინაარსი ცარიელია.

პ335. არსებობს ტერმი, რომლის შინაარსი უნივერსალურია.

პ334 ისეთნაირად უნდა გავიგოთ, რომ სიგნიფიკატი მოცემული ტერმისა არის ობიექტთა უნივერსალური მახასიათებელი, მაგალითად „x ან არა-x". ხოლო პ335 ისეთნაირად უნდა გავიგოთ, რომ სიგნიფიკატი მოცემული ტერმისა არის ობიექტთა ცარიელი (წინააღმდეგობრივი) მახასიათებელი, მაგალითად „x და არა-x".

თუ კი (...x———) ისეთია, როგორც პ311 ან პ325-ში, მაშინ აზრი აქვს ვამტკიცოთ

პ336. თუ ორი x და y ტერმების შინაარსები იგივურია, მაშინ მათი შემცველი კონტექსტები (...x———)და (...y———) რომელთაგან მეორე შედეგია პირველში x-ის ნაცვლად y-ის ჩანაცვლებისა, შინაარსობრივად ეკვივალენტურები არიან.

პ311, პ325 და პ336 წარმოადგენს ინტენსიონალური იგივეობის პრინციპებს.

შემდეგ ამისა, სამართლიანია:

პ337. თუ ტერმის კომპრეჰენტი უნივერსალურია, მაშინ მისი შინაარსი ცარიელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

338. თუ ტერმს კომპრეჰენტი ცარიელია, მაშინ მისი შინაარსი უნივერსალურია.

339. თუ ტერმის შინაარსი უნივერსალურია, მაშინ მისი კომპრეჰენტი ცარიელია.

340. თუ ტერმის შინაარსი ცარიელია, მაშინ მისი კომპრეჰენტი უნივერსალურია.

337-340 ახასიათებს ტერმის შინაარსისა და კომპრეჰენტის ურთიერთდამოკიდებულებას. როგორც [5]-ში იყო აღნიშნული, ლუისისთვის ეს დამოკიდებულება შეესატყვისება ცნების მოცულობისა და შინაარსის დამოკიდებულებას ტრადიციული გაგებით. ასე რომ, სამართლიანია აგრეთვე.

341. თუ ორი ტერმის შინაარსები იგივურია, მაშინ იგივურია მათი კომპრეჰენტებიც.

342. თუ ორი ტერმის კომპრეჰენტები იგივურია, მაშინ იგივურია მათი შინაარსებიც.

მათი ანალოგიები სიგნიფიკატებისთვის გულისხმობს შინაარსის უნივერსალურობის (ან, შესაბამისად, სიცარიელის) შემზღუდავი პირობის მოთხოვნას.

343. თუ ორი ტერმის შინაარსი იგივურია, და არ არის უნივერსალური, მაშინ მათი სიგნიფიკატები იგივურია.

ასეთი შეზღუდვა აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ

344. არსებობს ტერმები, რომელთა შინაარსები უნივერსალურია, ხოლო სიგნიფიკატები სხვადასხვა.

მაგალითად, ტერმებს „მრგვალი კვადრატი“ და „მრგვალი სამკუთხედი“ გააჩნიათ ერთნაირად უნივერსალური შინაარსი (ვინაიდან მათი კომპრეჰენტები ცარიელია) და სხვადასხვა სიგნიფიკატები.

345. არსებობს ტერმები, რომელთა შინაარსები ცარიელია, ხოლო სიგნიფიკატები სხვადასხვა.

მაგალითად, „მატერია“ და „ყოფიერება“.

326, 341 და 342-დან გამომდინარეობს, რომ

346. არსებობს ტერმები, რომელთა სიგნიფიკატები იგივურია, ხოლო შინაარსები სხვადასხვა.

შემდეგი დამოკიდებულებები თავისთავად ცხადია:

347. თუ რაიმე ტერმის შინაარსი უნივერსალურია, მაშინ მისი დენოტატი ცარიელია.

348. თუ ორი ტერმის შინაარსი იგივურია, და ის არც ცარიელია და არც უნივერსალური, მაშინ მათი დენოტატები იგივურია.

349. ტერმთა დენოტატების იგივეობა არ არის პირობა მათი შინაარსობრივი ეკვივალენტობისა.

## § 2. ინტენსიონალურ კონტექსტთა ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიძნელის ამოხსნის შესახებ

საკითხი ინტენსიონალურ კონტექსტთა ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ სიძნელეთა შესახებ მრავალჯერ ქცეულა ლოგიკოსთა ბჭობის ობიექტად. იმ მაგალითებს შორის, რომლებიც ასეთ სიძნელეთა საილუსტრაციოდ მოჰქონდათ ხოლმე, ყველაზე ხშირად მოიხსენიება შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. „აუცილებელია, რომ 9 მეტია 7-ზე“ და
„პლანეტების რიცხვი არის 9“ —

— ჭეშმარიტი დებულებებია, მაგრამ ურთიერთჩანაცვლების ჩვეულებრივი პრინციპის გამოყენებას მივყავართ არასასურველ შედეგამდე:

„აუცილებელია, რომ პლანეტების რიცხვი მეტია 7-ზე“.

მართლაც, პლანეტების რიცხვი ნამდვილად შვიდზე მეტია, მაგრამ ეს ასტრონომიული ფაქტი, ცხადია, არ არის აუცილებელი.

შემდეგი მაგალითი, ჩვეულებრივ, მოაქვთ იმ თეზისის დასასაბუთებლად, რომ ინტენსიონალურ კონტექსტთა კვანტიფიკაცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ კონცეპტუალურ ობიექტთა დაშვების ხარჯზე [12]:

II. განვიხილოთ ჭეშმარიტი კონიუნქცია[4]

(a). „(ცისკრის ვარსკვლავი = მწუხრის ვარსკვლავი) ∧ □ (ცისკრის ვარსკვლავი = ცისკრის ვარსკვლავი)“,

მაშინ ჭეშმარიტი უნდა იყოს დებულებაც

(a′). „(∃x) [(x = მწუხრის ვარსკვლავი) ∧ □ (x = ცისკრის ვარსკვლავი)][5]

მეორეს მხრივ, ჭეშმარიტია დებულება

(b) „(მწუხრის ვარსკვლავი = მწუხრის ვარსკვლავი) ∧ ~ □ (მწუხრის ვარსკვლავი = ცისკრის ვარსკვლავი)“

და, შესაბამისად, ჭეშმარიტია

(b) „(∃x) [(x = მწუხრის ვარსკვლავი) ∧ ~ □(x = ცისკრის ვარსკვლავი)]“

(a′) და (b′) დებულებათა მატრიცები (ე. ი. ამ დებულების უკვანტორო ნაწილი) ურთიერთგამომრიცხავია იმ აზრით, რომ x-ის ნაცვლად რაიმე ობიექტის სახელის ჩანაცვლების შედეგად მივიღებთ დაპირისპირებულ დებულებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს სულ ცოტა, ორი ობიექტი მაინც, რომელიც მოცემულ მტკიცებათა პირობებს დააკმაყოფილებდა. ცხადია, ეს არ იქნება რეალური ობიექტი, ვინაიდან სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ერთი ასეთი ობიექტი კერძოდ — პლანეტა ვენერა. მაშასადამე x-ები, რომლებზედაც ლაპარაკია (a′) და (b′)-ში, კონცეპტუალური ობიექტებია (ვთქვათ, ისეთი სახისა, როგორსაც გულისხმობს ჩერჩი [6]. ამგვარად, გამოდის, რომ ასეთნაირი კონტექსტების კვანტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიონალური ობიექტების დაშვების ხარჯზე.

ამ სიძნელეთა მოხსნის მრავალი ცდა არსებობს, თუმცა ყოველ მათგანთან დაკავშირებულია რიგი სხვა სიძნელეებისა, რომლებიც ზოგჯერ არანაკლებ თავსატეხია, ვიდრე ზემოთ მოტანილი. ამიტომ არ იქნება ინტერესს მოკლებული ლუისისეული სემანტიკური მეთოდის მოსინჯვა მათ დასაძლევად. ასეთი სამუშაო წინასწარ გულისხმობს ზოგიერთი ცნების დაზუსტებას. კერძოდ, დასაზუსტებელია, თუ როგორ უნდა იყოს ლუისის მეთოდის მიხედვით ისეთ ენობრივ გამოსახულებათა სემანტიკური დახასიათება, როგორიცაა დესკრიპცია, ზოგადი სახელი ან ერთეულოვანი სახელი[6].

---

[4] ნიშნები „~“, „∧“ და „□“ შესაბამისად აღნიშნავენ: „ყალბია, რომ“ „და“, „აუცილებელია, რომ“; „(∃x)“ ნიშნავს „არსებობს ისეთი x, რომ“, ხოლო x არის ცვლადი, რომელიც U-ზეა განსაზღვრული. ქვემოთ, საჭიროების მიხედვით, შემოვიტანთ სხვა აღნიშვნებსაც.

[5] ასეთ გადასვლას ეგზისტენციალურ განზოგადებას უწოდებენ და ის ლოგიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

[6] ე. ი. ისეთი ენობრივი გამოსახულება, რომელიც უშუალოდ აღნიშნავს თავის დენოტატს, მაგ., „სკოტი“, „სოკრატე“ და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისათვის, რაღაც დოზით, საჭირო იქნება გარკვეული ფორმალიზმის გამოყენება, რისთვისაც შემოვიტანთ სიმბოლოს, რომელთაც შემდეგი მნიშვნელობით ვიხმართ:

ლათინური ანბანის მცირე ასოებს ვიხმართ ობიექტთა აღსანიშნავად U არიდან. თუ $x$ რაიმე ობიექტია, მაშინ „$x'$“ აღნიშნავს მის სახელს შესაბამის ენაში. ამავე ანბანის ასომთავრული ნიშნები მოიხმარება U არის ობიექტთა თვისებების აღსანიშნავად. ხოლო ამ თვისებების სახელები მონიშნული იქნება „/“ სიმბოლოთი.

გარდა ამისა, თუ კი რაიმე $x$-თვის სამართლიანია, რომ „$x \in W$“, დავწეროთ: „$E!x$“.

ჩანაწერი „$(\alpha'\alpha)$“, სადაც $\alpha'$ არის $x'$ ან $X'$, ხოლო $\alpha$ არის U-ს ელემენტი, ან U-ს ელემენტის რაიმე თვისება, იკითხება როგორც „ტერმი $\alpha'$ ჰქვია $\alpha$-ს“;

ჩანაწერი „$(\iota x.Ax)$“ იკითხება, როგორც ის $x$, რომელიც აკმაყოფილებს A თვისებას“;

ხოლო ჩანაწერი „$(\lambda x.\ Ax)$“ იკითხება, როგორც“ ის $x$-ები, რომლებიც აკმაყოფილებენ A თვისებას“.

კვანტორთა, სიმრავლურთეორიულ ოპერაციათა და ლოგიკურ მაკავშირებელთა ინტერპრეტაცია ჩვეულებრივია, იმ განსხვავებით, რომ კვანტორები აქ განსაზღვრულია U-ზე.

სიმბოლოები „D (...)“, „C (...)“, „S(...)“ და „J (...)“ შესაბამისად იკითხება, როგორც „დენოტატი გამოსახულებისა...“, „კომპრეჰენტი გამოსახულებისა ...“, „სიგნიფიკატი გამოსახულებისა ...“ და „შინაარსი გამოსახულებისა ...“.

სიმბოლო „$\equiv$“ იხმარება დენოტატური იგივეობის აღსანიშნავად; სიმბოლო „$\equiv$“ იხმარება კომპრეჰენტული იგივეობის აღსანიშნავად; სიმბოლო „$\langle = \rangle$“ იხმარება სიგნიფიკატური იგივეობის აღსანიშნავად, ხოლო სიმბოლო „$\langle \equiv \rangle$“ იხმარება შინაარსობრივი იგივეობის აღსანიშნავად.

მაგალითისათვის, ჩანაწერი „D (...) = D (———)“ ტოლფასია ჩანაწერისა „(...)$\equiv$(———)“ და ა. შ.

ახლა განვიხილოთ რაიმე კონკრეტული დესკრიპცია, ვთქვათ „მწუხრის ვარსკვლავი“.

დენოტატი ამ გამოსახულებისა წარმოადგენს კლასს, რომელიც შეიცავს ერთადერთ ობიექტს, კერძოდ, პლანეტა ვენერას.

კომპრეჰენტი ამ გამოსახულებისა არის ერთობლიობა ყველა ციური სხეულისა, რომელიც კი შეიძლება ჩნდებოდეს ცაზე მწუხრის ჟამს. ის გარემოება, რომ „მწუხრის ვარსკვლავი“ ისტორიულად იქცა პლანეტა ვენერას სინონიმად, არ არის ნაკარნახევი აუცილებლობით, რომელიც ამ პლანეტას შინაგანად ახასიათებს. სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ „მწუხრის ვარსკვლავი“ ყოფილიყო სხვა რამ ვარსკვლავის სახელი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ.

სიგნიფიკაციები გამოხატულებისა „მწუხრის ვარსკვლავი“ არის ის თვისება, რომლის უქონლობაც შეზღუდავდა კომპრეჰენტს. მოცემულ შემთხვევაში, ეს გახლავთ კომბინირებული თვისება „ვარსკვლავად ყოფობა და მწუხრის ჟამს გამოჩენადობა“.

რაც შეეხება შინაარსს, იგი წარმოადგენს პლანეტა ვენერას ენაში არსებულ ყველა სახელთა კონიუნქციას, ასე რომ, ეს არის „მწუხრის ვარსკვლავი და ცისკრის ვარსკვლავი და ვენერა და. . .“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ანალიზი, რა თქმა უნდა, ბოლომდე მკაცრი არ არის, თუმცა შეიძლება მისთვის უფრო ზუსტი ხასიათის მიცემაც. შემოვიტანოთ შემდეგი დეფინიციები.

$$(\text{დ}_1\ 1).\ D\,(\iota x.\ Ax)\rightarrow\{x\,|\,E!\,x \wedge Ax \wedge (y).\ y\ \varepsilon\ D\,(\iota x.\ Ax)\rightarrow(x=y)\},$$

$$(\text{დ}_1\ 2).\ C\,(\iota x.\ Ax)\rightarrow\{x\,|\,Ax\},$$

$$(\text{დ}_1\ 3).\ S\,(\iota x.\ Ax)\rightarrow\{Y\,|\bigcup_{i=1}^{k} Y_i\ \langle=\rangle\ A\}.$$

$$(\text{დ}_1\ 4).\ I\,(\iota x.\ Ax)\rightarrow\bigwedge_{i=1}^{k}\alpha_i',\ C\,(\alpha_i)=C\,(\iota x.\ Ax).$$

დესკრიპციის ასეთი დახასიათება ბუნებრივია, და იგი არ სცილდება მის ჩვეულებრივ გაგებას. მართლაც, „ιx. Ax“ ისეთი გამოსახულებაა, რომელიც (დ,1)-ის მიხედვით აღნიშნავს ერთადერთ არსებულ ობიექტს, ისეთს, რომ ჭეშმარიტია Ax. მაგრამ რასელისეული გაგებისაგან განსხვავებით, მას ახლა გააჩნია საზრისიც, რომელიც სამი კომპონენტისაგან შედგება: კომპრეჰენტისაგან, სიგნიფიკატისაგან და შინაარსისაგან. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ოთხივე აღნიშნული მოდუსი დესკრიპციის მნიშვნელობისა, ყოველთვის ახასიათებს ამ უკანასკნელს, თუმცა კონტექსტისაგან დამოკიდებულებით, მნიშვნელობს ხან ერთი, ხან მეორე და ა. შ. მაგალითად, თუ კი კონტექსტი ექსტენსიონალურია, მაშინ, როგორც ჩანს, მნიშვნელობს დენოტატი, როგორც მნიშვნელობის ექსტენსიონალური მახასიათებელი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა მოდუსები ამ დროს იკარგება. მეორეს მხრივ, თუ კი კონტექსტი ინტენსიონალურია, მაშინ როგორც ჩანს, მნიშვნელობს ერთ-ერთი ინტენსიონალური მახასიათებელი, ან სულაც სამივე. იმ შემთხვევაში, კი როცა ასეთნაირ კონტექსტში ვაპირებთ ტოლფასთა ურთიერთჩანაცვლების პრინციპის გამოყენებას, სახეზე უნდა გვქონდეს სამივე ინტენსიონალური მახასიათებლის იგივეობა. მაგალითად, გარემოება, რომ ინგლისის მეფე გეორგ მეოთხეს აინტერესებდა იყო თუ არა სკოტი „ვევერლის“ ავტორი (და თანაც, ეს კითხვა მისთვის არ იყო ტოლფასი კითხვისა, იყო თუ არა სკოტი სკოტი), მეტყველებს იმაზე, რომ კომპრეჰენტი (ან სიგნიფიკატი, ან შინაარსი) სახელისა „სკოტი“ მისთვის ნიშნავდა სხვას, ვიდრე კომპრეჰენტი (ან სიგნიფიკატი, ან შინაარსი) გამოსახულებისა «„ვევერლის“ ავტორი». სწორედ ამ ვითარების გამო კითხვის ქვეშ დგებოდა დენოტატთა იგივეობაც.

ახლა შეიძლება დაზუსტდეს, თუ როგორ უნდა გავიაზროთ ზოგადი სახელი. დესკრიპციის ანალოგიურად, აქაც შეგვიძლია განხილვა მაგალითით დავიწყოთ. დავუკვირდეთ ზოგად სახელს „პლანეტა“:

დენოტატი ტერმისა „პლანეტა“ არის ყველა არსებული პლანეტის კლასი, ანუ ერთობლიობა: {მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი}.

კომპრეჰენტი ტერმისა „პლანეტა“ არის ერთობლიობა ყველა ისეთი ციური სხეულისა, რომელთაც შეეძლოთ ყოფილიყვნენ პლანეტები.

სიგნიფიკატი ტერმისა „პლანეტა“ არის ისეთი თვისება, რომელიც სიგნიფიკატურად ექვივალენტურია თვისებისა „პლანეტად ყოფნა“ და მოიცავს ისეთ დახასიათებებს, როგორიცაა „ციურ სხეულად ყოფნა“, „მზის გარშემო ორბიტაზე მოძრაობა“ და ა. შ. ე. ი. ისეთ დახასიათებებს, რომელთა არ ქონებაც შეზღუდავდა ტერმ „პლანეტის“ კომპრეჰენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი კი იქნება კონიუნქცია ჩამოთვლილი ცხრა პლანეტის სახელებისა და ენაში არსებული ყველა მათი სინონიმისა.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია უფრო ზოგადი ხასიათი მივცეთ ზემოთქმულს შემდეგი დეფინიციებით:

(დ$_2$ 1). $D\ (\lambda x.\ Ax) \to \{x \mid E!\ x \wedge Ax\}$,
(დ$_2$ 2). $C\ (\lambda x.\ Ax) \to \{x \mid Ax\}$,

(დ$_2$ 3). $S\ (\lambda x.\ Ax) \to \{Y \mid \bigcup_{i=1}^{k} Y_i \langle = \rangle A\}$.

(დ$_2$ 4). $I\ (\lambda x.\ Ax) \to \bigwedge_{i=1}^{k} \alpha'_i,\ C\ (\alpha'_i) = C\ (\lambda x.\ Ax)$.

აქაც, ისევე როგორც დესკრიპციების შემთხვევაში, გამოსახულება „$\lambda x.\ Ax$“ უნდა განვიხილოთ როგორც ყველა შემთხვევაში ოთხივე მოდუსის მატარებელი.

რაც შეეხება ერთეულოვან სახელებს, აქაც განხილვა დავიწყოთ მაგალითის ანალიზით, დავახასიათოთ ტერმი „ვენერა“.

დენოტატი ტერმისა „ვენერა“ არის კლასი, რომელიც შეიცავს ერთადერთ ობიექტს, პლანეტა ვენერას (თუ არ შევიზღუდებით მხოლოდ პლანეტებით, მაშინ დენოტატად სხვა კლასი უნდა განვიხილოთ, კერძოდ, კლასი ყველა ვენერად წოდებული ობიექტისა).

რა უნდა მივიჩნიოთ მის კომპრეჰენტად? თუ ჩავთვლით, რომ არაფერს არ შეიძლება ეწოდოს „ვენერა“, რაც კი არ არის პლანეტა, მაშინ, როგორც ჩანს

C („ვენერა“) = C („პლანეტა“).

მაგრამ ამ დაშვების სამართლიანობა საკამათოა, ვინაიდან არ არსებობს რაიმე პრინციპული შეზღუდვა, რომელიც გვიკრძალავს ამა თუ იმ სახელის ხმარებას უნივერსუმის რაიმე ობიექტის მიმართ. მაგალითად „ვენერა“ შეიძლება იყოს სახელი როგორც პლანეტის, ისე ქალღმერთის, ქალის, ხომალდის და ა. შ. ასე რომ, როგორც ჩანს სამართლიანია შემდეგი

C („ვენერა“) = U

სიგნიფიკატი ტერმისა „ვენერა“ შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი თვისება, რომელიც სიგნიფიკატურად იგივურია „ვენერად წოდების“ თვისებისა.

ტერმ „ვენერას“ შინაარსის ბუნება ცხადია: თუ C („ვენერა“) = U მაშინ I („ვენერა“) = $\varnothing$.

ეს უკანასკნელი გარემოება თანხმობაშია ჩვენს ინტუიციასთან, ვინაიდან, საზოგადოდ, ჩვენ არ ვართ განწყობილნი ისეთი სახელები, როგორიცაა „ვენერა“, „სკოტი“ და ა. შ. განვიხილოთ როგორც რაიმე შინაარსის მატარებელი.

ვთქვათ, $(\alpha' x)$ და $\alpha'$ არ არის არც დესკრიპცია და არც ზოგადი სახელი, მაშინ

(დ$_3$ 1). $D\ (\alpha') \to \{x \mid E!\ x \wedge (\alpha'\ x) \wedge (y).\ (\alpha'\ y) \to (x = y)\}$,
(დ$_3$ 2). $C\ (\alpha') \to U$,
(დ$_3$ 3). $S\ (\alpha') \to \{Y \mid\ Y \langle = \rangle (\alpha'\ x)\}$,
(დ$_3$ 4). $I\ (\alpha') \to \varnothing$

(დ$_1$ 1) — (დ$_1$ 4), (დ$_2$ 1) — (დ$_2$ 4), (დ$_3$ 1) — (დ$_3$ 4) საშუალებას გვაძლევს

მოვხსნათ (I) - (II) სიძნელეები. თანაც (I) - თვის ეს ტრივიალურად გამომდინარეობს შემდეგი თანაფარდობებიდან:

$\sim .\ D(\alpha')=D(\beta')\rightarrow .\ C(\alpha')=C(\beta')$,
$\sim .\ D(\alpha')=D(\beta')\rightarrow .\ S(\alpha')=S(\beta')$,
$\sim .\ D(\alpha')=D(\beta')\rightarrow .\ I(\alpha')=I(\beta')$,

(იხ. 316, 329, 342), რაც იმას ნიშნავს, რომ დენოტატთა იგივეობა არ არის მნიშვნელობის დანარჩენ მოდუსთა იგივეობის პირობა, და ვინაიდან, განხილულ მაგალითში ჩანაცვლება მხოლოდ ექსტენსიონალური მახასიათებლის იგივეობას ეფუძნებოდა, საჭირო ხდება მისი ხელახალი გადასინჯვა მნიშვნელობის ანალიზის ლუისის მეთოდის გათვალისწინებით.

მართლაც, ის გარემოება, რომ

$D(„9“)=D(„\text{პლანეტების რიცხვი}“)$, ვერ აპირობებს დანარჩენ მოდუსთა იგივეობას. ($დ_1$, 2)—($დ_1$ 4) და ($დ_3$ 2)—($დ_3$ 4)-ის გათვალისწინებით გვაქვს შემდეგი:

$C(„9“)\supset C(„\text{პლანეტების რიცხვი}“)$,
$S(„9“)$ უთავსია $S(„\text{პლანეტების რიცხვი}“)$,
$I(„9“)\subset I(„\text{პლანეტების რიცხვი}“)$.

ეს ნათელს ხდის (I)-ში მოხდენილი ჩანაცვლების უმართებულობას, რითაც აღნიშნული სიძნელე პრაქტიკულად მოიხსნა.

ლუისის სემანტიკური მეთოდი ხსნის (II) სიძნელესაც:

ვთქვათ, ჩვენი ენა სხვა ტერმებს შორის მოიცავს ასეთებსაც „M“, „E“, „St“; ხოლო მისი სინტაქსი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ შემდეგი შეუღლებული გამოსახულებანი „MSt“, „ESt“, „$\lambda x.\ Mx$“, „$\lambda x.\ Ex$“, „$\lambda x.\ Stx$“, „$\lambda x.\ MStx$“, „$\lambda x.\ EStx$“, „$\iota x.\ MStx$“, „$\iota x.\ EStx$“, აგრეთვე ისეთი გამოსახულებანიც რომლებიც მიიღება ამათგან კონიუნქციის, უარყოფის და იგივეობის გამოყენებით.

ვთქვათ, რომ ამ ენის სემანტიკურ წესებს შორის გვხვდება შემდეგიც:

სწ. 1. $D(M) = D(\lambda x.\ Mx)$,
სწ. 2 $C(M) = C(\lambda x.\ Mx)$,
სწ. 3. $S(M) = S(\lambda x.\ Mx)$,
სწ. 4. $I(M) = I(\lambda x.\ Mx)$,
სწ. 5. $D(E) = D(\lambda x.\ Ex)$,
სწ. 6. $C(E) = C(\lambda x.\ Ex)$,
სწ. 7. $S(E) = S(\lambda x.\ Ex)$,
სწ. 8. $I(E) = I(\lambda x.\ Ex)$,
სწ. 9. $D(St) = D(\lambda x.\ Stx)$,
სწ. 10. $C(St) = C(\lambda x.\ Stx)$,
სწ. 11. $S(St) = C(\lambda x.\ Stx)$,
სწ. 12. $I(St) = I(\lambda x.\ Stx)$.

ახლა შეგვიძლია ავაგოთ სემანტიკური წესები რთული გამოსახულებებისათვისაც:

ნსწ. 1. $D(MSt) = D(M) \cap D(St)$,
ნსწ. 2. $C(MSt) = C(M) \cap C(St)$,
ნსწ. 3. $S(MSt) = M \wedge St$,
ნსწ. 4. $I(MSt) = I(M) \wedge I(St)$,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნსწ. 5. $D(ESt) = D(E) \cap D(St)$,

ნსწ. 6. $C(ESt) = C(E) \cap C(E)$,

ნსწ. 7. $S(ESt) = E \wedge St$,

ნსწ. 8. $I(ESt) = I(E) \wedge I(St)$.

თუ კი მივიჩნევთ, რომ $D(M) \cap D(St)$ და $D(E) \cap D(St)$ წარმოადგენენ ერთეულოვან კლასებს, მაშინ გვექნება შესაბამისი სემანტიკური წესები დესკრიპციებისათვისაც „$\iota x.\ MStx$“ და „$\iota x.\ EStx$“.

დავუშვათ, აგრეთვე რომ ამ ენაში, სემანტიკური წესები ისეთია, რომ დგინდება შემდეგი

თ. 1 $I(\iota x.\ MStx) = I(\iota x.\ EStx)$

ეს გარემოება საფუძველია შემდეგ მტკიცებათა სამართლიანობისა:

თ. 2. $C(\iota x.\ MStx) = C(\iota x.\ ESt)$, (თ1, პ41),

თ 3. $S(\iota x.\ MStx) = S(\iota x.\ EStx)$, (თ 2, პ 28),

თ 4. $D(\iota x.\ MStx) = D(\iota x.\ EStx)$, (თ 2, პ 17).

თ 5. $\iota x.\ MStx \equiv \iota x.\ EStx$ (თ 4 „$\equiv$“-ის გამოყენების თავისებურების ძალით. იხ. გვ. 15).

თ 6. $\iota x.\ EStx \equiv \iota x.\ EStx$ ვინაიდან ცხადია, რომ $D(\iota x.\ EStx) = D(\iota x.\ EStx)$.

თ 7. $\iota x.\ MStx \langle\equiv\rangle \iota x.\ MStx$,

შინაარსის რეფლექსურობის გამო.

თ 8. $(\iota x.\ MStx \equiv \iota x.\ EStx) \wedge (\iota x.\ MStx \langle\equiv\rangle \iota x.\ MStx)$,

(თ 5 და თ 7-დან პროპ. აღრიცხვის ძალით).

გარდა ზემომოტანილი დებულებებისა, შეგვიძლია დავამტკიცოთ შემდეგიც:

თ 9. $\sim [(\iota x.\ MStx \equiv \iota x.\ EStx) \wedge \sim (\iota x.\ EStx \langle\equiv\rangle \iota x.\ MStx)]$

მართლაც,

1. $\iota x.\ EStx \langle\equiv\rangle \iota x.\ MStx$, (თ 1).
2. $(\iota x.\ EStx \equiv \iota x.\ EStx) \rightarrow (\iota x.\ EStx \langle\equiv\rangle \iota x.\ MStx)$, ჩანაცვლება „$p \rightarrow .\ q \rightarrow p$“-ში და Modus ponens-ი,
3. $\sim [(\iota x.\ EStx \equiv \iota x.\ EStx) \wedge \sim (\iota x.\ EStx \langle\equiv\rangle \iota x.\ MStx)]$, ჩანაცვლება $(p \rightarrow q) \rightarrow \sim (p \wedge \sim q)$, Modus ponens-ი.

ახლა, თუ კი „M“, „E“ და „St“-ს შესაბამისად წავიკითხავთ როგორც „ცისკარი“, „მწუხრი“, „ვარსკლავი“, მაშინ „MSt“ იქნება „ცისკრის ვარსკვლავი“. „ESt“—„მწუხრის ვარსკვლავი“, „$\iota x.\ MStx$“—„ის ობიექტი, რომელიც ცისკრის ვარსკვლავია“, ხოლო „$\iota x.\ EStx$“ — „ის ობიექტი, რომელიც მწუხრის ვარსკვლავია“. გარდა ამისა, შინაარსთა იგივეობა შეგვიძლია მივიჩნიოთ ექსტენსიონალთა აუცილებელი იგივეობის პირობად (პ 48), ასე რომ „(. . .) $\langle\equiv\rangle$ (— — —)“ შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „$\Box$ (. . . $\equiv$ — — —)“. ახლა ვრწმუნდებით, რომ (თ 8) შეესაბამება (a)-ს (გვ. 8), ხოლო (თ 9)—(b)-ს უარყოფას (გვ. 8). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლუისის მეთოდის მიღების შემთხვევაში (II) სიძნელე, რომელიც (a) და (b) წანამძღვართა ერთდროულ ჭეშმარიტებას ეყრდნობოდა, აღარ აღმოცენდება. ამით თითქოს ყველაფერი მოგვარდა. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წარმოშობს ახალ სერიოზულ სიძნელეს, ვინაიდან (b)-ს უარყოფის ჭეშმარიტების მტკიცება სცილდება ჩვენს ინტუიციურ წარმოდგენებს აუცილებლობასა და ფაქტის ჭეშმარიტების ბუნების თაობაზე. ინტუიციურად ხომ ჭეშმარიტია სწორედ (b), როგორც გარკვეული ასტრონომიული ფაქტის გამომთქმელი დებულება. ხოლო მისი უარყოფის დადგენა ნიშნავს ამ ფაქტიური ჭეშმარიტების ანალიზურ ჭეშმარიტებად მიჩნევის აუცილებლობას, რაც მთლიანად მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი თუ არა, საკამათო მაინცაა. ამ სიძნელის თავი და თავი შინაარსის ლუისისეული გაგებაა, რომლის მოუკილებლადაც (II)-ს კი მოვხსნით, მაგრამ უფრო ცუდ შედეგს შევინარჩუნებთ. მაგრამ ასეთი მოხსნა, ჯერ ერთი, სცვლის ლუისის მეთოდის სტრუქტურას, და მეორე—(II)-ს ხელუხლებლად ტოვებს.

### ლიტერატურა


1. თევზაძე დ. მნიშვნელობის სემანტიკური ანალიზის ლუისისეულ ცნებათა ექსპლიკაცია, „მაცნე“, (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია), 1975, № 4, გვ. 45—49.

2. Карнап Р. Значение и необходимость, М., 1959, с. 382.

3. Родос В. Б. Теория имен К. И. Льюиса, «Вопросы философии», 1972, № 8, с. 129— 135.

4. Родос В. Б. О значении языковых выражений, сб. «Методы логического анализа», М., 1977, с. 253—262.

5. Тевзадзе Д. Д. О льюсовском методе семантического анализа имен, сб. «Логика, семантика, методология», Тб., 1978, с. 40—55.

6. Черч А. Введение в математическую логику, М., 1960, с. 484.

7. Kretzmann N. Semantics, The Enciclopedia of Philosophy, 1967, № 7, pp. 358—406.

8. Lewis C. J. An Analysis of Knowledge and Valuation, La Salle, 1946.

9. Lewis C. J. Notes on the Logic of Intensions, in: Collected Papers of C. J. Lewis, Stanford, 1970, pp. 420—429.

10. Lewis C. J. Some Suggestions Concerning Metaphysics of Logic, იქვე, pp. 430—441.

11. Quine W. V. Notes on Existence and Necessity, The Journal of Symbolic Logic, 1943, v. 8, pp. 113—27.

12. Quine W. V. Problems of Interpretting Modal Logic, იქვე, 1947, № 12, pp. 43—48.

13. Russell B. On Denoting, in: Readings in Philosophical Analysis, ed. Feigl H., Sellars W., N. Y. pp. 103—115.


Д. Д. ТЕВЗАДЗЕ

## ЧЕТЫРЕ МОДУСА ЗНАЧЕНИЯ В ЛЬЮИСОВСКОМ МЕТОДЕ СЕМАНТИЧЕСКОГО АНАЛИЗА


Резюме

Льюисовский метод семантического анализа вводит четыре модуса значения для объемной и интенсиональной характеристики выражений: денотат, компрехент, сигнификат и содержание.

В настоящей работе сформулированы принципы, подразумеваемые льюисовским методом, которые используются для устранения известных трудностей, связанных с интерпретацией модальных понятий. Выясняется, что без существенной коррекции льюисовская трактовка содержания выражений не позволяет полностью устранить трудность, возникающую при квантификации модальных контекстов, ввиду того, что вытекающее из такой трактовки решение расходится с нашим интуитивным пониманием природы фактических истин.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

Г. Т. МАРГВЕЛАШВИЛИ

# ЭКЗИСТЕНЦИАЛЬНО-ОНТОЛОГИЧЕСКАЯ ТЕМАТИКА В «ЧЕЛОВЕКЕ БЕЗ СВОЙСТВ» РОБЕРТА МУЗИЛЯ

В статье, посвященной формулировке «человек без свойств», австрийский литературовед Дитмар Гольтшниг останавливается на термине «всейства» (Allerschaften), введенном Музилем в противовес к «свойствам» (Eigenschaften), и толкует его как понятие, обозначающее перенос какого-то одного, специфически присущего субъекту свойства на всеобщность (die Allgemeinheit) [1, 3, 27]. (Под всеобщностью тут может подразумеваться только всеобщая совокупность субъектов и вещей, как носителей специфических свойств). При этом Гольтшниг ссылается в основном на речь Музиля, произнесенную на вечере памяти Рильке, в которой писатель относительно подробно остановился на противоположности свойств и всейств. Перенос отдельных свойств на всеобщность определяется автором статьи как процесс абстрактизации, и он являлся для Музиля, как считает автор статьи, характерной чертой современности. Мы, однако, сомневаемся, допустимо ли рассматривать музилевское понятие всейств как результат такого тотального переноса свойств. Всейства (Allerschaften), как их понимает писатель, не имеют на самом деле ничего общего с этим переносом: в упомянутой речи о Рильке Музиль говорит именно о его недопустимости, о невозможности понимать аналогии и сравнения в прямом смысле (т. е. как перенесение свойств на различные субъекты [2, 1238].

В ходе анализа, проводимого писателем в речи о Рильке, становится ясно, что он подразумевает под всействами. Так при рассмотрении метафоры «зубы ее были словно слоновая кость» отвергается прямой, а также «непосредственно» переносный ее смысл, по которому зубы похожи на слоновьи клыки, или существует сходство по фактуре между ними. Вместо этого Музиль, чтобы уловить сущность аналогии (des Gleichnisses), предлагает более осторожное умозаключение: «Было что-то, не знаю сам, общее» (Ein ich weiβ nicht was, war gemeinsam) [2, 1236]. Общность, которую выражают всейства, оказывается таким образом чем-то совершенно неопределенным, областью, в которой все тематические проявления «свойственности» (Eigenschaftlichkeit) отступают, где свойство может свободно покинуть границы своей особенности и может быть понимаемо полностью нетематически (т. е. может быть причислено к совершенно нетематическому). Отступление тематических особенностей свойства не означает, однако, абсолютного их исчезновения. (Тогда бы аналогии нечего было сравнивать, сопрягать — она была бы невозможна).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Аналогия лишь внешне касается тематической особенности свойства, чтобы тотчас же оттолкнуться в сторону нетематического (т. е. в сторону нетематического объекта, которому в аналогии подчинено это свойство). В музилевском понимании аналогия предстает перед нами как стилистическое средство, основанное на принципиальной неопределенности. Оно предполагает своеобразное колебание сознания между тематическим и нетематическим смыслом свойства, причем под первым надо понимать его тематическую специализацию и возникающие отсюда правила его связи с субъектными понятиями (Subjektbegriffe), а под вторым — нетематическую взаимосвязь свойства с логическим субъектом аналогии. Следовательно, в качестве структурно-логического фундамента аналогии всейство является выражением единства тематического и нетематического смысла свойства и даже гарантией возможности такого единства.

Как точнее определить это единство? Возможно ли найти более универсальную основу этого, структурирующего аналогию элемента? Это вполне возможно, если мы обратимся к хайдеггеровскому понятию экзистенциальности. Экзистенциальность — это экзистенция (Dasein), проявляющаяся в первичной данности как в модусе тематического, так и нетематического (например, как подлинное и ложное), т. е. бытие, как постоянный переход от одного этого модуса к другому, как подвижность между этими двумя сущностными полюсами[1].

Диалектика тематического и нетематического как фундаментальная структура экзистенциалий, правда, не была прямо затронута Хайдеггером в его аналитике. Чисто трансцендентальная нацеленность его анализов, главным направлением которых было нахождение соотнесенности всех экзистенциалий с первичным временем Dasein, исключала разработку многих других аспектов экзистенциальности, прежде всего диалектических. Все же следы указанной диалектики можно найти во всех основных понятиях теории Хайдеггера. Ее принципиальное значение особенно четко проявляется в противопоставлении экзистенциального и категориального, представляющего собой тот краеугольный камень, на котором воздвинуто хайдеггеровское учение об экзистенции. В рамках трансцендентальной концепции времени значение этого противопоставления сосредоточено в различии между экзистенциальным бытием, как неналичествующим сущим, и категориальным сущим, просто наличествующим. Для исследования, которое больше ориентируется на диалектическую валентность этого различия, большое значение приобретает противопоставление экзистенциального и категориального, как противоположности между сущим с монотематическим видом бытия и сущим с политематическим образом экзистенции. В первом случае, сущее — только то,

[1] О диалектике тематического и нетематического как структурной и ценностной основе экзистенциалий — сравни Г. Т. Маргвелашвили, Аксиологическое значение различия между экзистенциальным и категориальным в хайдеггеровском онтологическом учении, Тбилиси, 1979, с. 70. и след.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

что оно есть, или оно будет таким, каким оно должно стать в силу определенных причин, действенных для этого сущего, т. е. другими словами, оно существует благодаря определенным, строгим, тематическим (а именно — монотематическим) правилам развития. Все иное, что существует по другим правилам бытия, что не укладывается в тематику данного сущего, остается для него закрытым. (Как, например, различные домашние животные, обитающие на крестьянском дворе, существуют бок о бок, не замечая друг друга, являясь друг для друга нетематическими существами). Все такое сущее (по хайдеггеровской терминологии — «категориально сущее») характеризуется, итак, тем, что оно застывает в определенных свойствах, существует и умирает в своих границах. В отличие от него, экзистенция не застывает в тематических свойствах — она выходит за их рамки, она понимает свою («свойственную») экзистенциальную тематику, исходя из того, что для этой тематики совершенно ново, чуждо, (еще) нетематично и т. д.

Если экзистенциальность представима только онтодиалектически, т. е. как подвижная, меняющаяся соотнесенность с тематическим или нетематическим, то аналогия, которую мы определили как выражение вариации между этими полюсами, может быть понята как экзистенциально фундированный феномен. Тогда музилевский термин «всейство» имеет экзистенциально-онтологическую направленность, а точнее: это — понятие, которое находит и фиксирует через аналогию единство тематического и нетематического, как основную характеристику экзистенциального бытия. Тогда метафора может быть понимаема как нечто, возникшее в том «плавильном тигле свойственности», коим является экзистенциальность благодаря своему всейственному (это означает здесь: трансцендирующему всякое ограничение через свойства) бытию, тогда „Ich weiβ nicht was“ общности, заключенное в аналогии и сравнении, то неопределенное, лежащее в основе поэтического способа выражения, может быть лишь экзистенциальное Dasein, как постоянное движение между тематическим и нетематическим, как свобода от ограничения в свойствах, тогда эта подвижность и свобода являются структурной предпосылкой возможности представить онтологически различные сущие в свойственном синтезе (во всейственности) и предпосылкой экзистенциальной ценности таких представлений. Что касается этой ценности, то мы ограничимся указанием на хайдеггеровскую дефиницию поэзии как единства несказуемого (т. е. нетематического, не тематизируемого) и того, что можно высказать (т. е. тематического, тематизируемого). В понимании Хайдеггера, следовательно, поэзия предстает как нечто, тесно связанное своими корнями с диалектикой экзистенциальности.

Близость мыслей Музиля к положениям философии Хайдеггера должна быть понимаема не как результат прямого влияния философа на писателя, следов которого найти действительно нельзя, а исходя из проблематики творчества Музиля, из тех ее аспектов, исследуя ко-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

торые мы можем установить экзистенциальность (как она охарактеризована в фундаментальной онтологии Хайдеггера) в качестве доминирующей структурной основы «Человека без свойств».

Центром проблематики этой книги является экзистенция, человеческое существование, каким оно рисуется Ульриху, герою этого произведения. Экзистенция открывается ему во всейственной неопределенности. Установка человека по отношению к миру совпадает тут с установкой аналогии, «способной все превратить во все: снег — в кожу, кожу — в цветы, цветы — в сахар, сахар — в пудру, и пудру опять — в снежную метель... Для нее есть одна цель — сделать нечто тем, чем оно не является..., потому что она нигде т. е. ни в какой тематически-свойственной ограниченности) не задерживается надолго, где бы ни находилась» [3, 174]. Поэтому попытка рассмотреть проблематику романа как по сути экзистенциальную проблематику находит свое обоснование в самом романе, в поиске еще не реализованных (еще не тематизированных) возможностей бытия, в выходе к свойственной (тематической) безграничности человеческого существования.

Количественно преобладающим типом среди персонажей «Человека без свойств» является тип экзистенции, определенной «через свойство», (т. е. экзистенции, детерминированной категориальной закрепленностью). Различие между ними состоит в том, что одни ограничиваются конкретными тематическими (existenzthematisch) интересами (Вальтер, Арнгейм), а другие сублимируют свою тему (т. е. желанные свойства) в высокие, не поддающиеся непосредственной тематизации, идеалы (Диотима, Кларисса, Ганс Зепп). Очень важно в этой связи то обстоятельство, что в каждой этой разновидности категориально застывшей экзистенциальности все же живет, пусть пассивное, понимание всейственной неопределенности (бытия, как открытости навстречу нетематическому), проявляющееся, правда, в крайне мимолетной форме. В нашем анализе эти разновидности расположены в виде спектра между Ульрихом, понимающим конституционное значение всейственной неопределенности для человека, и Моосбруггером, представляющим собой после Ульриха второй тип, в котором экзистенциальность находит свое полное, онтодиалектическое выражение.

Чтобы уяснить себе место, которое занимает в этом спектре Моосбруггер, надо обратить внимание на постоянную угрозу экзистенциальному движению между тематическим и нетематическим со стороны категориальных (и категорических) факторов, имеющих тематически фиксирующее воздействие. Как зависимое от окружающей природы бытие, экзистенция склонна понимать себя больше через категории (и даже полностью в них растворяться), чем через экзистенциалии. Такой категоризации особенно подвержена экзистенциальная структура бытия-в-мире, поскольку в эмоциональной жизни доминирует тематизирующее начало, а нетематический элемент (первично данный и не менее важный) часто из-за этого подавляется

ეროვნული ბიბლიოთეკა

и забывается. Категоризация экзистенциальности, задерживая движение в сторону нетематического, может вызвать здесь перерождение в патологическую тягу к антитематическому, к злу, как абсолютно другому по отношению к всейственной неопределенности. Если экзистенция не может сама воспротивиться такой радикальной фиксации на антитематическом, не может хотя бы на уровне интуиции сохранить первичную онтодиалектическую свободу, она становится жертвой категоризирующих влияний на свое бытие-в-мире. Так, нам кажется, следует понимать судьбу Моосбруггера в «Человеке без свойств».

Но даже в мрачной судьбе Моосбруггера есть проблески движения между тематическим и нетематическим, пробивающиеся сквозь крайнюю и ужасающую форму категоризации бытия: «Это была честная жизнь», говорится в романе, «прерываемая преступлениями... [3,308]. Здесь еще ощутима вибрация экзистенциального бытия, но движение происходит лишь между категорическими противоположностями — из антитематического в тематическое и назад.

Заслуживает пристального внимания то, как Музиль пытается провести границу между этой формой патологической трансформации открытости в сторону нетематического и первоначальным (позитивным) значением этого бытия. Это прослеживается при развитии понятия «утопии точного бытия» (Utopie des exakten Lebens), которое можно истолковать как парафраз экзистенциального принципа подвижности между тематическим и нетематическим. Содержанием понятия этой утопии является «парадоксальное соединение точности и неопределенности» [3, 313]. Точность обозначает тематическую (насквозь тематизированную) определенность, а неопределенность — все, еще не тематизированное, нетематическое. Итак, в этом понятии точность (тематическая определенность) представлена во взаимоотношении с неопределенностью. Поэтому его можно считать понятием, обозначающим экзистенциальную открытость точного навстречу неточному, свойственно-ограниченного навстречу всейственному (свойственно-безграничному). Человек представлен тут в движении между этими оппозициями, и эта подвижность принята за основу его развития, его прогресса.

Для экзистенциального по сути образа мыслей Музиля характерно, что писатель хотел бы освободить «точного» человека от его профессиональной (тематической) ограниченности, что он хотел бы придать его жизни смысл, охватывающий ее целиком, что он видел скрытое в «точном» человеке этическое существо, т. е. именно существо, открытое и для всего нетематического и имеющее поэтому в себе искру от «первичного пламени доброты».

Из этого и подобных утверждений, встречающихся в «Человеке без свойств», можно сделать вывод, что Музиль придает открытости человека в сторону неопределенного (нетематического) значение достаточно прочного этического фундамента, а в динамическом факторе этой открытости (в движении между тематической определенностью и тематической неопре-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

деленностью) видит основу морали. Эта основа, хотя и засыпана категоризирующими и тематизирующими стереотипами экзистенции, существует и действует до поры до времени в состоянии тематической заслоненности, неверно понимаемая в ее общечеловеческом (этическом) значении, понимаемая прежде всего как подтверждение характерного для «точного» человека профессионального интереса. Очень важно также далее, что Музиль, хотя трудность (утопичность) концепции была ему ясна — ведь поистине невозможно человеку парить в постоянно переделываемом мире, чего требует углубление в неопределенное, нетематическое! — не переставал говорить об этой идее, как желанной возможности. Наверное, потому, что все формы вырождения человеческой открытости навстречу нетематическому имеют своим источником категоризирующие влияния, которые не находятся в сущностном взаимоотношении с динамическими (онтодиалектическими) структурами экзистенциального бытия. Категорические (категоризирующие) односторонности могут порождать в экзистенции только зло, в то время как постоянное движение между тематическим и нетематическим является фундаментом добра (des existenziell Guten). Нетематическое н следует смешивать с криминальным, преступным, т. е. антитематическим. Последнее подразумевает категоризирующее отношение (измывательство) к экзистенциальности, ее подчинение онтологически чуждым видам бытия. Кроме того, зло имеет категориально-закрепляющий характер: оно имеет тенденцией втягивать экзистенциальность в тематически неизменную определенность и удерживать ее в этом патологическом состоянии. Доказательством тому служит феномен нечистой совести.

Нечистая совесть приковывает экзистенцию к преступлению (воспоминанию о нем), превращает злое деяние в единственную сущностную тему экзистенции, от которой она не может освободиться, которая ее постоянно мучает. Эта затравленность заставляет экзистенцию восстать против тематических оков, предпринять отчаянную попытку вновь стать свободной для нетематического. Другими словами, зло — остановка движения между тематическим и нетематическим, замыкание экзистенциальности в категорических границах односторонних, свойственно-тематических детерминаций, застывание в онтологически самом чуждом, антитематическом состоянии.

## ЛИТЕРАТУРА


1. Goltschnigg, Dietmar. Die Bedeutung der Formel «Mann ohne Eigenschaften» в Musil-Studien 4. Von Törleβ zum Mann ohne Eigenshaften, herausg. von Uwe Baur und Dietmar Goltschnigg, München-Salzburg, 1973, с. 327.
2. Musil Robert, Gesammelte Werke in neun Bänden, Bd. 8, Reinbeck bei-Hamburg, 1978, с. 1238.
3. Musil Robert, Der Mann ohne Eigenschaften, Bd. 1, Berlin, 1975, с. 174.


Представил член-корреспондент АН Грузинской ССР
Н. З. Чавчавадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსიქოლოგია

ალექსანდრე ფრანგიშვილი

## მასალები საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში განწყობის თეორიის განვითარების ისტორიისათვის

საბჭოთა ფსიქოლოგიის ისტორია არის მარქსიზმის მეთოდოლოგიის შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია. საბჭოთა მეცნიერებაში მხოლოდ 20-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მოძრაობა მარქსიზმის საფუძველზე ფსიქოლოგიის აგებისათვის. პირველი საგულისხმო ნაშრომი ამ საკითხზე — კ. კორნილოვის წიგნი „თანამედროვე ფსიქოლოგია და მარქსიზმი" — გამოვიდა 1923 წელს.

იმის მიხედვით, თუ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მარქსისტული მოძღვრების რა პრინციპები იყო შეწყნარებული, საბჭოთა ფსიქოლოგიის ისტორიაში ჩამოყალიბდა მატერიალისტური ფსიქოლოგიის აგების სხვადასხვა მეთოდოლოგიური კონცეფცია.

დ. უზნაძე ფსიქოლოგიის ამოსავალი ცნების საკითხის განხილვისას ეყრდნობა მარქსისტული თეორიის ძირითად პრინციპს, რომელიც „მარქსმა შემდეგი სახით გამოხატა: „განხილვის პირველი წესის დროს (ე. ი. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში — დ. უ.) გამოდიან ცნობიერებიდან, როგორც ცოცხალი ინდივიდიდან, მეორე წესით განხილვისას კი, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას შეეფერება, გამოდიან თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდებიდან და განიხილავენ ცნობიერებას მხოლოდ როგორც *მათ* ცნობიერებას" [2, 266]. დ. უზნაძე წერს, რომ მარქსის ეს დებულება „სავსებით გარკვევით მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერება თავისი კვლევის საგნის გარკვევისას ამოდის ფსიქიკური მდგომარეობების ცნებიდან, რომელიც კონკრეტული ფსიქიკური აქტივობის მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ რაღაც უდავოდ აბსტრაქტულს, ადამიანის მოქმედების, ცოცხალი სინამდვილისაგან სრულიად განყენებულს". დ. უზნაძის და მისი სკოლის გამოკვლევებში კონკრეტული ფსიქოლოგია ნაგულისხმევია, როგორც ისეთი ფსიქოლოგია, რომლის საგანი არ არის მოწყვეტილი ცოცხალი სინამდვილიდან. ეს გულისხმობს იმ კონცეფციის დაძლევას, რომლის მიხედვით როგორც განცდა, ისე მოქმედება ადამიანის საქმიანობის ცოცხალი სინამდვილიდან მოწყვეტილ, აბსტრაქტულ სფეროებადაა წარმოდგენილი; კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოცანადაა დასახული „ნამდვილად მოქმედი ადამიანის ფსიქოლოგიის აგება". „ფსიქოლოგიის ამოცანა, პირველ რიგში, სწორედ ამ *მოქმედების* შესწავლაა, მოქმედებისა, რომლის საფუძველზეც აღიმართება შემდეგ მთელი ჩვენი ფსიქიკური შინაარსები" [2, 266].

ამრიგად, განწყობის თეორია მარქსისტული მოძღვრების პრინციპიდან გამომდინარეობს და ფსიქოლოგიის, როგორც კონკრეტული მეცნიერების აგების, მეთოდოლოგიურ კონცეფციას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ განწყობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორია, როგორც მეთოდოლოგიური კონცეფცია, აგრეთვე ეყრდნობა განწყობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგებს.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს განწყობის ექსპერიმენტული, კონკრეტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების განვითარების ისტორიის გათვალისწინება და იმის დადგენა, თუ განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგებმა რა გავლენა იქონიეს ფსიქოლოგიის კერძო დარგების, სპეციალური ფსიქოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაზე. ეს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ისტორიის ცალკე სფეროს განეკუთვნება. ჩვენი ამოცანაა ზ ო გ ი ე რ თ ი მასალის გამოვლინება, რომელიც შუქს მოჰფენს განწყობის თეორიის მონაპოვართა მნიშვნელობას საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლაში.

ჩვენ არა გვაქვს არც იმის პრეტენზია, რომ წარმოვადგენთ განწყობის თეორიის როგორც საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციის განვითარების სრულ, სისტემატურ ისტორიას. როგორც ამ ისტორიის მრავალი ფაქტის მოწმე, შევეცდებით ზოგიერთი, ჩვენი აზრით ამ საკითხის უფრო სისტემატური გამოკვლევისათვის მნიშვნელობის მქონე, მასალის მხოლოდ ფრაგმენტულ მიმოხილვას. ამასთანავე მიმოხილული იქნება ისეთი მასალები, რომლებიც ერთგვარად გაგვითვალისწინებს განწყობის თეორიის შინაგანი განვითარების ეტაპებს.

თავს შევიკავებთ მეთოდოლოგიურ საკითხებში განწყობის თეორიიდან განსხვავებული თეორიების კრიტიკიდან, მხოლოდ შევეცდებით საბჭოური ფსიქოლოგიის თეორიის განვითარებაში განწყობის ცნების მნიშვნელობისა და სხვადასხვა მეთოდოლოგიურ კონცეფციებში მისი ადგილის გარკვევას.

* * *

1. დ. უზნაძის ფსიქოლოგიური მოძღვრების განვითარებამ გარკვეული ეტაპები გაიარა. დასაწყისი ეტაპების („ბიოსფერული ფსიქოლოგია“, „ქვეფსიქიკურის კონცეფცია“) ზოგიერთი საკითხი განხილული გვაქვს ჩვენს წერილებში (ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ № 5—7, № 8—9, თბ., 1932. კრებული «Ш. И. Нуцубидзе». თბ., 1980, თბილ. სახ. უნივერს. გამომცემლობა). დ. უზნაძის ფსიქოლოგიური მოძღვრების განვითარების დასაწყისი ეტაპი რიგ მკვლევართა შესწავლის საგანი იყო. ამათგან, ჩვენ გამოვყოფთ ა. ასმოლოვის გამოკვლევას [5]. ა. ასმოლოვი დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის განვითარებაში გამოყოფს ორ პერიოდს „ბიოსფერული ფსიქოლოგიის“ შესწავლისა და „განწყობის“ შესწავლის პერიოდებს. ა. ასმოლოვის შეხედულებით, თავდაპირველად, დ. უზნაძის მიერ „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევა ნაცადი იყო ფილოსოფიურ პლანში ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის დამოკიდებულების შუა რგოლის ცნების შემუშავების გზით. „ბიოსფეროს“, „ქვეფსიქიკურის“ ცნებები მოწოდებული იყვნენ ნეიტრალური სუბსტანციის შესახებ ფილოსოფიური წარმოდგენების შემუშავებისათვის, ნეიტრალური სუბსტანციისა, რომელიც წარმოქმნის ფსიქიკურ პროცესებს და იმყოფება ცნობიერების დახშული წრის მიღმა. შემდეგში დ. უზნაძე უშუალობის პოსტულატის დაძლევას იმით ცდილობს, რომ ექსპერიმენტული გზით შეისწავლის კონკრეტულ რეალობას — „განწყობას“, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბიექტის საქმიანობაში გარკვეული როლის მქონეს, წარმოჩენილს „საშუალო ტერმინის“ ფუნქციით [5, 17—25].

საგულისხმო ისიც არის, რომ ა. ასმოლოვი განწყობის როგორც არაცნობიერი ფსიქიკურის დადებითი დახასიათების ცნებას „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევის ამოცანას უკავშირებს[1].

დ. უზნაძის ფსიქოლოგიურ კონცეფციაში უნდა გამოიყოს ორი მხარე: ფსიქიკური მოქმედების ზოგადი თეორია და განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემის აგებისაკენ მიმართული ძიებების ნაკადს ადრე შეუერთდა განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემები. საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ კონცეფციაში განწყობის თეორიის პრინციპული დებულებების დამკვიდრების პროცესი უფრო შენელებულად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, როგორც სწორად აღნიშნავს ა. პეტროვსკი, „განწყობის თეორია მთლიანად ვითარდებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიის შიგნით და მასთან ერთად“ [10, 317].

იმის საილუსტრაციოდ, რომ განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაპოვარი ფართო მასშტაბით მკვიდრდებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში, მოვიყვან რამდენიმე საგულისხმო ისტორიულ ფაქტს. დ. უზნაძემ განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საკითხებზე პირველი გამოკვლევა გამოაქვეყნა საბჭოთა ფსიქოლოგიის ცენტრალურ ჟურნალ „ფსიქოლოგიაში“ 1930 წელს: „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის საკითხისათვის“.

ფსიქოტექნიკის საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში 1933 წელს დ. უზნაძემ, როგორც საბჭოთა ფსიქოლოგთა დელეგაციის წევრმა, წაიკითხა მოხსენება, რომელშიც პროფესიის ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით გადმოცემული იყო განწყობის ფსიქოლოგიის პოზიტიური მონაცემები („პრო-

---

[1] დ. უზნაძემ არაცნობიერი ფსიქიკურის ცნების კანონიერების დასაბუთების ის გზა დასახა, რომელიც „ქვეფსიქიკურის“ იდეის შემუშავებისას არ იყო მხედველობაში მიღებული. „სულ სხვა სურათი გადაიშლება თვალწინ — წერს დ. უზნაძე — თუ საქმის ვითარებას მატერიალისტური თვალსაზრისით შევხედავთ. თუ ვიგულისხმებთ, რომ ფსიქიკა სინამდვილის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს, რომ იგი განვითარების პროცესში ჩართული რეალობაა. „...ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია იგი ცნობიერების ფარგლებით იყოს შეზღუდული დაუსაბუთებელი იქნებოდა აზრი, რომლის მიხედვითაც ცნობიერი ფსიქიკური მოვლენების აღმოცენებას წინ არ უსწრებს საფეხური ცნობიერებას მოკლებული ფსიქიკური რეალობისა“ [2, 10].

„ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის, რომელიც ფსიქიკურს მხოლოდ სუბიექტურში — ცნობიერში თუ არაცნობიერში — სჭვრეტს, განვითარების თვალსაზრისი უცხოა... რაც შეეხება საკითხს, თუ განვითარების რა საფეხურები უსწრებენ წინ ამ ცნობიერი პროცესების აღმოცენებას...როგორ მზადდება მათი წარმოშობა და აქტიურ მდგომარეობაში გადასვლა... ეს საკითხი ბურჟუაზიულ მეცნიერებას ყოველთვის ყურადღების გარეშე რჩებოდა. იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ ცნობიერი სულიერი ცხოვრება ისევე პირველადია, ისევე თავისთავადი და გამოუყვანელი როგორც ფიზიკური, მატერიალური სინამდვილე. იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ სული, რომელიც შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის აქტებში იჩენს თავს, დამოუკიდებელი რეალობაა, და მისი წინასაფეხურებზე დაყვანის აზრი თავში არავის მოუვიდოდა“ (იქვე, გვ. 10). ასეთი მიდგომის შედეგად მიღებული იქნა მონაცემები, რომლებმაც დ. უზნაძე მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ „მოძღვრება არაცნობიერის შესახებ, არსებითად, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სწორ წარმოდგენას ემყარება, რამდენადაც მართებულად უსვამს ხაზს, რომ ცნობიერი პროცესები სრულიად არ ამოსწურავენ ფსიქიკის მთელ შინაარსს“ [2, 46], შდრ. Прангишвили А. С. Проблема бессознательного в психологической концепции установки, «Психологический журнал», т. I, № 6, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესიის ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანები და თეორიული საფუძვლები", თბ., 1938).

დ. უზნაძემ პირველი განმაზოგადებელი მოხსენება განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე, მის მიერ დაფუძნებული სკოლის მიღწევების შესახებ, გააკეთა მოსკოვში, პედაგოგიური მეცნიერების საკავშირო კონფერენციაზე, 1941 წელს.

თუ რამდენად მტკიცე შემოქმედებითი კავშირები არსებობდა საბჭოთა ფსიქოლოგიის სხვადასხვა სამეცნიერო კოლექტივებსა და ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას შორის, ამას მოწმობს საიუბილეო კრებული „ფსიქოლოგია", ტ. III, 1946 წ. (პასუხისმგებელი რედაქტორი ა. ფრანგიშვილი), რომელიც მიეძღვნა დ. უზნაძის 60 წლისა და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავს. ამ კრებულში, რომელმაც გააერთიანა გამოკვლევები, მრავალმხრივ მონათესავე დ. უზნაძის ძირითად სამეცნიერო მიმართულებასთან, მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ფსიქოლოგიის მრავალი სამეცნიერო კოლექტივის გამოჩენილმა მესვეურებმა: ბ. ანანიევმა, პ. გალპერინმა, ნ. ვოიტონისმა, ა. ზაპოროჟეცმა, ს. კრავკოვმა, ა. ლეონტიევმა, ა. ლურიამ, ნ. ლადიგინა-კოტსმა, ვ. ოსიპოვმა, ა. სმირნოვმა, ბ. ტეპლოვმა და სხვა.

საიუბილეო გამოცემაში «Психологическая наука в СССР» (I—II) სპეციალური დანაყოფები მიეძღვნა ქართველ ფსიქოლოგთა ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებს. მრავალი მონაცემის მოყვანა შეიძლებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შედეგების ფართო აღიარების დასადასტურებლად. ვფიქრობ, მოყვანილი ფაქტებიც ნათელს ხდიან, თუ რამდენად არასწორი იყო ბ. ტეპლოვის განცხადება, რომელიც მან გააკეთა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწვეულ თათბირზე, 1952 წელს. თავის დასკვნით სიტყვაში პროფესორმა ბ. ტეპლოვმა თქვა: «Пусть простят меня уважаемые представители грузинского института психологии, я не могу не указать на совершенно исключительную оторванность грузинской школы от всей советской психологии. И вина в этой оторванности, конечно, лежит на вас, а не на всех советских психологах. Ведь не в том дело, что вы оторваны от московского института психологии или от московских психологов вообще. Вы оторваны от ленинградских психологов и от украинских, и от всех других психологов Советского Союза».

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, პროფ. ბ. ტეპლოვის ასეთი ზოგადი განცხადება ქართული ფსიქოლოგიური სკოლის „მოწყვეტილობის" შესახებ არ იყო სწორი. განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ფართოდ შეიჭრა საბჭოთა მკვლევრების ექსპერიმენტული ძიებების ნაკადში. ეს პროცესი 1930 წლიდან დაიწყო. იგი ცალკე შესწავლის საგანია. თავისი სიტყვის დასასრულში პროფ. ბ. ტეპლოვი უფრო ნათელს ხდის, თუ რას გულისხმობს ამ „მოწყვეტილობის" ქვეშ. მან თქვა: «Мы не сомневаемся в том, что вы представляете собой очень сильний научный коллектив, что у вас высоко стоит культура эксперимента, что вы накопили много очень интересных экспериментальных фактов. Это мы знаем. Но мы не знаем того, что является для вас главнейшим, — не знаем теорию установки» [8,270].

პროფ. ტეპლოვს როგორც ჩანს, „განწყობის თეორიის" მეთოდოლოგიური დებულებები მიაჩნდა საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიისაგან „მოწყვეტილად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ბ. ტეპლოვის განცხადება მოვიყვანეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ნათელი გაგვეხადა ფაქტი: მართალია საბჭოთა ფსიქოლოგიაში მკვიდრდებოდა განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, მაგრამ ერთსულოვნად არ იყო შეწყნარებული განწყობის თეორიის დებულებები, როგორც საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციის პრინციპები. დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ ამ მიმართულებით საჭირო გახდა ფართო დისკუსიების ჩატარება. დისკუსიების შედეგებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს საბჭოთა ფსიქოლოგიაში განწყობის თეორიის პრინციპების დამკვიდრებისათვის. განწყობის თეორიის საკითხებზე მნიშვნელოვანი დისკუსიები ჩატარდა ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრებისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესიის შედეგებთან დაკავშირებით. 1952 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თბილისში ჩაატარა დისკუსია თემაზე: „საბჭოთა ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი". მოხსენებით გამოვიდნენ: ა. ფრანგიშვილი — „ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი"; ა. ბოჭორიშვილი — „ფსიქოლოგიის ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ", რ. ნათაძე — „ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი"; ი. ბჟალავა — „ფსიქიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლებისათვის"; დ. რამიშვილი — „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა ენის შესახებ ამხანაგ სტალინის მოძღვრების შუქზე".

ჟურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის" რედაქციამ აუცილებლად ჩათვალა თავისი გამოსვლის პირველივე წელი (1955) განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე დისკუსიის წამოწყებით აღენიშნა. ამ ჟურნალში დისკუსია განწყობის თეორიის საკითხებზე დაიწყო. ა. ფრანგიშვილის სტატიით: „განწყობის ცნებისათვის საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში", № 3, 1955 წ. დისკუსია რამდენიმე წელს გაგრძელდა[2].

განწყობის თეორიის საკითხებზე დისკუსია გაიშალა აგრეთვე ფსიქოლოგთა III საკავშირო თათბირზე (1—5 ივლისი, 1955 წ.). ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ჟურნალის რედაქტორმა პროფ. ა. სმირნოვმა, შეაჯამა რა თათბირის მუშაობა, აღნიშნა: «Многие из нас уже неоднократно имели возможность знакомится с экспериментальными исследованиями грузинских психологов. Мы видим, что они представляют большой научный интерес... Вместе с тем, у нас всегда бывала большая неудовлетворенность от того, что в этих работах не были представлены в достаточно развернутом виде теоретические позиции авторов этих рабст.

Именно поэтому мы решили на настоящем совещании особое внимание уделить теоретической концепции наших товарищей, работаюших в институте психологии имени Д. Н. Узнадзе. Именно это занимало центральное место в их докладах. Именно это явилось предметом широкого обсуждения, развернувшегося по выслушанным нами докладам».

---

[2] А. С. Прангишвили, Некоторые замечания по дискутируемым вопросам теории установки, журн. «Вопросы психологии», 1958, № 4. А. С. Прангишвили, Понятие установки в системе советской психологии в свете исследования грузинской психологической школы, журн. «Вопросы психологии», № 4, 1967. А. С. Прангишвили, Проблема бессознательного в психологической концепции установки. «Психологический журнал», т. I, № 6, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქოლოგთა III თათბირზე განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე მოისმინეს მოხსენებები: ა. ფრანგიშვილი — „განწყობის ცნება საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში“; ზ. ხოჯავა — „განწყობის როლი ვარჯიშის პროცესებში“; ვ. ნორაკიძე — „ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა“; ი. ბჟალავა — „ფიქსირებული განწყობის ფსიქოპათოლოგიისათვის“.

ფსიქოლოგთა III საკავშირო თათბირზე გამართული დისკუსიის ანგარიში გამოქვეყნდა ჟურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის“ 1955 წლის № 6, გვ. 72—112.

60-იან წლებში დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების შრომების რუსულ ენაზე გამოცემებმა (გამოვიდა სერია „ექსპერიმენტული გამოკვლევები განწყობის ფსიქოლოგიაში“, რედ. ა. ფრანგიშვილი, ზ. ხოჯავა) და განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე ჩატარებულმა დისკუსიებმა უთუოდ დადებითი როლი ითამაშეს საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების შემდგომ შესწავლაში.

საიუბილეო გამოცემაში „ფსიქოლოგიური მეცნიერებანი სსრკ-ში“, ტ. II, 1960, განწყობის კონცეფცია საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიულ მონაპოვრადაა წარმოდგენილი (იხ. ა. ფრანგიშვილი, განწყობის ზოგად-ფსიქოლოგიური თეორია). აღსანიშნავია, რომ ა. სმირნოვის მიერ შედგენილ სისტემატურ კურსში („ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა საბჭოთა კავშირში“, 1975) „განწყობის პრობლემა“ ცალკე თავადაა (VI) გამოყოფილი. ამ თავში, განიხილავს რა განწყობის ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლის დარგში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაპოვარს, ა. სმირნოვი დაასკვნის — „განწყობა — ესაა ცენტრალური ახსნითი ცნება“ [12, 280].

აღსანიშნავია, ისიც, რომ ჟურნალ „ვოპროსი პსიხოლოგიის-ს“ საიუბილეო ნომერში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, დაიბეჭდა ა. ფრანგიშვილის წერილი „განწყობის ცნება საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამოკვლევათა შუქზე“.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ დღეისათვის საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიის საკითხები საბოლოოდ დამუშავებულია და განწყობის თეორიის ადგილი ფსიქოლოგიის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიურ კონცეფციაში საბოლოოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. ეს ასე არ არის. ჯერ კიდევ შესასწავლია მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიური თეორიის ბევრი საკითხი. ჩვენი ამოცანა ახლა იმის გარკვევის ცდაა, თუ დღეისათვის საბჭოთა ფსიქოლოგიური სკოლების მეთოდოლოგიური კონცეფციების განვითარებაში რამდენად აქვს ანგარიში გაწეული განწყობის თეორიის მონაცემებს და რამდენად უკავშირდება მათი შემდგომი განვითარების გზები განწყობის თეორიის სფეროში წარმოებული ძიებების შედეგებს.

2. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარების მეთოდოლოგიური საფუძველია ასახვის მატერიალისტური თეორია, რომლის მიხედვით ადამიანის მიერ სინამდვილის ასახვა არ არის პასიური პროცესი. ასახვა ყოველთვის ხდება ადამიანთა აქტიური საქმიანობის პროცესში. აქედან გამომდინარე, ცნობიერებისა და საქმიანობის ერთიანობა წარმოადგენს საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპს. ფსიქიკის, ცნობიერებისა და საქმიანობის, ქცევის ერთიანობის პრინციპი სპეციფიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპექტშია წარმოდგენილი გამოკვლევებში განწყობის თეორიის საკითხებზე.

საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციების ჩამოყალიბების ისტორიის მკვლევარები ადასტურებენ, რომ ფსიქიკის, ცნობიერებისა და საქმიანობის ერთიანობის მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავების ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობის მქონე ორიენტირს წარმოადგენს დ. უზნაძის მიერ გამოვლინებული, ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში დოგმატურად მიღებული, „უშუალობის პოსტულატი“. დ. უზნაძის მიხედვით, „უშუალობის პოსტულატით“ ობიექტური სინამდვილე უშუალოდ ახდენს გავლენას ცნობიერებაზე, ფსიქიკაზე და უშუალო კავშირში განსაზღვრავს მის მოქმედებას. დ. უზნაძის შეხედულებით, საბჭოთა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბება და ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგება გულისხმობს „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევას. ა. ლეონტიევი იზიარებს დ. უზნაძის შეხედულებას, რომ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის განვითარებისათვის „უშუალობის პოსტულატი“ საბედისწერო იყო. ა. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ უშუალობის პოსტულატზეა დაფუძნებული ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში გაბატონებული ქცევის ორწევროვანი ანალიზის სქემა: სუბიექტის რეცეფციის სისტემებზე ზემოქმედება და მოცემული ზემოქმედებით აღძრული სუბიექტური და ობიექტური მოვლენები [9, 75—76].

სამართლიანად აღნიშნავს ა. ასმოლოვი რომ „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევის ამოცანას სავსებით კანონზომიერად შეიძლება ეწოდოს „უზნაძის ამოცანა“. ჩვენი აზრით, საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარებაში ამ ამოცანის სხვადასხვა გაგებამ და მისი გადაწყვეტის სხვადასხვა გზით დასახვამ განაპირობა სხვადასხვა მეთოდოლოგიური კონცეფციების აღმოცენება და მათი სხვადასხვა მიმართულებით განვითარების ტენდენციები.

იმის დასამტკიცებლად, რომ დ. უზნაძის ამოცანის გაგებისა და გადაწყვეტის გზების გარკვევამ განსაზღვრა საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიის სხვადასხვა კონცეფციების განვითარება, მოვიყვანოთ ა. ასმოლოვის მოსაზრება.

«Можно сказать, не рискуя впасть в преувеличение, что классик отечественной психологии Д. Н. Узнадзе самой постановкой задачи преодоления постулата непосредственности задал, пользуясь термином Т. Куна, исходную парадигму, которая в значительной степени определила ход теоретических поисков в советской психологии. Достаточно раскрыть вышедшую монографию А. И. Леонтьева «Деятельность, сознание, личность», в которой постановка задачи преодоления «рокового» по выражению Д. Н. Узнадзе постулата непосредственности — одна из отправных точек исследования».

მართალია „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევა, ე. ი. „დ. უზნაძის ამოცანის“ გადაწყვეტა ა. ლეონტიევის კონცეფციის ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ამის მიუხედავად მას მიაჩნია, რომ „უზნაძის ამოცანის“ დ. უზნაძისეული გადაწყვეტა არაა სწორი. ა. ლეონტიევის შეხედულების მიხედვით, „უშუალობის პოსტულატის“ გადალახვა დაკავშირებულია იმ დიდ სიძნელეებთან, რომლებიც ფსიქოლოგიაში შექმნა ამ პოსტულატის საფუძველზე დამკვიდრებულმა ქცევის ანალიზის ზემოაღნიშნულმა ორწევროვანმა სქემამ. ქცევის ანალიზის ორწევროვანი სქემის გადალახვის ის გზა, რომელსაც ა. ლეონტიევის აზრით დ. უზნაძე გაჰყვა, უპერსპექტივო აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონტიევი წერს: «Одна из линий, по которой шли эти попытки (იგულისხმება უშუალობის პოსტულატის დაძლევა) нашла свое выражение в подчеркивании того факта, что эффекты внешних воздействий зависят от их преломления субъектом, от тех психологических «промежуточных переменных» (Толмен и другие), которые характеризуют его внутреннее состояние. В свое время С. Л. Рубинштеин выразил это в формуле, гласящей, что «внешние причины действуют через внутренние условия». Конечно, формула эта является бесспорной. Если, однако, под внутренними условиями подразумеваются текущие состояния субъекта, подвергающегося воздействию, то она не вносит в схему ничего принципиально нового... Введение понятия промежуточных переменных несомненно обогащает анализ поведения, но оно вовсе не снимает упомянутого постулата непосредственности» [9,76].

ა. ლეონტიევს უშუალობის პოსტულატის დაძლევის ამოცანა ისე ესმის, რომ შუამდებარე ცვლადის ცნებებს ქცევის ანალიზის სამწევროვანი სქემის ადექვატურად არ მიიჩნევს. ამიტომაც ის არ თვლის, რომ განწყობის, როგორც „შუამდებარე ცვლადის“, ცნების მეშვეობით შეიძლებოდეს უშუალობის პოსტულატის მანკიერების დაძლევა. საქმე ისაა, რომ ა. ლეონტიევის შეხედულებით, განწყობა სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის ცნებაა. ამიტომ სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართებებში „შუა წევრის“ მნიშვნელობის გამოსახვა ამ ცნებით არ შეიძლება. ამასთან დაკავშირებით, ა. ლეონტიევი ასე მსჯელობს: „თუ სუბიექტურ მდგომარეობას ჩავთვლით „შუა რგოლად“, მაშინ ისევ რჩება საქმიანობის ანალიზის „ორწევროვანი სქემა“ — ობიექტი და სუბიექტი“.

მაგრამ, დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, განწყობა როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსი, რომლის საფუძველზე გარკვეული ქცევა აღმოცენდება, არ ჩაითვლება **წმინდა** „სუბიექტურ მდგომარეობად“. განწყობა სუბიექტის ისეთი შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც, როგორც რეაგირებისადმი მზაობის მდგომარეობა, თვითონვეა ობიექტური ქცევის მომენტი. ამდენად, განწყობა ერთი და იმავე დროს ყოფიერების ასახვაც არის და რგოლიც საქმიანობის რეგულაციაში. ამ მნიშვნელობით იგი როგორც შინაგანი — სუბიექტისა და ქცევითი — ობიექტური მომენტების მთლიანობაა. ასეთ მთლიანობით მდგომარეობად წარმოსდგება ფსიქოლოგიისათვის ამხსნელი ინსტანცია — „შუა რგოლი“ განწყობის თეორიის მიხედვით.

მაშ, ლეონტიევის აზრით, უშუალობის პოსტულატის დაძლევის ის გზაა სწორი, რომელიც გამაშუალებელ რგოლს გულისხმობს სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობაში და არა სუბიექტის მდგომარეობაში. უშუალობის პოსტულატი, ლეონტიევის აზრით, დაძლეული იქნება ნამდვილად, თუ გამაშუალებელ რგოლად გაგებული იქნება სუბიექტის რეალური საქმიანობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შინაარსობრივი პროცესი, რომელშიც ხორციელდება სუბიექტის რეალური კავშირი ობიექტურ სინამდვილესთან. სუბიექტის რეალური კავშირი ობიექტურ სინამდვილესთან კი ხორციელდება საგნობრივი საქმიანობით.

მეთოდოლოგიური კონცეფცია, რომელიც სათავეს იღებს ვიგოტსკის შრომებიდან და ვიგოტსკი-ლეონტიევის კონცეფციითაა ცნობილი, ამოდის მარქსის შეხედულებიდან მეტაფიზიკური მატერიალიზმის ნაკლოვანებების შესახებ: „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა — ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით — ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის, ანუ განჭვრეტის ფორმაში განიხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ავითარებდა. მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგანაც იდეალიზმი რასაკვირველია, ნამდვილ გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს, არ იცნობს“ [1,1].

მარქსის ამ დებულებიდან გამომდინარე, ვიგოტსკი-ლეონტიევის სახელთან დაკავშირებული მიმდინარეობა ფსიქოლოგიური გამოკვლევის პრინციპად მიიჩნევს ადამიანის საგნობრივ საქმიანობას. საქმიანობას და არა ქცევას! ა. ლეონტიევის აზრით, ქცევა აქტივობაა, რომლის აღწერის ენა სხვა არის, ვიდრე საქმიანობისა. საქმიანობა აღიწერება სინამდვილის გარდაქმნის ტერმინებში. საქმიანობა ნახელავს ქმნის. გამოდის, რომ ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება სუბიექტის ცნებიდან კი არ უნდა ამოვიდეს, არამედ რეალური საგნობრივი საქმიანობის ცნებიდან. პირველადია რეალური საგნობრივი საქმიანობა, აქედან გამოიყოფა თეორიული მოქმედება. საქმიანობის საგნობრივი შინაარსი განვითარებას ნახულობს მის მომდევნო ფსიქიკური ასახვის ფორმირებაში, ფსიქიკური ასახვისა, რომელიც საქმიანობის რეგულაციას ახდენს საგნობრივ გარემოში.

მაშ, იმისათვის, რომ უშუალობის ორწევროვანი სქემა იყოს დაძლეული, უნდა დადგინდეს ის „საშუალო რგოლი“, რომელიც რეალურად აკავშირებს პოლუსებს: სუბიექტ-ობიექტს. ა. ლეონტიევის აზრით, ასეთია საქმიანობა. ა. ლეონტიევი წერს — „საქმიანობაში ხდება ობიექტის გარდაქმნა მის სუბიექტურ ფორმაში, ხატში; ამასთანავე ხორციელდება საქმიანობის გადასვლა მის ობიექტურ რეზულტატებში, მის პროდუქტებში. ამ მხრივ განხილული საქმიანობა წარმოჩნდება როგორც პროცესი, რომელშიაც ხორციელდება ურთიერთ გადასვლა პოლუსებს შორის: სუბიექტი — ობიექტი [9,81].

ამრიგად, განწყობის თეორია (დ. უზნაძე) და საგნობრივი საქმიანობის თეორია (ა. ლეონტიევი) ერთი და იგივე ამოცანის — „უზნაძის ამოცანის“ გადაწყვეტას ისახავს მიზნად. ეს არის უშუალობის პოსტულატისა და მისგან გამომდინარე ქცევის ანალიზის ორწევროვანი სქემის დაძლევის ამოცანა.

ამ ამოცანის დაძლევის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გზა არის დასახული. დ. უზნაძე იცავდა „პირველადი“ განწყობის, როგორც „საშუალო რგოლის“ ცნების, იდეას.

განწყობა წარმოჩენილია როგორც მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებს ყოველი ფორმის ფსიქიკური აქტივობის აღძვრას და განსაზღვრავს მას.

ამის საპირისპიროდ, ა. ლეონტიევის სკოლა საგნობრივ საქმიანობას მიიჩნევს ისეთ კატეგორიად, რომელიც ადექვატურად ასახავს ფსიქიკური მოვლენების წარმოქმნის პროცესს... „პირველად იყო საქმე“. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ფსიქოლოგიაში „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევისაკენ მიმართული ყველა ცდა საგნობრივი საქმიანობის პრინციპიდან უნდა ამოდიოდეს. იგულისხმება, რომ არ არის კანონიერი პრობლემა განწყობისა „თავის თავად“, ესე იგი არ არის კანონიერი განწყობის შესწავლა საქმიანობის გარეშე, საქმიანობისაგან მოწყვეტილად.

საგნობრივი საქმიანობის, როგორც ფსიქოლოგიის ამოსავალი კონცეფციის, ფარგლებში განწყობის ცნების ადგილის შესახებ ორი თვალსაზრისია აღსანიშნავი. ერთია შეხედულება, რომელსაც ა. ასმოლოვი და მისი ჯგუფი ავითარებს, და მეორეა ვ. ზინჩენკოსა და მისი თანამშრომლების თვალსაზრისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა. ასმოლოვისა და მისი ჯგუფის ამოსავალი პოზიცია ასეთია: საქმიანობა კი არ უნდა იქნეს გამოყვანილი განწყობის ანალიზიდან, არამედ განწყობა—საქმიანობის ანალიზიდან [5, 141].

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ცენტრებში განწყობის ცნების გამოკვლევა ამ ალტერნატივის შესწავლის პლანში მიმდინარეობდა, ე. ი. განწყობისა თუ საქმიანობის პირველადობის საკითხის გამორკვევასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ფართო დისკუსია პირველად გაიმართა ფსიქოლოგთა III საკავშირო თათბირზე (იხ. ჟურნ. «Вопросы психологии», № 6, 1955). უფრო გვიან ა. ლეონტიევის სკოლაში განვითარდა მიმართულება, რომლის თანახმად განწყობისა და საქმიანობის, როგორც ფსიქიკურის, ცნობიერების წარმომქმნელი „შუა რგოლის" ცნებების ალტერნატულობა სრულიადაც არ ამოწურავს განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართებების ყველა ასპექტს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ა. ასმოლოვის, ვ. პეტროვსკის, მ. კოვალჩუკის, მ. მიხაილევსკაიას ჯგუფის გამოკვლევები. ისინი ცდილობენ უჩვენონ, რომ არ შეიძლება განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართების შესწავლის ამოცანის რომელიმე მათგანის პირველადობის გამოკვლევაზე დაყვანა. ამოცანა ისაა, რომ გამოკვლეულ იქნეს თუ რა ადგილი უკავია და რა ფუნქციები აქვს განწყობისეულ მოვლენებს სუბიექტის საქმიანობაში [5,141].

საქმე ისაა, რომ რაც უფრო ღრმად გახდა შესაძლებელი განწყობის თეორიის საკითხების შესწავლა, ა. ასმოლოვის შეხედულებით, ამ თეორიის მით უფრო მეტმა „პარადოქსებმა" იჩინა თავი, „პარადოქსებმა", რომელიც, ა. ასმოლოვის აზრით, მხოლოდ იმ ვითარებაში შეიძლება გადაილახოს, თუ უკუგდებული იქნება განწყობის როგორც გამაშუალებელი რგოლის კონცეფცია, კონცეფცია იმის შესახებ, რომ პირველადია განწყობა და განწყობის ანალიზიდან უნდა იყოს გამოყვანილი საქმიანობა.

ა. ასმოლოვის შეხედულებით, „პარადოქსები" იმასთან დაკავშირებით ჩნდებიან, რომ განწყობა საქმიანობასთან მიმართებაში პირველადადაა წარმოდგენილი; თანაც განწყობა არ არის გაგებული როგორც ქცევის წარმომქმნელი შინაგანი ძალა, შინაგანი დეტერმინანტი. განწყობა გაგებულია, როგორც მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედების შედეგად აღმოცენებული მდგომარეობა და პარადოქსებიც ამ დებულებასთან დაკავშირებით იჩენენ თავს.

ასე მაგალითად, ა. ასმოლოვის შეხედულებით, პარადოქსი იჩენს თავს, როდესაც განწყობისა და აღქმის ურთიერთმიმართების საკითხი დგება. პირველადი განწყობის ცნება გულისხმობს, რომ იგი (განწყობა) ყოველგვარი ქცევის უწინარეს, მათ შორის აღქმამდეც, აღმოცენდება. პარადოქსი ისაა, რომ ამასთანავე, აღნიშნავს ა. ასმოლოვი, განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელია მოთხოვნილების სიტუაციის აღქმა. ამასთან დაკავშირებით, დ. უზნაძე მიუთითებს განწყობის წარმოშობისათვის ერთგვარი აქტივობის — წინასწარი „შემჩნევის" [2, 63—65, 274—278] განხორციელების აუცილებლობას. ამით იქმნება პარადოქსი: განწყობის როგორც ქცევამდე წინასწარული მდგომარეობის, აღმოცენებისათვის გარკვეული აქტივობის („შემჩნევის" აქტივობის) განხორციელების აუცილებლობის დაშვება [5, 32—33].

ასეთივე „პარადოქსი" ჩნდება მოთხოვნილების, როგორც განწყობის წარმოშობის ფაქტორის, საკითხის განხილვისას, რადგანაც დ. უზნაძის მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა



წერს ა. ასმოლოვი, „ურთიერთობა გარემოსთან, რომლის პროცესში ხდება ამ გარემოს მოთხოვნილების სიტუაციად გარდაქმნა, ხორციელდება აქტივობის პროცესში, რომელიც მოთხოვნილებითაა აღძრული". ა. ასმოლოვი იმოწმებს დ. უზნაძის გამონათქვამს, რომ სუბიექტს განწყობა ყოველთვის „სინამდვილის ზემოქმედების პროცესში უჩნდება და მისდა შესატყვისი განცდის ქცევის შესაძლებლობას აძლევს" [3, 94]. ა. ასმოლოვს მიაჩნია, რომ განწყობის აღმოცენების ბუნების შესწავლამ აუცილებელი გახადა განწყობის აღმოცენების სქემაში მოქმედების შემოტანა.

ა. ასმოლოვი წერს, რომ ცნობიერების გარედან მოქმედი „სინამდვილის ჯერ უცნობი არე", „რომლისთვისაც სუბიექტურისა და ობიექტურის საწინააღმდეგო პოლუსები სრულიად უცხოა" თავიდანვე წარმოადგენდა დ. უზნაძის ძიების საგანს. ა. ასმოლოვის შეხედულებით, დ. უზნაძის მეცნიერული შემოქმედების „მეორე ეტაპზე" საქმიანობის კონსტიტუტ ფაქტორად იგულისხმება განწყობა, როგორც ქცევის ობიექტური და სუბიექტური დეტერმინანტების ურთიერთზემოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსი [2, 270].

ა. ასმოლოვი და მისი ჯგუფი ავითარებს შეხედულებას, რომ საქმიანობის თეორიაში უნდა შემოტანილ იქნეს აქამდე მასში გამოტოვებული რგოლი — განწყობის მოვლენები. ამის გამო საქმიანობისა თუ განწყობის ცნებების დაპირისპირებაში, პირველადის გამოკვლევის ნაცვლად, აღებულ იქნა განწყობის როგორც საქმიანობის შინაგანი რგოლის თავისებურებების შესწავლის კურსი.

ა. ასმოლოვის შრომებში განწყობის პირველადობის დ. უზნაძისეული კონცეფციის ანალიზი მიმართულია იქითკენ, რომ საქმიანობის რეგულაციაში აჩვენოს განწყობის ფუნქცია.

საგნობრივი საქმიანობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე, ა. ასმოლოვი და სხვ. გამოყოფენ საქმიანობის შესწავლის ორ პარადიგმას — მორფოლოგიურსა და დინამიკურს. საქმიანობის ანალიზის მორფოლოგიური პარადიგმა გულისხმობს საქმიანობის, როგორც ერთგვარად ინვარიანტული სისტემის განხილვას და იმ შედარებითი მდგრადი ერთეულების გამოყოფას, რომლებიც ამ სისტემას წარმოქმნიან. ა. ლეონტიევისა და მისი სკოლის წარმომადგენელთა გამოკვლევების მონაცემების მიხედვით, სუბიექტის საქმიანობაში გამოიყოფა ისეთი საგნობრივი მომენტები, როგორიცაა მოტივი გაგებული როგორც მოთხოვნილების საგანი, მიზანი და მოქმედების განხორციელების პირობები. საქმიანობის სტრუქტურული მომენტები დახასიათებულია მათი მოტივებთან, მიზნებთან და მოქმედების განხორციელების პირობებთან მიმართებაში. მოტივის მხრივ განხილული პროცესი ხასიათდება როგორც თავისებური საქმიანობა, მიზნის მხრივ — როგორც მოქმედება; მოქმედების განხორციელების პირობების მხრივ — როგორც ოპერაცია. საქმიანობის ფსიქოლოგიური აგებულების მეოთხე მომენტია „აღმასრულებელი" ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდება საქმიანობა. საქმიანობის როგორც შედარებითი ინვარიანტული სისტემის ზემოთ მოყვანილი აღწერა დასრულებულად არ ითვლება. შესაძლებლადაა მიჩნეული საქმიანობის მიკროსტრუქტურის შემდგომი დაზუსტება, ანალიზი. მაშასადამე, მორფოლოგიური პარადიგმის ფარგლებში შეისწავლება საქმიანობის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: თავისებური საქმიანობა, მოტივი აღძრუ-

ლი, მოქმედება, მიზნით წარმართული, ოპერაცია — მოქმედების პირობასთან შეფარდებული და საქმიანობის ფსიქოფიზიოლოგიური რეალიზატორები [6, 10].

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქმიანობის მორფოლოგიური პარადიგმის ჩარჩოებში შესწავლისას განწყობა არ გამოიყოფა სტრუქტურულ ერთეულად. სხვა ვითარებაა წარმოდგენილი საქმიანობის დინამიკური პარადიგმის ფარგლებში შესწავლის შედეგად. საქმიანობის ანალიზის დინამიკური პარადიგმა გულისხმობს იმ მომენტების სპეციფიკის გამოკვლევას, რომლებიც ახასიათებენ საკუთრივ საქმიანობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დინამიკასა და მოძრაობას. საქმიანობის დინამიკური პარადიგმის ფარგლებში შესწავლის პლანშია განწყობა, გამოყოფილი *საქმიანობის* ანალიზის ერთეულად. განწყობა ახასიათებს თვით *საქმიანობის მოძრაობასა* და *მის* დინამიკას. ამ მიმართებებში განწყობა წარმოდგენილია როგორც მოძრაობის *სტაბილიზატორი*. იგულისხმება, რომ საგნობრივი მოქმედების მოძრაობაში, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ყოველგვარი სხვა ხასიათის მოძრაობის შემთხვევაში, აუცილებლად მონაწილეობს ამ მოძრაობის მიმართულების შენარჩუნების ტენდენცია; ამასთანავე იგულისხმება, რომ მოძრაობის მიმართულების შენარჩუნების ეს ტენდენცია თვით საქმიანობის პროცესში წარმოიშობა. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ვითარებას, რომ განწყობა უზრუნველყოფს საქმიანობის სტაბილობასა და მდგრადობას, ამავე დროს იგი განაპირობებს საქმიანობის კონსერვატულობასა და რიგიდობას, საქმიანობის პირობების მუდმივი ცვალებადობისას. ამდენად, განწყობა განიხილება როგორც ფაქტორი, რომელიც საქმიანობის ახალ სიტუაციასთან შეგუებას აფერხებს.

ამასთან ერთად, წამოყენებული იყო ჰიპოთეზა განწყობის, როგორც ქმედების სტაბილიზაციის მექანიზმის, იერარქიული ბუნების შესახებ.

ამ ჰიპოთეზის მიხედვით, განწყობის შინაარსი, ფუნქციები და ფენომენოლოგიური გამოვლენები იმაზეა დამოკიდებული თუ საქმიანობის რა დონეზე ფუნქციონირებენ ისინი. საქმიანობის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების (თავისებური საქმიანობა, მოქმედება, ოპერაცია, ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმები — საქმიანობის რეალიზატორები) შესაბამისად გამოყოფენ: აზრობრივი, მიზნობრივი და ოპერაციონალური განწყობის, აგრეთვე ფსიქო-ფიზიოლოგიური მექანიზმების — განწყობის რეალიზატორების დონეებს. იგულისხმება, რომ თითოეული ამ დონის განწყობები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებიან.

საქმიანობის განწყობისეული რეგულაციის წამყვან დონედ აზრობრივი განწყობის (смысловых установок) დონე ითვლება. აზრითი განწყობა საქმიანობის მოტივით აქტუალიზდება და მთლიანად გარკვეული ქმედებისადმი მზაობის სახით პიროვნული აზრის გამოსახვის ფორმას წარმოადგენს. აზრითი განწყობა ცალკეული საქმიანობის მიმართულებას ადუღაბებს და ფენომენალურად მის სუბიექტურ შეფერილობასა და აზრობრივ წაცდენებში გამოვლინდება. შემდეგ დონეზე, მოქმედების დონეზე, მიზნობრივი განწყობები მოქმედებენ. მიზნობრივი განწყობა განაპირობებს მოქმედების მიმდინარეობის მდგომარეობას. მიზნობრივი განწყობის გამოვლინებად ითვლება ზეიგარნიკის ფენომენი: შეწყვეტილი მოქმედების დასრულების ტენდენცია და სისტემატური პერსევერაციები.

უფრო ქვედა დონედ ითვლება ოპერაციული განწყობები. ოპერაციული

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწყობის ქვეშ იგულისხმება მოქმედების გარკვეული წესის განხორციელებისადმი მზაობა, რომელიც აღმოჩნდება ამოცანის ამოხსნის სიტუაციაში. განწყობის უზნაძისეული მეთოდით დაფიქსირებული განწყობები განიხილება, როგორც ოპერაციული დონის განწყობები. დაბოლოს, ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების დონეზე განწყობა თავს იჩენს სენსორულ და მოტორულ მზაობებში, რომლებიც წინ უსწრებენ ამა თუ იმ მოქმედების გაშლას. განწყობის ეს დონეა გამოვლინებული პ. ანოხინის გამოკვლევებში „მოქმედების აქცეპტორის“ შესახებ და ნ. ბერნშტეინის გამოკვლევებში მოძრაობათა რეგულაციაში „საჭირო მომავლის ხატისა“ და ტონიკური მომართვის როლის მნიშვნელობის შესახებ.

ა. ასმოლოვი დაასკვნის, რომ რა დონეზედაც და რა თავისებურ ფორმებშიაც არ უნდა გამოვლინდეს განწყობა, მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს საქმიანობის მოძრაობის სტაბილიზაციაში. განწყობისეული მომენტები, არ თანხვდებიან რა სტრუქტურულ მომენტებს, ქმნიან საქმიანობის რეალიზაციის უცილობელ პირობას. ამ მომენტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სუბიექტის მიმართული საქმიანობის მდგრადი ხასიათის ახსნა; ივივენი წარმოჩნდებიან როგორც საქმიანობის კონსერვატული მომენტები „ჯებირები ჩვენს შიგ“, რომლებიც ახალი სიტუაციებისადმი შეგუებას აძნელებენ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე განწყობის დინამიკური პარადიგმის ფარგლებში გამოკვლევისას აუცილებელი გახდა ცნების შესწავლა, რომელიც საქმიანობის მოძრაობასა და განვითარებაში მის პროგრესულ მომენტს ახსნიდა. საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის ზოგიერთი მიმდევარი ასეთად „ზესიტუაციური აქტივობის“ ცნებას განიხილავს, უპირისპირებს რა მას საქმიანობის კონსერვატორული და რიგიდული მომენტის ამსახველი „სიტუაციური“ განწყობის ცნებას. განწყობისაგან განსხვავებით, შემოქმედებითი აქტივობა გაგებულია როგორც „ზესიტუაციური საქმიანობა“[3] [6, 78—79].

4. იმავე საგნობრივი საქმიანობის კონცეფციიდან გამომდინარე, ვ. ზინჩენ-

---

[3] ზოგი საბჭოთა მკვლევარის მიერ ქცევის რეგულაციაში განწყობის ფუნქცია გაგებული იყო სრულიად საწინააღმდეგოდ იმ შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც განწყობა მხოლოდ ქცევის რიგიდობას, მის კონსერვატულობას, პიროვნების ახალი სიტუაციისადმი შეგუების შეფერხებას განაპირობებს.

ობიექტივაციის საფუძველზე განწყობის შეცვლისა და ფორმირების შესახებ, დ. უზნაძის კონცეფციიდან გამომდინარე, მკვლევარები დაასკვნიან, რომ დ. უზნაძის თეორიის მიხედვით, განწყობა ქცევაში არ ვლინდება, როგორც „სტიმულებისა“ და რეაქციების „შეთანაფარდების“ ერთგვარად ჩაკირული, რიგიდული რეაქციისადმი მზაობის მდგომარეობა. დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, ქცევაში განწყობა გამოვლინდება როგორც დინამიკური, ერთგვარად ალბათური მდგომარეობა. განწყობა, როგორც სწორედ წინასწარული ორიენტაციის ალბათური მდგომარეობა გულისხმობს პრეორიენტაციასა და რეალობას შორის განსვლისადმი ერთგვარი მზაობის მომენტს. ასე, მიიჩნევენ, რომ განწყობის ბუნება გაგებული უნდა იყოს, როგორც ქცევის რეგულაციის ახალი წესების გამოვლინების შესაძლებლობის შემცველი. განწყობა სტაბილობისა და ლაბილობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიალექტიკას შეიცავს. მიზანშეწონილი ქცევის მექანიზმად განწყობა შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გარემოსთან შეგუების უზრუნველმყოფი მექანიზმი ობიექტური სინამდვილის ცვალებადობის, სუბიექტის ობიექტთან განსვლის პირობებში [4, 206, 242—243]. ამრიგად, იგულისხმება, რომ საქმიანობის მოძრაობასა და განვითარებაში პროგრესული მომენტის ბუნება განწყობის კანონზომიერების მოქმედების სფეროდან სრულიადაც არ გადის, როგორც ეს, ვთქვათ, „ზესიტუაციური აქტივობის“ ცნების ავტორს აქვს ნაგულისხმევი. ამრიგად, საქმიანობის კონცეფციის ნიადაგზე დინამიკური პარადიგმის ჩარჩოებშიაც განწყობის შესახებ თანმიმდევარი კონცეფცია ვერ ჩამოყალიბდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომ და მისი ჯგუფის წარმომადგენლებმა განწყობისა და საქმიანობის ურთიერთმიმართების ანალიზი თავისებური გზით წარმართეს.

ვ. ზინჩენკო საგანგებოდ განიხილავს იმ საკითხს, თუ საქმიანობისა და განწყობის ფსიქოლოგიის რა მეთოდოლოგიის საფუძველზე წარმოიშვა ამ ორი ცნების, როგორც სწორედ დაპირისპირებული ცნებების, შესწავლის პრობლემა.

განწყობისა და საქმიანობის ცნებების ურთიერთისადმი დაპირისპირება, ა. ზაპოროჟეცის გამოკვლევის თანახმად, საქმიანობისა და განწყობის შესწავლის გენეტიკური და ფუნქციონალური ასპექტების ურთიერთში აღრევის შედეგია. ბუნებრივია, გენეტიკური ასპექტის წინწამოწევას მკვლევარები იმ დასკვნამდე მიყავდა, რომ განწყობა საქმიანობის შედეგად შემუშავდება; პირიქითაც, როდესაც წინ იყო წამოწეული ფუნქციონალური ასპექტი, მაშინ გამოკვლევების შედეგების მიხედვით გამოდიოდა, რომ განწყობა წინ უსწრებს საქმიანობას, ასტრუქტურებს მას, განსაზღვრავს მის მიმართულობას და ა. შ.

ვ. ზინჩენკო აღნიშნავს, რომ გენეტიკური და ფუნქციონალური ასპექტების არსებობის დადგენა მაინც ვერ გახდა საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ დაძლეული ყოფილიყო მკვლევართა შეგნებაში გაბატონებული გაგება ამ ცნებათა და მათი მეშვეობით აღნიშნული სინამდვილის სფეროთა ურთიერთდაპირისპირებულობის შესახებ.

„ჩანს — წერს ვ. ზინჩენკო — ამ შეხედულების შენარჩუნების ღრმა ფესვები არსებობს". კერძოდ, ასეთად მას მიაჩნია ამ კატეგორიათა პოლიფუნქციონალობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განწყობისა და საქმიანობის ცნებების დაპირისპირების სათავე იმაშია, რომ ისინი „ურთიერთმონაცვლეობით ხან საგნისა და ხან საშუალების ურთიერთდაპირისპირებულ ფუნქციებს ასრულებენ. ერთ შემთხვევაში განწყობა არის წარმოდგენილი ახსნის იარაღად, საქმიანობა კი კვლევის საგნად. ასევე საქმიანობის ცნებას შეიძლება ჰქონდეს ახსნის საშუალების ფუნქცია და განწყობა წარმოდგენილი იყოს ძიების საგნად". ასეთი მეთოდოლოგიის მიხედვით — წერს ვ. ზინჩენკო — განწყობისა და ქცევის დაპირისპირების პრობლემა მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. ასეთ საფუძველზე შესრულებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით წამოყენებულია თეზისი, რომ განწყობა იმდენადვეა საქმიანობის პროდუქტი, რამდენადაც იგი არის მისი აღმოცენებისა და მიმდინარეობის პირობა, ამრიგად, ორივე ეს ცნება მიჩნეულია თანასწორუფლებიანად და თანაც თანაშეფარდებითად (соотносимые).

ამასთანავე, ამ ცნებების თანასწორუფლებიანობა გააზრებულია ფსიქიკური რეალობის შესწავლის ზოგადი კონცეფციის საფუძველზე.

ვ. ზინჩენკო წერს: „იმისათვის, რომ მოიხსნას „პირველადობის" პრობლემა, აუცილებელია დამკვიდრდეს თეზისი ფსიქიკურის ამოსავალი მთლიანობისა და ერთდროულად მისი ჰეტეროგენურობის შესახებ" [7, 135]. ვ. ზინჩენკოს აზრით, საქმიანობაცა და განწყობაც ერთნაირი ზომით აკონსტრუირებენ ისეთ რთულ წარმონაქმს, როგორიცაა ფსიქიკური რეალობა, სუბიექტის სულიერი ცხოვრება. ჰიპერტროფია სულიერი ცხოვრების მაკონსტიტუირებელ რაგინდარა კომპონენტისა კი არ გვაახლოვებს, არამედ გვაშორებს ფსიქიკური რეალობის ამოსავალი მთლიანობის მეცნიერული შემეცნებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე, ვ. ზინჩენკოს მიაჩნია, რომ განწყობის ფუნქცია არ შეიძლება შემოიფარგლოს საქმიანობის გარკვეულ ფარგლებში დაკავებისა და სტაბილიზატორის სამსახურებრივი როლით. ამიტომაც ის თვლის, რომ ა. ასმოლოვმა ვერ მოახერხა საქმიანობის პარადიგმის დაძლევა. ამ გარემოებამ მკვლევარი მიიყვანა ქცევასა და საქმიანობაში განწყობის რეალური ფუნქციის მეტად შეზღუდულ გაგებამდე — განწყობის როლის სტაბილიზატორის ფუნქციასთან გაიგივებამდე. საქმიანობის მიმართ, ვ. ზინჩენკოს თქმით, მსგავს ფუნქციას ასრულებს კანონი და არა განწყობა. განწყობა, კი, მისი აზრით, გავლენას ახდენს მთლიანად საქმიანობის როგორც სტრუქტურულ ორგანიზაციაზე, ასევე მექანიზმებზედაც, რომლებიც მის რეალიზაციაში არიან ჩართულნი [7. 134]. მაგრამ განწყობის ასეთი მნიშვნელობა გააზრებულია ფსიქიკური რეალობის მთლიანობისა და ერთდროულად მისი ჰეტეროგენულობის თეზისის საფუძველზე. ფსიქიკური რეალობა, რაგინდ ელემენტური არ უნდა იყოს ის, აუცილებლად ჩაირთავს თავის თავში ოპერატიულ (საქმიანობას) კოგნიტურ და მოთხოვნილებით (მათ შორის ემოციურ-განწყობით ან მათ განვითარებულ ფორმაში ინტიმურ-პიროვნულ) კომპონენტებს. იგულისხმება, რომ განვითარებისა და ორგანიზაციის სხვადასხვა დონეებზე ამ კომპონენტებს შორის შეფარდება არ არის ერთგვაროვანი. რაც უფრო მაღალია ორგანიზაცია, მით უფრო მეტი კუთრი წონა აქვს და დიდი როლი ენიჭება ფსიქიკური რეალობის ინტიმურ-პიროვნულ კომპონენტებს. განწყობისა და საქმიანობის ცნებების თანასწორუფლებიანობა და თანაც მათი თანაშეფარდობითობა ფსიქიკური რეალობის მთლიანობითი ბუნების კონცეფციის საფუძველზეა გააზრებული; თანაც მიჩნეულია, რომ ამ მთლიანობაში რაც უფრო მაღალია ორგანიზაცია, მით უფრო მეტია პიროვნული კომპონენტის მნიშვნელობა. ფსიქიკური რეალობის ამოსავალი მთლიანობის შემეცნების პლანშია გადაწყვეტილი განწყობისა და საქმიანობის ცნებების ურთიერთმიმართების საკითხიცა და, კერძოდ, ამ მთლიანობის პიროვნული კომპონენტის, განწყობის ცნების შესწავლის ამოცანა. რასაკვირველია უთუოდ მნიშვნელოვანია და მრავლის მთქმელი, რომ თვით საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის წარმომადგენლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია საგნობრივი საქმიანობის კონცეფციის თანმიმდევარი განვითარება საქმიანობაში განწყობისეული მოვლენების კანონზომიერებათა გათვალისწინების გარეშე.

(გაგრძელება იქნება)

**А. С. ПРАНГИШВИЛИ**

## МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ РАЗВИТИЯ ТЕОРИИ УСТАНОВКИ В СИСТЕМЕ СОВЕТСКОЙ ПСИХОЛОГИИ

Резюме

В статье рассмотрены основные этапы развития исследований понятия установки в системе советской психологии. Дается система-

ეროვნული ბიბლიოთეკა

тический обзор исторических путей развития теории установки грузинской психологической школы.

Выявлены взаимоотношения категории установки и деятельности в теории деятельностного подхода (А. Леонтьев).

## ლიტერატურა


1. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1975.
2. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
3. უზნაძე დ., შრომები, ტ. III—IV.
4. Абульханова К. А. О субъекте психической деятельности, М., 1978.
5. Асмолов А. Г. Деятельность и установка, М., 1979.
6. Асмолов А. Г., Петровский В. А. О динамическом подходе к психологическому анализу деятельности, «Вопросы психологии», № 1, 1978.
7. Зинченко В. П. Установка и деятельность: нужна ли парадигма? «Бессознательное: природа, функции и методы исследования», т. I, Тб., 1978.
8. Известия Академии педагогических наук РСФСР, т. 45, М., 1958.
9. Леонтьев А. Н. Деятельность, сознание, личность. М., 1975.
10. Петровский А. В. История советской психологии, М., 1967.
11. Психологическая наука в СССР, т. I—II. М., 1960.
12. Смирнов А. А. Развитие и современное состояние психологической науки в СССР, М., 1975.
13. Узнадзе Д. Н. Актуальные задачи и теоретические основы психологии профессии, Тб., 1938.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. А. ЧАРКВИАНИ, К. Г. БЕРАДЗЕ, Ф. Г. БОЛКВАДЗЕ

# О ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ СВЯЗИ МЕЖДУ ПОВЫШЕНИЕМ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ КВАЛИФИКАЦИИ, ПОСЕЩЕНИЕМ БИБЛИОТЕКИ И ЧТЕНИЕМ РАЗНЫХ ВИДОВ ЛИТЕРАТУРЫ

Повышение профессиональной квалификации рабочих и мастеров предприятия неразрывно связано с чтением вообще, и, конкретно, с частотой посещения заводской библиотеки. Эти виды поведения структурно взаимосвязаны и динамически взаимообусловлены. Для изучения данного явления необходимо выявить психологические факторы, детерминирующие вышеуказанные формы активности. С этой целью мы обратились к понятию установки, рассматриваемому в качестве основы конкретного поведения. В аспекте обсуждаемой нами проблемы посещение библиотеки, чтение литературы и повышение профессиональной квалификации исследуются в контексте разных характеристик трудовой деятельности личности. В данной работе измеряются установки, определяющие тот или иной вид поведения, представляющие собой субъективные отношения к разным аспектам производственной среды. Они являются трудовыми установками, имеющими определенную структуру, объединяющую познавательные и эмоционально-поведенческие образования [1, 3, 5]. В них отражены, кроме того, ожидания и эмоционально-поведенческая пристрастность человека относительно первичных (качество и производительность труда) и вторичных (повышение, зарплата, авторитет и т. п.) результатов, т. е. целей, вытекающих из трудовой деятельности [2,4]. С этой точки зрения, скажем, повышение профессиональной квалификации возможно рассмотреть как средство достижения определенных результатов в работе; кроме того, его можно изучить и в аспекте конечной цели, например, установить его связь с чтением литературы по специальности или же с частотой посещения библиотеки предприятия, где эти последние выступают в роли средств достижения первого. Данная работа экспериментально исследует взаимосвязь разных форм поведения и соответствующих им установок именно на основе такого понимания. Конкретно мы изучили следующие вопросы: 1) какова связь между установкой на посещение заводской библиотеки и частотой ее посещения, между установкой на повышение профессиональной квалификации и частотой чтения литературы по специальности; 2) какова связь между ожиданиями, касающимися отношения — активное чтение литературы по специальности — повышение профессиональной квалификации и чтением литературы по специальности; 3) какова структура этих установок в смысле интеркорреляций между компонентами установки; 4) какова связь компонентов установки с факторами возраста и уровня образования респондентов.

## Респонденты и метод исследования

Респонденты. Исследование было проведено на Тбилисском станкостроительном заводе им. Кирова. Респондентами были квалифицированные рабочие и мастера завода, являющиеся читателями библиотеки данного предприятия. В опросе всего участвовало 182 человека. Респонденты в результате опроса были разделены на следующие группы: по возрасту — до 20 лет ($N = 48$), от 20 до 30 лет ($N = 50$), от 30 до 40 лет ($N = 44$), свыше 40 лет ($N = 40$); по уровню образования — среднее ($N = 79$), среднее специальное ($N = 74$), неполное высшее и высшее ($N = 29$).

Измерение установки. Эмпирическое определение установок основывается на формуле В. Врраума, предложенной им для установления трудовых аттитюдов, согласно которой установка к определенному виду поведения описывается как функция суммы показателей валентности (значимости или притягательности) и ожиданий (субъективная вероятность достижения цели) относительно объектов или результатов поведения субъекта, т. е. Y (установка) $= \Sigma$O (ожидания x B (валентность) [5]. Таким образом, установки измерялись комбинированно по двум шкалам: по шкале субъективной вероятности достижения предполагаемого результата и по шкале субъективной значимости этих результатов. Для измерения ожиданий была использована 5-ти ступенчатая шкала, ранжированная от «полностью уверен» до «совершенно не уверен». Измерение валентности осуществлялось 7-ми ступенчатой шкалой, ранжированной от «очень привлекает» до «очень не привлекает» в случае разных видов литературы, и от «очень желательно» до «очень не желательно» при исследовании аспектов самой трудовой деятельности. Эмпирически были определены следующие виды установок и отдельные их компоненты: $\Sigma$OB — посещения библиотеки предприятия, $\Sigma$OB — повышения профессиональной квалификации; О — относительно связи между повышением профессиональной квалификации и чтением специальной литературы; OB — посещения библиотеки с целью чтения общественно-политической литературы, OB — посещения библиотеки с целью чтения научно-технической литературы, OB — посещения библиотеки с целью чтения литературы по специальности, OB — посещения библиотеки с целью чтения художественной литературы, OB — посещения библиотеки с целью чтения газет и журналов; OB — повышение профессиональной квалификации с целью увеличения производительности и качества труда; OB — повышение профессиональной квалификации с целью усиления собственного авторитета среди сотрудников, OB — повышение профессиональной квалификации с целью продвижения по службе. Таким образом, мы определили отдельные установки и их компоненты, обладающие определенной эмпирической автономией, относительно двух интересующих нас сфер: читательской — отдельные виды литературы и трудовой — профессиональная

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

квалификация, первичные результаты труда, т. е. качество и производительность, вторичные результаты работы, т. е. повышение авторитета и продвижение по службе. Эти последние нами взяты априори в качестве одних из основных мотивов трудовой деятельности.

Определение критериев оценки поведения. Нами изучались определенные формы реального поведения — посещаемость библиотеки предприятия и чтение литературы по специальности. Критерием оценки этих последних были ответы респондента на вопросы, касающиеся частоты посещения им заводской библиотеки, ранжированная от «посещаю в неделю несколько раз» до «совсем не посещаю» и частоты чтения литературы по специальности, начиная от «читаю в неделю несколько раз» до «совсем не читаю». Данный критерий оценивался по четырехбалльной системе.

## Обсуждение полученных результатов

Связь установок и ожиданий с разными видами поведения. Данные приведены в таблице 1. Результаты показывают, что значимая положительная зависимость между установкой и поведением проявилась в случае установки на посещение заводской библиотеки и частотой ее посещения респондентами.

Таблица 1

Корреляция между установками, ожиданиями и критерием оценки поведения

| Установки, ожидания | Поведение | r |
|---|---|---|
| ΣОВ посещения библиотеки | посещение библиотеки | 0,54* |
| ΣОВ повышения проф. квалификации | чтение литературы по специальности | 0.25 |
| О относительно чтения литературы по специальности и повышения проф. квалификации | чтение литературы по специальности | 0,38* |

* статистически значимо
N = 182

Что касается установки на повышение профессиональной квалификации, измерение которой было проведено с учетом определенных целей в трудовой деятельности субъекта, положительная корреляция не достигает уровня значимости. Вместе с тем, найдена положительная значимая корреляция между ожиданиями относительно повышения профессиональной квалификации в связи с чтением литературы по специальности и реальным чтением специальной литературы. Различия результатов в отношении связи ΣОВ и О с чтением специальной литературы, возможно, обусловлены тем, что первое

ეროვნული ბიბლიოთეკა

непосредственно связано с оценкой поведения (в этом смысле здесь налицо более адекватное определение эмпирических критериев измерения переменных, чем во втором случае, где связь с критерием поведения опосредована первичными и вторичными целями трудовой активности). Кроме того, возможно, что предполагаемые нами мотиваторы поведения не образуют единую компактную систему и поэтому геторогенны к такой цели, какой является повышение профессиональной квалификации. Это должно проясниться в большей степени при анализе структурных компонентов установок.

Интеркорреляция между компонентами установок. В первую очередь, рассмотрим данные, касающиеся корреляций между компонентами установки на посещение библиотеки предприятия. Результаты приведены в таблице 2. Данные указывают, что в положительной значимой связи между собой находятся такие компоненты установки на посещение библиотеки, как тенденция пойти в библиотеку с целью чтения художественной литературы, газет и журналов и специальной литературы.

Таблица 2

Корреляция между отдельными компонентами установки на посещение библиотеки предприятия

| Компоненты установки | r | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 $OB_1$ | 0,26 | 0,17 | 0,32* | 0,33* |
| 2 $OB_2$ | | 0.12 | 0,44* | 0,08 |
| 3 $OB_3$ | | | 0,22 | 0,40* |
| 4 $OB_4$ | | | | 0,11 |
| 5 $OB_5$ | | | | |

$OB_1$ — посещение библиотеки с целью чтения художественной литературы
$OB_2$ — посещение библиотеки с целью чтения общественно-политической литературы
$OB_3$ — посещение библиотеки с целью чтения научно-технической литературы
$OB_4$ — посещение библиотеки с целью чтения газет и журналов
$OB_5$ — посещение библиотеки с целью чтения специальной литературы

* статистически значимо
N = 182

Тенденция к чтению общественно-политической литературы связана с чтением газет и журналов, а тенденция к чтению научно-технической литературы связана с чтением литературы по специальности. Интересно отметить, что наибольший показатель коэффициента корреляции достигается между тенденциями чтения научно-технической литературы и специальной литературы, что и предполагалось, ибо они объективно фактически «покрывают» друг друга. Такова струк-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

тура установки на посещение библиотеки для наших респондентов; она, естественно может быть другой для других популяций, что представляется особо интересным при исследовании социально-психологических проблем чтения.

Интересны результаты, касающиеся корреляции между компонентами установки на повышение профессиональной квалификации, представленные в таблице 3.

Таблица 3

Корреляция между отдельными компонентами установки на повышение профессиональной квалификации

| Компоненты установки | r | |
|---|---|---|
| | 2 | 3 |
| 1 $OB_1$ | 0,48* | 0,17 |
| 2 $OB_2$ | | 0,22 |
| 3 $OB_3$ | | |

$OB_1$ — повышение профессиональной квалификации с целью улучшения качества и производительности труда

$OB_2$ — повышение профессиональной квалификации с целью увеличения собственного авторитета среди сотрудников

$OB_3$ — повышение профессиональной квалификации с целью продвижения по службе

* статистически значимо
$N = 182$

Данные показывают, что в эмпирической структуре этой установки значимая положительная связь найдена между тенденциями повысить профессиональную квалификацию с целью увеличения качества и производительности труда и повышением авторитета среди сотрудников. Данные указывают также, что тенденция продвижения по службе не связана с другими компонентами установки. Ясно, что такая структура установки в силу ограниченного количества компонентов ни в коей мере не исчерпывает другие возможные связи определенных результатов трудовой деятельности с тенденцией повышения профессиональной квалификации. Вследствие вышеуказанного необходимо более точное и адекватное эмпирическое определение значимых целей, соотносимых со структурой установки на повышение профессиональной квалификации.

Компоненты установок с учетом возраста и уровня образования респондентов. Анализ показателей компонентов установок должен выявить относительный вклад каждого из них в мотивационный аспект разбираемых нами форм поведения. С этой целью мы сравнили средние показатели компонентов-мотиваторов с учетом возраста и уровня образования изучаемой

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

нами популяции. Сперва рассмотрим с этой точки зрения результаты, касающиеся компонентов установки на посещение заводской библиотеки. Зависимость средних показателей компонентов данной установки от фактора образования представлена на рис. 1. В первую очередь нужно отметить, что наиболее высокие средние данные, значимо превышающие показатели других компонентов, выявлены в тенденциях к чтению художественной литературы и газет и журналов.




ОВ посещения библиотеки с целью чтения общественно-политической литературы

ОВ посещения библиотеки с целью чтения научно-технической литературы

ОВ посещения библиотеки с целью чтения литературы по специальности

ОВ посещения библиотеки с целью чтения художественной литературы

ОВ посещения библиотеки с целью чтения газет и журналов

1—среднее, N=79; 2—среднее специальное, N=74; 3—неполн. высшее и высшее N=29.

Рис. 1. Зависимость между средними показателями различных компонентов установки на посещение библиотеки предприятия и возрастом респондентов

Кроме того, обе эти тенденции имеют одинаковые кривые распределения по уровню образования. В этом отношении интересна картина, касающаяся тенденции чтения литературы по специальности: кривая возрастает с увеличением уровня образования, между крайними показателями различие достигает значимого уровня.

Результаты, касающиеся связи разбираемых нами компонентов в аспекте фактора возраста респондентов (см. рис. 2), указывают, что и здесь средние показатели тенденций к чтению художественной литературы и газет и журналов превышают средние показатели других тенденций. Это наглядно указывает на то, что в детерминации посещения библиотеки решающее значение имеют такие мотиваторы, как чтение художественной литературы и чтение газет и журналов. Интересно выделить кривую тенденцию чтения специальной литературы, которая своего максимума достигает в возрасте 20—30 лет и затем резко падает.

Совершенно противоположное происходит с тенденцией к чтению общественно-политической литературы; минимальный показатель найден в возрасте 20—30 лет, а затем она резко идет вверх, достигая почти одинаковой величины на последующих возрастных уровнях.

ᲛᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Теперь обратимся к результатам, касающимся компонентов установки на повышение профессиональной квалификации. Данные о связи компонентов этой установки с фактором уровня образования, представленные на рис. 3, указывают на значимое различие между

——— ОВ посещения библиотеки с целью чтения общественно-политической литературы

⊢⊢⊢ ОВ посещения библиотеки с целью чтения научно-технической литературы

▬▬ ОВ посещения библиотеки с целью чтения литературы по специальности

. . . . ОВ посещения библиотеки с целью чтения художественной литературы

— — — —ОВ посещения библиотеки с целью чтения газет и журналов

I—до 20 лет, N=48; 2—20—30 лет, N=50; 3—30—40 лет, N=44; 4—выше 40 лет, N=40




Рис. 2. Зависимость между средними показателями различных компонентов установки на посещение библиотеки предприятия и возрастом респондентов

тенденциями направленности на профессиональную квалификацию с целью увеличения качества — производительности труда и тенденции повышения авторитета среди сотрудников от направленности на продвижение по службе. Вместе с тем, кривые указывают на фактически одинаковую картину распределения показателей в аспекте данного фактора.

На рис. 4 показана зависимость компонентов установки на повышение профессиональной квалификации от возраста респондентов. И в данном случае наглядно проявляется статистически значимое различие между тенденциями повышения качества и производительности труда и повышением авторитета, с одной стороны, и направленностью на продвижение по службе, с другой. Это со всей ясностью указывает на то, что именно первые две тенденции, имеющие равную силу, преобладают в мотивации повышения квалификации. Интересно отметить следующее: средние показатели тенденций относительно вторичных результатов трудовой деятельности по фактору возраста имеют одинаковое распределение: максимума они достигают в возрасте 20—30 лет, а затем в одинаковой мере идут на убыль. Можно сказать, что у наших респондентов пик притязаний относительно повышения авторитета и продвижения по службе находится в возрасте 20—30 лет, а для большинства он значительно ниже, что указывает на оп-

ределенный характер кривой мотивационного аспекта установки на повышение профессиональной квалификации.




— ОВ повышения профессиональной квалификации с целью увеличения качества и производительности труда

– – – – ОВ повышения профессиональной квалификации с целью усиления собственного авторитета среди сотрудников

. . . ОВ повышения профессиональной квалификации с целью продвижения по службе

1 — среднее, N = 79; 2 — среднее специальное, N=74; 3 — неполное и высшее, N=29.

Рис. 3. Зависимость между средними показателями различных компонентов установки на повышение профессиональной квалификации и образовательным уровнем респондентов

На рис. 5 дается зависимость ожиданий, касающихся связи повышения профессиональной квалификации посредством чтения лите-




— ОВ повышения профессиональной квалификации с целью увеличения качества и производительности труда

– – – – ОВ повышения профессиональной квалификации с целью усиления собственного авторитета среди сотрудников

. . . ОВ повышения профессиональной квалификации с целью продвижения по службе

1—до 20 лет, N=48; 2—20 — 30 лет, N=50; 3—30—40 лет, N=44; 4—выше 40 лет, N=40.

Рис 4. Зависимость между средними показателями различных компонентов установки на повышение профессиональной квалификации и возрастом респондентов

ратуры по специальности от возраста и образования респондентов. В данном случае нужно отметить, что кривая ожиданий с учетом фактора возраста респондентов максимума достигает для группы от

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 до 30 лет и затем значительно падает. Это указывает на то, что как и в случае рассмотрения отдельных компонентов установок, самые большие ожидания относительно вероятности повышения профессиональной квалификации посредством чтения специальной литературы приходится именно на данную возрастную группу, для послед-




Рис. 5. Зависимость между показателями ожиданий относительно связи повышения профессиональной квалификации с чтением литературы по специальности и факторами возраста и образования

ней ожидания являются основными положительными мотиваторами поведения, тогда как для остальных возрастных групп они могут выступать в качестве отрицательных мотиваторов.

### Выводы

Результаты исследования показали, что: 1. а— найдена статистически значимая связь ($r = 0{,}54$) между установкой на посещение заводской библиотеки и частотой ее посещения респондентами; б — обнаружена положительная зависимость между ожиданиями, касающимися связи чтение специальной литературы — повышение профессиональной квалификации и частотой чтения респондентами специальной литературы ($r = 0{,}38$); б — корреляция между установкой на повышение профессиональной квалификации и частотой чтения репондентами специальной литературы оказалось статистически незначительной ($r = 0{,}25$). Можно сказать, что в детерминации посещения библиотеки существенное значение имеет соответствующая этому поведению установка. Этого нельзя сказать относительно установки на повышение профессиональной квалификации, что, возможно определяется эмпирическими компонентами данной установки, кото-

ეროვნული ბიბლიოთეკა

рые непосредственно не соответствовали критерию измерения поведения. В этой связи больший вес в детерминации данного поведения имели ожидания, в которых само поведение выступает в качестве средства достижения цели, т. е. профессиональной квалификации. 2. а — в структуре установки на посещение библиотеки значимая интеркорреляция найдена между следующими тенденциями чтения разных видов литературы: художественной и газет-журналов ($r = 0,32$), художественной и специальной ($r = 0,33$), общественно-политической и газет-журналов ($r = 0,44$), научно-технической и специальной ($r = 0,40$); б — интеркорреляция между компонентами установки на повышение профессиональной квалификации выявила значимую связь между тенденцией к улучшению качества — производительности труда и тенденцией к повышению собственного авторитета среди сотрудников. 3. а — согласно средним показателям отдельных компонентов, основными мотивами посещения заводской библиотеки оказались тенденции к чтению художественной литературы, газет и журналов, где уровень образований не дал существенных различий, тогда как эти же тенденции с учетом фактора возраста респондентов достигают максимума в группе 20—30 лет; б — в качестве основных мотиваторов установки на повышение профессиональной квалификации выступили тенденции к повышению качества — производительности труда и к повышению авторитета среди сотрудников. Кроме того, тенденции к достижению вторичных результатов труда оказались максимальными для той же возрастной группы; в — ожидания относительно профессиональной квалификации так же достигают максимума в возрасте 20—30 лет и затем резко падают.

## ЛИТЕРАТУРА


1. Grean G. Instrumentality theory of work motivation: Sume experimental results and sugested modifications. Journ. of Aplied Psychol. Monograph, 1969, c. 53, 1—25.
2. Lawler E. and Porter L. Antecedent attitudes of effective menagerial performance. Organizational Behavior and Human Performance, 1967, 2, c. 122—142.
3. Lawler. E. and Suttle J. Expectancy theory and job behavior. Organizational Behavior and Human Performance, 1973,9, c. 482—503.
4. Mitchell T. and Biglan A. Instrumentality theories: Curent uses in psychology. Psychol. Bulletin, 1971, 76, c. 432—454.
5. Wroom V. Work and Motivation. New-York: Wiley, 1964.


Представлена Институтом психологии им Д. Н. Узнадзе
АН Грузинской ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი თარგმანები

ფ. შელინგი

## კანტი, ფიხტე[1]

### ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა

ამ მდგომარეობაში იყო, ამგვარად, ფილოსოფია, როდესაც მოულოდნელად იმანუელ კანტი მოგვევლინა მის ინსტავრატორად და მას მეცნიერული სერიოზულობა და, ამასთანავე, დაკარგული ღირსება დაუბრუნა.

სანამ თვით კანტზე გადავიდოდე, მე მინდა წინასწარ ერთი ზოგადი შენიშვნა გამოვთქვა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანურ მოქმედებას უნდა მივუყენოთ — სახელდობრ, რომ ამ მოქმედებათა საკუთრივი მნიშვნელოვნება (Wichtigkeit), ანუ მათი ჭეშმარიტი შედეგი უმეტეს შემთხვევაში სხვაა ხოლმე, ვიდრე ის, რაც განზრახული იყო, ან ის, რაც მათთან საშუალების მიმართებაში იმყოფება. კანტის მიერ მიღწეული შედეგი ნამდვილად განსაკუთრებული იყო. ვერაფერი სასიხარულოა, რომ კანტის გამოჩენიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ, როცა, ყოველ შემთხვევაში, სხვა წერტილზე მაინც ვიმყოფებით, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევდით მის გარეშე, კანტის დამსახურებას უგულებელყოფენ ისინი, ვისაც არავითარი წვლილი არ მიუძღვის იმაში, რომ კანტს გავცდით. სწორედ იგივე უნდა ითქვას ფიხტეზე. დღესდღეობით ძნელი არაა ორივეს შესახებ უარყოფითი მსჯავრი გამოვიტანოთ; სამაგიეროდ ძნელი იყო ფილოსოფიის იმ წერტილამდე აყვანა, რომელზეც იგი კანტმა და ფიხტემ აიყვანეს. ისტორია იმ მსჯავრს გამოიტანს, რომ არასდროს ყოფილა უფრო დიდი გარეგანი და შინაგანი ბრძოლა ადამიანის გონის უმაღლესი განძეულობების მოსაპოვებლად, არც ერთ ხანაში არ შეუძენია მეცნიერულ აზროვნებას თავის სწრაფვაში უფრო ღრმა და შედეგებით მდიდარი გამოცდილება, ვიდრე კანტის აქეთ. მაგრამ ეს შედეგი არ მიღწეულა საკუთრივ იმით, რაც კანტს უშუალოდ ჰსურდა. როცა იგი ფიქრობდა, რომ თავისი კრიტიკით ბოლო მოუღო ზეგრძნობადის ყოველივე შემეცნებას, მან სინამდვილეში მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ფილოსოფიაში ნეგატიური და პოზიტიური ერთიმეორეს გამოეყო, მაგრამ სწორედ ამით პოზიტიურმა, რომელიც ამჯერად სრულებით დამოუკიდებლად გამოდიოდა, შეძლო დაპირისპირებოდა ოდენ ნეგატიურ ფილოსოფიას, როგორც მეორე მხარე ფილოსოფიისა საერთოდ. ეს გამოყოფისა და შემდეგ ფილოსოფიის, — ოღონდ სახეცვლილისა და უფრო დაწმენდილის, — პოზიტიურში მობრუნების პროცესი კანტმა წამოიწყო. კანტის კრიტიკამ მით უფრო მეტი წვლილი შეიტანა ამაში, რომ იგი სრულიადაც არ არის მტრულად განწყობილი პოზიტიურის მიმართ. იმ დროს, როდესაც კანტი მეტაფიზიკის მთელ შენობას ანგრევს, იგი მაინც იმ შეხედულებისა ჩანს, რომ ბოლოს აუცილებლად ის უნდა გვსურდეს, რაც ამ მეტაფიზიკას ჰსურდა,

[1] თარგმანი შესრულებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის კლასიკური მემკვიდრეობის განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომ მისი (ამ მეტაფიზიკის) შინაარსი ბოლოს მაინც ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი მეტაფიზიკა იქნებოდა, ეს რომ შესაძლებელი იყოს.

ახლა კი თვით კანტის დალაგებას დავიწყებ შემდეგი დებულებით: კანტის კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, სკოლებში მიღებული მეტაფიზიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ იგი, მეორეს მხრივ, ფარულად თითქოს ისევ ამ მეტაფიზიკის დაცვად იქცა.

სწორედ იმ დროს ინგლისში, — ძირითადად, ჯ ო ნ ლ ო კ ი ს სახით,— მეტაფიზიკას დაუპირისპირდა ემპირიზმი, რომელიც ცდისაგან დამოუკიდებელი ყოველგვარი ცნების არსებობას უარყოფდა. ამ ემპირიზმიდან წარმოიშვა ადამიანურ შემეცნებაში ყოველივე ზოგადისა და აუცილებლის არსებობაში შეეჭვებული ანუ, უფრო სწორად, მისი უარმყოფელი მოძღვრება გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის დ ა ვ ი დ ჰ ი უ მ ი ს ა; ჰიუმის ეს ეგრეთწოდებული სკეპტიციზმი, თვით კანტის გადმოცემით, იყო სწორედ ის, რისგანაც მან მიიღო მთავარი ბიძგი თავისი საკუთარი ფილოსოფიისათვის:

ჰიუმის იერიშები თითქმის უგამონაკლისოდ მიმართულია კაუზალური კანონის ობიექტური მნიშვნელადობის (Gültigkeit) წინააღმდეგ, იმ ძირითადი პრინციპის წინააღმდეგ, რომ ყველაფერს, რაც კი ხდება, თავისი მიზეზი აქვს. როგორც ჩვენ მოქმედებებში, ისე მსჯელობებში ამ კანონს მივყვებით. უფრო მეტიც: თვით ჰიუმიც, როგორც სავსებით პრაგმატიკოსი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერი (lehrreicher), მოვლენების მათი მიზეზებიდან ამხსნელი ისტორიკოსი ამ კანონს მიჰყვება და, რაც ყველაზე უფრო საოცარია, ჩვენ ვიყენებთ ამ კანონს და ვხედავთ მის გამოყენებას სხვათა მიერ ისე, რომ, კაცმა რომ თქვას, არც გვაქვს იგი გაცნობიერებული. ჩვენ ვიყენებთ კანონს არა მისი მეცნიერული შემეცნების შედეგად, არამედ ბუნებით და თითქოს ინსტიქტურად, რაც ამტკიცებს, რომ ჩვენში არსებობს რეალური პრინციპი, რომელიც გვაიძულებს ასე ვიმსჯელოთ. ზუსტად რომ ვთქვათ, ჰიუმმა მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ასეთი უნივერსალური, არა მხოლოდ ყველა ნამდვილი, არამედ ყველა შესაძლებელი შემთხვევის მომცველი კანონი არ შეიძლება ცდიდან გამომდინარეობდეს. ცდას, რა თქმა უნდა, არავითარი ზოგადის მოცემა არ შეუძლია. მაგრამ უკვე მიღებული იყო, რომ ყოველივე ცოდნა მხოლოდ შეგრძნებებიდან მოდის. ამგვარად, ჰიუმს სხვა აღარა დარჩენოდა რა, თუ არა ის, რომ ზოგადობა ამ კანონის გამოყენებაში აეხსნა მხოლოდ და მხოლოდ როგორც სუბიექტური მოვლენა, სახელდობრ, აეხსნა მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური შეჩვევით. „მას შემდეგ, — ამბობს იგი, — რაც ჩვენ ურიცხვ შემთხვევებში დავინახეთ, რომ გარკვეულ მოვლენებს ანუ ხდომილებებს სხვა მოვლენები და ხდომილებები უსწრებენ წინ, ან, პირიქით, გარკვეულ წინმსწრობ ხდომილებებს სხვები მოსდევს, ჩვენი განსჯა ამ რეგულარული (მუდმივი) გამეორების შედეგად ბოლოს იმას ეჩვევა, რომ ხსენებულ მოვლენებში ანუ ხდომილებებში ურთიერთკავშირი დაინახოს და, ამგვარად, ბოლოს ისინი მიზეზისა და შედეგის მიმართებაში დააყენოს: წინმსწრობი ხდომილებები განიხილოს როგორც მიზეზი, მომდევნონი კი როგორც შედეგი“. მე ჯერჯერობით არ მინდა განვმარტო, რომ თვით უსასრულოჯერ განმეორებადი ურთიერთმიყოლა ორი მოვლენისა, A-სა და B-სი, ჯერ კიდევ ვერ შექმნიდა მიზეზისა და შედეგის ცნებას, თუკი ეს ცნება გარეგანი ცდისაგან დამოუკიდებლად, ჩვენი ბუნების შინაგანი აუცილებლობის ძალით არ გვექნებოდა მოცემული. ამ განმეორებადმა აღქმამ მხოლოდ ის შეიძლება გვათქმევინოს, რომ მოვლენა A-ს ყველა შემთხვევებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა თვალყურის დევნებაც შევძელით აქამდე, მოსდევს მოვლენა B, და არასდროს შემიმჩნევია B ისე, რომ მას არ უძღოდეს მოვლენა A. მაგრამ ამ დაკვირვებიდან ჯერ კიდევ ძალიან შორი მანძილია მათ დაკავშირებამდე ერთმანეთთან, როგორც მიზეზისა და შედეგის, რაც უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ ისაა, რომ ერთი მეორეს მოსდევს; ამ ურთიერთმიყოლას ძალუძს რაღაც მითხრას მხოლოდ post hoc*, მაგრამ არასოდეს propter hoc**, და ყველა ცალკეული მოვლენის შემთხვევაში ჩვენ ვერ გავცდებოდით post hoc-ს, როგორც ვერ ვცილდებით ხოლმე მას, მართლაც, საკმაოდ ბევრ შემთხვევაში — თვით იმ შემთხვევებშიც კი, სადაც ერთი მოვლენა მეორეს მართლაც მისდევს არა შემთხვევით, არამედ წესშესაბამისად და სადაც მაინც ვერიდებით იმას, რომ ეს ორი მოვლენა ერთიმეორესთან კაუზალურ მეზობლობაში (Kausalnexus) მოვათავსოთ. თუკი მიმდევრობის ერთ სახეს, post hoc-ს, სადაც მხოლოდ გარეგნული მიმდევრობა გვაქვს, კარგად ვასხვავებთ მეორისაგან, propter hoc-ისაგან, რატომ არ უნდა შეგვეძლოს ეს ყველა შემთხვევაში? მაგრამ მე სრულიადაც არ მსურს დაჟინებით დავადგე ამ რეფლექსიას, და საერთოდაც ეჭვი მეპარება, საჭირო იყო თუ არა ჰიუმისეული დაეჭვების უკუსაგდებად ეს დიდი აპარატი, რაც წმინდა გონების კრიტიკამ მოგვცა. საკმაოდ უცნაურია, რომ ეს უკუგდება ასე ძნელი აღმოჩნდა, ისევე, როგორც უცნაურია, რომ ვერავინ შენიშნა აქამდე სულ უბრალო რამ, —რომ მარტოოდენ ცდის საფუძველზე თვით მისი (ჰიუმის) უარყოფაც შეიძლება. ჰიუმი კაუზალურ პრინციპს ხსნის შეჩვევით, მაგრამ ყოველივე შეჩვევას გარკვეული დრო სჭირდება. ამგვარად, ჰიუმმა არა მარტო ყოველ ცალკეულ ადამიანს, არამედ ადამიანთა მთელ მოდგმას უნდა მისცეს რაღაც გარკვეული დრო, რომლის განმავლობაშიც ყოველთვის შეიმჩნევა განსაზღვრული მოვლენის, B-ს, მიყოლა მეორე მოვლენაზე, A-ზე და, ასე, საბოლოოდ ეჩვევით ეს თანმიმდევრობა დავინახოთ როგორც ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი (რადგან ამას გულისხმობს მიზეზობრიობის ცნება). მაგრამ სწორედ ეს, რასაც ჰიუმი მდუმარედ უშვებს და, მაშასადამე, ჰგონია კიდეც, რომ აქვს უფლება დაუშვას, სრულიადაც არ არის დასაშვები, რადგან, დარწმუნებული ვარ, ა რ ც ე რ თ ი ჩვენგანი არ იქნება მომხრე დაუშვას ისეთი დრო, რომელშიც ადამიანის მოდგმა მიზეზისა და შედეგის კანონის მიხედვით არ მსჯელობდეს და თვით ჰიუმიც, თუკი კითხვას დავუსვამდით, — შეუძლია თუ არა ადამიანი მისი არსებობის რომელსამე მომენტში მოიაზროს როგორც ამ ცნების არმქონე და მისი არმომხმარებელი?—შეუყოყმანებლივ, სანამ „ჰო“-თი გვიპასუხებდა. იგი იგრძნობდა, რომ ადამიანი, რომელსაც მიზეზსა და შედეგზე მსჯელობისუნარი ჩამოვართვით, უკვე ვეღარ წარმოგვიდგება ა დ ა მ ი ა ნ ა დ. ამგვარად, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ პირველივე ადამიანი თავისი არსებობის პირველსავე დღეს ამ პრინციპის მიხედვით მსჯელობდა, რადგან ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელია ასე მსჯელობა. გველიც სამოთხეში, მოსეს მონათხრობის მიხედვით, პირველ კაცს უჩურჩულებს სკეპტიკურ შენიშვნებს ღვთისმიერი აკრძალვის წინააღმდეგ, მაგრამ მას კაუზალური წესის გაკვეთილს კი არ უტარებს, არამედ წინასწარვე ვარაუდობს, რომ კაცს მისი სწორად ესმის, როცა ეუბნება, როგორც კი შესჭამთ ხილს, თვალი აგეხილებათო, ან კიდევ იმ დღიდან, როცა ამ ხილს იგემებთ, ღმერთის მსგავსნი გახდებითო. არაბულ ენაზე

---

* მას შემდეგ

** მის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ერთი რომანი თუ მოთხრობა სათაურით Philosophus autodidactus*, სადაც ლაპარაკია ბავშვზე, რომელიც გაჩენისთანავე დედამ ინდოეთის ოკეანის ერთ კუნძულზე დატოვა და რომელიც თავისი თანდაყოლილი თუ თანშობილი განსჯის გამოყენებით მხოლოდ თანდათანობით (საფეხურებრივად) მიდის ყველა ფილოსოფიურ ცნებებსა და შემეცნებებამდე (Einsichten). მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ამგვარი ფიქცია, რათა ჰიუმი უარვყოთ, რადგან აკვანში მყოფი ბავშვიც, რომელსაც ჯერ არ ჰქონია საშუალება, რომ მოვლენების განსაზღვრულ თანამიმდევრობას შესჩვეოდა, და რომლისთვისაც, მით უფრო, ჯერ არავის უთქვამს რაიმე მიზეზისა და შედეგის შესახებ, თუკი შრიალს გაიგონებს, მოტრიალდება ხოლმე იქითკენ, საიდანაც შრიალი ისმის, და სხვა განზრახვა არა აქვს რა, თუ არ ამ შრიალის მიზეზის შეტყობა, რომელსაც იგი, ამგვარად, წანამძღვარად გულისხმობს წინასწარვე.

ამგვარად, მიზეზისა და შედეგის კანონის მიხედვით მსჯელობას ჩვენ გვაკისრებს არა მხოლოდ ჩვენი სურვილისაგან, არამედ აგრეთვე თვით ჩვენი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი და მისი წინმსწრობი აუცილებლობა; მაგრამ იმას, რაც ჩვენი სურვილისა და აზროვნებისაგან დამოუკიდებელია, ჩვენ რეალურ პრინციპს ვუწოდებთ. აქედან გამომდინარე, თვით ცდა ამტკიცებს, რომ სწორედ რეალური პრინციპია ის, რაც გვაიძულებს — მსგავსად უნივერსალური გრავიტაციისა, რომელიც აიძულებს სხეულს ცენტრისაკენ იმოძრაოს, — ვიმსჯელოთ მიზეზისა და შედეგის კანონის მიხედვით, ისევე როგორც გვაიძულებს ვიაზროვნოთ წინააღმდეგობის კანონის მიხედვით.

მაგრამ თუ ახლა წინ წავიწევთ კანტის წმინდა გონების კრიტიკისაკენ, მას, ძირითადად, შემდეგი აზრი უდევს საფუძვლად: სანამ რაიმეს შემეცნებას მოვინდომებდეთ, საჭიროა გამოვიკვლიოთ თვით ჩვენი უნარი შემეცნებისა. როგორც წინდახედული მშენებელი სახლის აგებამდე თავისთვის აწონ-დაწონის საამისო საშუალებებს, დაუკვირდება აგრეთვე, სამყოფი იქნება თუ არა ყოველივე ეს მტკიცე საძირკვლის ჩაყრისა და მშენებლობის ბედნიერად დასრულებისათვის, ისე ფილოსოფოსმაც, სანამ იგი მეტაფიზიკის შენობის აგებას განიზრახავდეს, ჯერ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს საკუთარი თავი სათანადო მასალებით; უნდა გაარკვიოს აგრეთვე, შეუძლია თუ არა მათი მოპოვება. ხოლო ვინაიდან ეს მასალები გონითი წყაროდან მომდინარეობენ, აუცილებელია ჯერ თვით ეს წყარო იქნეს გამოკვლეული, რათა დარწმუნებით ვიცოდეთ, განზრახული მშენებლობისათვის საკმარის მასალას შეიცავს იგი თუ არა. სანამ იმედი მოგვეცემოდეს, რომ შემეცნებას შევძლებთ — განსაკუთრებით, ზეგრძნობადი საგნების შემეცნებას, — აუცილებელია ჯერ გამოვიკვლიოთ, გვაქვს თუ არა იმის უნარიც, რომ ისინი შევიმეცნოთ.

პირველი შეხედვით ეს აზრი არაჩვეულებრივად ნათელია. მაგრამ უფრო ყურადღებით განხილვისას აღმოჩნდება, რომ აქ საქმე გვქონია შემეცნების შემეცნებასთან და რომ ეს შემეცნების შემეცნებაც ისევ შემეცნებაა. საჭირო ხდება გამოვიკვლიოთ ასეთი შემეცნების შემეცნების შესაძლებლობაც, და, ამგვარად, კითხვის ასე დასმას ბოლო არ ექნება.

ვინაიდან კანტი ასე კრიტიკულად იწყებს საქმეს, მოსალოდნელია. რომ მას მაინც მონახული ექნება გზის მაჩვენებელი პრინციპი და საიმედო მეთოდი

---

* თვითნასწავლი ფილოსოფოსი (ლათ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეცნების უნარის გამოკვლევისათვის. სამწუხაროდ, ეს ასე არაა. იგი თავის შრომას წინ კი არ უმძღვარებს ზოგად გამოკვლევას შემეცნების ბუნების შესახებ, არამედ დაუყოვნებლივ გადადის შემეცნების ცალკეულ წყაროთა ანუ ცალკეულ შემეცნებით უნართა ჩამოთვლაზე. მაგრამ კანტს ესენი მეცნიერულად კი არ გამოჰყავს, არამედ მათ, უფრო, მარტოოდენ ცდიდან იღებს, რაიმე ისეთი პრინციპის გარეშე, რომელიც მას ამ ჩამოთვლის სისრულესა და სისწორეში დაარწმუნებდა. ამდენად, წმინდა გონების მისეული კრიტიკა თვითონ ვერ ჩაითვლება ადამიანის შემეცნებითი უნარის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ გაზომვად.

მისთვის შემეცნების (Vernunft) სამ წყაროს წარმოადგენენ გრძნობადობა (Sinnlichkeit), განსჯა და გონება. გრძნობადობა ეხება ან ჩვენს გარეშე მყოფ საგნებს ან ჩვენ საკუთარ შინაგან პროცესებს, რამდენადაც ჩვენ თ ვ ი თ ჩ ვ ე ნ-ში მიმდინარე ცვლილებებს აღვიქვამთ. თვით ჩვენში მყოფი აფექტების ანუ ცვლილებების ამ აღქმის უნარს იგი უწოდებს შ ი ნ ა გ ა ნ შეგრძნებას (Sinn) და ამგვარად (საამისო საფუძვლის დაუსახელებლად) ლაპარაკობს მხოლოდ ერთ შეგრძნებაზე, არა რამდენიმეზე, როგორც გარეშე საგნების შემთხვევაში. შემეცნებას, რომელიც ამ პირველი წყაროდან — გრძნობადობიდან — წ ა რ მ ო-ი შ ო ბ ა და რომელშიც, მაშასადამე, უკვე მეტი მოიაზრება, ვიდრე მარტოოდენ გრძნობადი შთაბეჭდილებაა, ჰქვია ჭ ვ რ ე ტ ა (Anschauung). მაგრამ ჭვრეტაში ჩვენ ვასხვავებთ შემთხვევითს, რაც შეიძლებოდა სხვაგვარადაც ყოფილიყო, და სხვა რაღაცას, რაც არ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ ყ ო ფ ი-ლ ი ყ ო. რაც გარეშე საგნებს შეეხება, ეს რაღაცა არის ს ი ვ რ ც ე. გარეშე საგნების წარმოდგენა არ შეგვიძლია სხვაგვარად. თუ არ სივრცში, მაშასადამე, სივრცე არის ჩვენი გარეგანი ჭვრეტის აუცილებელი და საყოველთაო ფორმა. აქ კანტი, ჩვენი გარეგანი ჭვრეტის ამ სივრცობრივი ფორმის აუცილებლობიდან და საყოველთაობიდან გამომდინარე, ამტკიცებს, რომ სივრცე, ნივთთა ოდენ შემთხვევითი და მატერიალური მხარისაგან განსხვავებით, ვერ იქნება რაღაც მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული ან მხოლოდ ნამდვილ ჭვრეტაში წარმომდგარი, რომ იგი ფორმაა, რომელიც ჩვენში არსებულ ნამდვილ ჭვრეტას წინ უსწრებს და, მაშასადამე, თვით ჩვენი შემეცნების უნარის ბუნებაშია დაფუძნებული; საიდანაც გამომდინარეობს, რომ იგი (სივრცე) მოცემულია არა თვით საგნებში (Gegenstände) თავისთავად, ანუ ჩვენი წარმოდგენისაგან დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ საგნებში იმდენად, რამდენადაც მათ ჩვენ ვჭვრეტთ. აქედან კი შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ საგნების არსება ჩვენს გარეშე თავისთავად უსივრცო და არაგრძნობადია. მაგრამ კანტი ამ დასკვნის გამოტანას ჩვენ გვიტოვებს, ისევე, როგორც იმის მოფიქრებას, თუ როგორ იღებს თავისთავად უსივრცო მატერია (Stoff), რომელმაც ჩვენს გარეთ მყოფ საგნებზე ჩვენი წარმოდგენის უკანასკნელი საფუძველი უნდა მოგვცეს, სივრცის ხსენებულ ფორმას, სივრცულ ფორმას.

რაც გარეგანი ჭვრეტისათვის სივრცეა, ის შინაგანისთვის დ რ ო ა. ჩვენი წარმოდგენები, შეგრძნებები და ა. შ. — ამასთან, არა მარტო ის წარმოდგენები, რომლებიც წმინდად თვით ჩვენგან, ჩვენი გონის საკუთარი მოქმედებიდან წარმოიშობიან, არამედ ის წარმოდგენებიც, რომლებიც გამოწვეულნი არიან ჩვენზე გარეგანი საგნების ზემოქმედებით — მოსდევენ ერთიმეორეს; ფორმა, რომელშიც ჩვენ მათ აღვიქვამთ, არის თანმიმდევრობა (სუკცესია) — დრო. ამგვარად, აქედან გამომდინარეობს, რომ იმაში, რაც იწვევს ჩვენს წარმოდგენას გარეგანი საგნების შესახებ, არც სუკსეცია ყოფილა და არც დრო; უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტიც: ისიც გამომდინარეობს, რომ დროში ყოფილან არა თვით გრძნობადად წარმოდგენილი საგნები, არამედ მხოლოდ მათი წარმოდგენები, რამდენადაც ჩვენ მათ შინაგანი შეგრძნებით ალვიქვამთ; მაშასადამე, გამომდინარეობს, რომ დრო კიდევ უფრო ნაკლებ ყოფილა დამოუკიდებელი ჩვენი წარმოდგენებისაგან, ვიდრე სივრცე, რომ პირველი კიდევ უფრო სუბიექტური ყოფილა, ვიდრე მეორე.

მაგრამ, ყოველაფერ ამასთან, კანტს მაინც დაშვებული აქვს დროისა და სივრცის გარეშე (რომლებიც მხოლოდ ჩ ვ ე ნ ი ჭვრეტის და წარმოდგენის ფორმები არიან) თავისთავად უსივრცო და უდროო საფუძველი ჩვენი ჭვრეტისა, ის უცნობი, რომელსაც იგი x-ით (მათემატიკაში უცნობი სიდიდის ნიშნით) აღნიშნავს და რომელსაც იგი საკმაოდ უცნაურად უწოდებს „ნივთს თავისთავად“ (კაცმა რომ თქვას, ეს უფრო უნდა იყოს ნივთი თავისთავად და თავის წ ი ნ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნივთი მანამდე, სანამ იგი ნ ი ვ თ ა დ იქცეოდეს, რადგან ნივთად იგი მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში იქცევა). მაგრამ რა შეიძლება იყოს ეს ყოველივე სივრცისა და ყოველივე სუკცესიისა და დროის გარეშე დადგენილი, რაც, რამდენადაც იგი ყოველივე ს ი ვ რ ც ი ს გარეშეა, გონითია (geistig), ხოლო რამდენადაც ყოველივე დროის გარეშეა, მარადიულია, — რა შეიძლება იყოს ეს უცნობი, თუკი იგი ღმერთი არაა, ეს ძნელი სათქმელია. მაგრამ კანტი შორსაა იმისგან, რომ ის ისე განსაზღვროს, როგორც ღმერთი, რადგან ბ ე რ კ ლ ი ს ე უ ლ იდეალიზმს, რომელიც მთელ გრძნობად სამყაროს ფანტაზიად (Vorspeigelung) აღიარებს, ჩვენს წარმოდგენის უნარზე ღვთიური ზემოქმედებით შექმნილად, — ამ იდეალიზმს, რომელიც მოაზრებადი მაინც არის, კანტი ფუჭს (Schwärmerisch) უწოდებს. შესაძლოა მართლაც ასე იყოს. მაგრამ ფუჭი ფანტაზიაც კი, თუკი რაღაცის მოაზრების საშუალებას იძლევა, ფილოსოფიური თვალსაზრისით სჯობია იმას, რაც სრული აზრსმოკლებულობით (Nichtgedanke) ან უაზრობით (Ungedanke) მთავრდება, როგორც გრძნობადი ჭვრეტის კანტისეული თეორია, რომელიც ორი წმინდა წყლის მოუაზრებადობით (Unbegreiflichkeiten) მთავრდება, სახელდობრ, მოუაზრებადი დაშვებით წარმომდგენლისა ჩვენში, რომელიც იძულებულია ყოველივე სივრცესა და დროის გარეთ არსებული სივრცესა და დროში წარმოიდგინოს, და მეორე ამდენადვე მოუაზრებადის დაშვებით ჩვენს გარეთ, რომლის შესახებ ჩვენ არ ვიცით არც ის, თუ რაა იგი, არც ის, თუ როგორ ზემოქმედებს ჩვენზე, და არც ის, თუ რომელი აუცილებლობა ან რომელი ინტერესი ამოძრავებს მას, რათა ჩვენზე იმოქმედოს და გრძნობადი სამყარო წარმოგვადგენინოს.

მაგრამ გრძნობადობის განხილვის შემდეგ კანტი გადადის მეორე შემმეცნებელ ან შემეცნების განმსაზღვრელ უნარზე ჩვენში — განსჯაზე. იგი ამჩნევს, რომ გრძნობადად აღქმული ჩვენთვის აუცილებლად მხოლოდ სივრცეში და დროში როდია, რომ ჩვენ, რამდენადაც კი იგი შეიმეცნება — რამდენადაც კი იგი ჩვენი მსჯელობის საგანი ხდება — იძულებულნი ვართ, მას გარკვეული განსჯისეული განსაზღვრებები მივცეთ, მაგ., იგი განვსაზღვროთ, როგორც სუბსტანცია ან აკციდენცია, როგორც მიზეზი ან შედეგი, როგორც ერთი ან მრავალი და ა. შ. ყველა ეს განსაზღვრებები უკვე აღარ წარმოადგენენ მხოლოდ ჭვრეტის ფორმებს, ისინი აზროვნებისეული განსაზღვრებებია, ცნებებია — წმინდა განსჯისეული ცნებები. და მაინც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ცნებები თ ვ ი თ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ს ა გ ნ ე ბ შ ი ა, რომ ჩვენი მსჯელობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომლის თანახმად ესა თუ ის საგანი სუბსტანცია ან მიზეზია, მხოლოდ სუბიექტური კი არაა, არამედ ობიექტურად მნიშვნელადია, და რომ ნივთები ისევე ვერ მოიაზრება ამ ცნებათა გარეშე, როგორც, მაგ., ვერ იჭვრიტება სივრცის გარეშე. და მაინც, ვინაიდან ხსენებული განსაზღვრებები ცნებებია, რომლებიც მხოლოდ განსჯაში არსებულად მოიაზრება, უნდა გვეფიქრა, რომ ისინი ამტკიცებენ ჩვენგან დამოუკიდებლად თვით ნივთებში არსებულ განსჯას; მაგრამ კანტი ამგვარ დასკვნას არ აკეთებს, არამედ ასკვნის: მაშასადამე, ეს განსაზღვრებები შეიძლება ძალაში იყოს მხოლოდ წარმოდგენილი საგნებისათვის, როგორც ასეთისთვის, მაგრამ არა ამ საგნებს მიღმა, არა ნივთისათვის თავისთავად. ამ განსაზღვრებებს ვერ გავავრცელებთ იმ უცნობზე, რომელიც ჩვენ წარმოდგენათა უკანასკნელ საფუძველს შეიცავს. მაგრამ სწორედ ეს უცნობია ის უკანასკნელ ინსტანციაში ამხსნელი, რომელსაც უპირატესად უნდა ეხებოდეს ჩვენი ეს განხილვა: თუ ვიკითხავთ, რაღა შეიძლება იყოს ეს, რაც არც სივრცეშია და არც დროში, არც სუბსტანციაა და არც აკციდენცია, არც მიზეზია და არც შედეგი, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ეს უცნობი უკვე აღარ არის x, როგორც მას კანტი აღნიშნავს (მათემატიკური ფორმულის უცნობი სიდიდე), არამედ არის 0, რომ იგი სრულ არარად გვექცა. ამგვარად, ვინაიდან კანტისათვის ეს ცდის გარეშე წანამძღვრად დაშვებული რამ (რადგან ცდაში კანტი გულისხმობს არა შიშველ ჭვრეტას, არამედ ხსენებულ განსჯისეულ ცნებებით განსაზღვრულსა და, ამგვარად, შემეცნებამდე აყვანილ ჭვრეტას) ამით სრულ არარად იქცევა, საბოლოოდ კანტს კვლავ სწორედ იქ მივყავართ, სადაც იმთავითვე ვიყავით — სავსებით აუხსნელ ცდასთან. მიუხედავად ამისა, კანტის დამსახურებაა, რომ მან საყოველთაობა და აუცილებლობა ჩვენს შემეცნებაში, რომელთა გარეშეც ვერავითარ უეჭველობას ადგილი ვერ ექნება, თუ ვერ ახსნა, ყოველ შემთხვევაში შეინარჩუნა მაინც. თვით გრძნობად ფენომენშიც კი დარწმუნებული ვერ ვიქნები, თუ ჩემს გონში არ მოიპოვება რაღაც აუცილებელი პრინციპი, რომელიც ჩემი ამ შემეცნების ძალაში ყოფნას უეჭველს ხდის. საბოლოოდ შემდეგ დებულებამდე მივდივართ: შეუძლებელია, მე არ შევიგრძნობდე მას, რასაც შევიგრძნობ.

მაგრამ კანტისეული კრიტიკა, უპირატესად, შემდეგი მტკიცებით გახდა განთქმული: განსჯისეული ცნებები (ანუ, როგორც იგი მათ არისტოტელესაგან ნასესხები სიტყვით აღნიშნავს, „კატეგორიები“) ზეგრძნობადს ვერ მიეყენება; კანტს ჰგონია, რომ ამით ბოლო მოუღო ყოველგვარ მეტაფიზიკას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ზეგრძნობადის შემეცნებას ეხება. მაგრამ ამ შემთხვევაში მან მეტი ქნა, ვიდრე სურდა. რადგან თუ განსჯისეული ცნებების ეს მიუყენებადობა ზეგრძნობადისადმი სამართლიანია, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ ზეგრძნობადს არა თუ ვერ შევიმეცნებთ, არამედ საერთოდ ვერც მოვიაზრებთ. მაგრამ ამით კანტი წინააღმდეგობაში ვარდება თავისთავთან. ზეგრძნობადის, სულ ცოტა, არსებობას მაინც ხომ თვითონ იგი არ უარყოფს და ცდის კონსტრუირებაში მას წანამძღვრად იღებს! რადგან მაინც რაა, კაცმა რომ თქვას, ხსენებული ნივთი თავისთავად, როგორც მას კანტი უწოდებს? განა ისიც ზეგრძნობადი არ არის? იგი ხომ, სულ ცოტა, გრძნობადობის-გარე და არაგრძნობადი მაინც არის. ასეთი კი იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ორგვარად. იგი ან გრძნობადი ცდის ზევით არის ან მის ქვევით. გრძნობადი ცდის ქვევით ის მაშინ იქნებოდა, თუ მას მოვიაზრებდით, როგორც შიშველ ჰი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პოკეიმენონს, შიშველ სუბსტრატს, როგორც წმინდა მატერიას ყოველივე აქტუალური თვისების გარეშე (რომელსაც იგი მხოლოდ გრძნობად ჭვრეტაში იძენს). მაგრამ ცნება „სუბსტრატი“ ცნება „სუბსტანციისაგან“ არ განსხვავდება. ამგვარად, აქ კანტს ხელთ აქვს რაღაც გრძნობადი ცდის გარეთ მყოფი, და იგი იძულებულია ეს რაღაცა „სუბსტანციად“ განსაზღვროს. თუ არა, მაშინ კანტს იგი ესმის როგორც ზეგრძნობადი. აქ პირველ რიგში ვიკითხავდით: რა მიმართებაშია ეს ზეგრძნობადი სხვა სახის ზეგრძნობადთან, რომელსაც კანტი ყოველთვის წარმოგვიდგენს ხოლმე, სულ ცოტა, როგორც ჩვენი შემეცნებითი ს წ რ ა ფ ვ ი ს საგანს მაინც, თუმც კი იგი ამავე დროს უარყოფს, რომ იგი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ შეიძლება შემეცნებულ იქნეს — რა მიმართებაშია ეს იმ ზეგრძნობადთან, რასაც კანტი ღმერთში, ადამიანის სულში, ნების თავისუფლებაში და ა. შ. ხედავს? არაფერია უფრო თვალში საცემი, ვიდრე ის, რომ კანტი თავისი განთქმული კრიტიკული მეთოდით მაინც არასდროს მისულა ამ ადვილმისაგნებ და ბუნებრივად აღმოცენებად კითხვამდე: რა მიმართებაშია ეს ერთი გრძნობადობის-გარე ანუ ოდენ-ინტელიგიბელური რამ მეორე საკუთრივ ზეგრძნობადთან?

კანტი ამ ორივეს მშვიდად ტოვებს ერთმანეთის გვერდით, ისე რომ მათ არც ასხვავებს რამენაირად ერთმანეთისაგან და არც აკავშირებს.

კანტი თვითონ უწოდებს ამ ეგრეთწოდებულ ნივთს „თავისთავადს“ (რაც, მისივე ცნებების მიხედვით, ნამდვილი ხის რკინაა, ვინაიდან რამდენადაც იგი ნივთია (ობიექტია), იგი არ არის თავისთავადი, და თუ იგი თავისთავადია, მაშინ იგი აღარაა ნივთი), მაგრამ თვითონვე აცხადებს ამ თავისთავად ნივთს ჩვენი წარმოდგენების ინტელიგიბილურ საფუძვლად. მართალია, სიტყვა „საფუძველი“ იტევს მარტოოდენ ლოგიკურ მნიშვნელობასაც და, აქედან გამომდინარე, ხსენებული ინტელიგიბილურის მარტოოდენ ლოგიკურ მიმართებასაც ჩვენს წარმოდგენასთან. მაგრამ ვინაიდან, კანტის აზრით, ნამდვილ წარმოდგენას წინ უსწრებს შეგრძნებებზე მოხდენილი შთაბეჭდილება, ეს შთაბეჭდილება კი არ შეიძლება მომდინარეობდეს უკვე წარმოდგენილი ანუ წმინდა გრძნობადობის ფორმებითა და განსჯისეული ფორმებით უკვე შემოსილი ობიექტიდან, არამედ მხოლოდ ყოველივე წარმოდგენის გარე და ყოველივე წარმოდგენის ზევით არსებული ნივთიდან, ამიტომ კანტი იძულებულია შთაბეჭდილება ხსენებული ინტელიგიბილურიდან გამოიყვანოს, ეს ინტელიგიბილური ჩვენი წარმოდგენის causa efficiens*-ად აქციოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით იგი განსაზღვროს როგორც მიზეზი (განსჯისეული ცნების გამოყენებით); ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ამ ინტელიგიბილურს, ამ noumenon-ს, როგორც იგი მას უწოდებს, კანტი არ მიაწერს უშუალო მიმართებას ინტელიგენცთან (გონიერებასთან), ნუსთან (გონებასთან), საკუთრივ შემმეცნებელ უნართან, არამედ მიაწერს მიმართებას ჩვენს მარტოოდენ მატერიალურ შეგრძნებებთან ანუ სხეულებრივ შეგრძნების ორგანოებთან. თუ ხსენებული ინტელიგიბილური საფუძველი, რომელსაც კანტი უწოდებს „ნივთს თავისთავად“, ჩვენი წარმოდგენებისათვის იძლევა, კალმა რომ თქვას, შიშველ მატერიას, მასალას, რომელიც შემდეგ მხოლოდ აპერცეპციის ტრანსცენდენტალურ სინთეზში (როგორც კანტი ამ ოპერაციას უწოდებს), მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში, თვით სუბიექტში ღაიღებს განსჯის იმ ბეჭედს, რომელიც ჩვენ მასში

* მოქმედი მიზეზი (ლათ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლად წანამძღვრად უნდა დავუშვათ, თუკი გვინდა იგი ობიექტური მსჯელობის საგნად გავხადოთ, მაშინ საკითხავია: 1. როგორ მოდის სუბიექტთან ეს ინტელიგიბილური საფუძველი, როგორ ზემოქმედებს მასზე? 2. როგორ უქვემდებარდება ასე მორჩილად ეს მასალა განსჯისეულ ფორმას? 3. საიდან მოსდის სუბიექტს ეს ძალაუფლება მასალის მიმართ? ეს საკითხები კანტისეულ კრიტიკაში უპასუხოდაა დარჩენილი, უფრო მეტიც, წამოჭრილიც კი არაა.

ფილოსოფიას ორი მოთხოვნა წამოეყენება: პირველია ბუნების გენეზისის ახსნა, სულ ერთია როგორ ვცნობთ მას—როგორც რაღაცას *ობიექტურად*, ჩვენი წარმოდგენების *გარეშეც*, *ისე* არსებულს, როგორც ჩვენ მას წარმოვიდგენთ, თუ *იდეალისტურად*, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში არსებულს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის მაინც უნდა იქნეს ნაჩვენები, თუ ჩვენი შინაგანის რომელი (თანაც, აუცილებელი) პროცესი გვაიძულებს წარმოვიდგინოთ ასეთი სამყარო ამ განსაზღვრებებით და ასეთი გრადაციებით. კანტმა ამ მოთხოვნას გვერდი აუარა. მეორე მოთხოვნა, რომელსაც ვუყენებთ ფილოსოფიას, ისაა, რომ ხსენებული საკუთრივ მეტაფიზიკური სამყარო, ზეგრძნობადი რეგიონი, სადაც ღმერთის, სულის, თავისუფლების, უკვდავების ადგილია, მისაწვდომი გავხადოთ. ფილოსოფიის ამ უფრო მაღალ ნაწილთან კანტს თავისებური მიმართება აქვს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მეტაფიზიკურის მიმართ კანტს, კაცმა რომ სთქვას, იგივე ზრახვა აქვს, რაც ტრადიციულ მეტაფიზიკას. ჭეშმარიტი მეტაფიზიკა რომ არსებობდეს (ამ შეხედულებას კანტი ყველგან გვაგრძნობინებს), იგი აუცილებლად დაგვისაბუთებდა ღმერთს, როგორც სამყაროს დამოუკიდებელ შემქმნელს, აუცილებლად გვიჩვენებდა ადამიანის მორალურ თავისუფლებას ბუნებაში არსებული ურღვევი მიზეზობრივი კავშირის (Kausal-nexus) გვერდით და ადამიანური არსების უკვდავებას. მაგრამ ამასთან კანტი ამ მიზნის მისაღწევად არ იღებს წანამძღვრად არც ერთ სხვა საშუალებას, რომელიც ცნობილი არ იყოს აგრეთვე ადრინდელი მეტაფიზიკისათვისაც. მისი კრიტიკაც ისე ძლიერაა შემოფარგლული მხოლოდ და მხოლოდ ამ მეტაფიზიკით, რომ კარგად ჩანს: კანტს აზრადაც არ მოსვლია არასდროს, რომ შეიძლება კიდევ სხვა მეტაფიზიკაც არსებობდეს. უფრო მეტიც; კანტის კრიტიკა ამ მეტაფიზიკის მხოლოდ ერთ გარკვეულ *ფორმას* ეხება, სახელდობრ *იმას*, რომელიც მან შემთხვევით მიიღო კანტის სიჭაბუკეში ქრისტიან ვოლფის და, კიდევ უფრო მეტად, ალექსანდრე ბაუმგარტენის (კანტის მასწავლებლის, ვოლფიანელებს შორის ერთ-ერთი უჭკვიანესის) ხელში. კანტი უგულებელყოფს ყოველივეს, რაც სცილდება ხსენებული მეტაფიზიკის სუბიექტურ რაციონალიზმს. ამდენად, მის კრიტიკას არავითარი გამოყენება არა აქვს, მაგ., სპინოზიზმის მიმართ. კანტი, მართალია, ამბობს: სუბსტანციის ცნება ვერ მიეყენება და არცაა დასაშვები, რომ მიეყენებოდეს ზეგრძნობად საგნებს, მაშასადამე, არ მიეყენება არც ღმერთს. ეს მოსაზრება შეიძლება სპინოზიზმის საწინააღმდეგო ჩანდეს, მაგრამ იგი სპინოზას ვერ შეეხება, რადგან ეს უკანასკნელი ღმერთს არ იაზრებს როგორც ზეგრძნობადს, კანტისა და ხსენებული სუბიექტური რაციონალიზმის აზრით. ღმერთი სპინოზასთვის არის მხოლოდ უშუალო სუბსტანცია გრძნობადი და ყოველივე სხვა არსისა. ამგვარად, კანტს დასჭირდებოდა ჯერ იმის დამტკიცება, რომ ღმერთი ზეგრძნობადია *მისეული* აზრით; მაგრამ იგი ამას არ ასაბუთებს, არამედ წინდაწინვე გულისხმობს, მხოლოდ ზოგადი მოძღვრებიდან ანუ მანამდე არსებული მეტაფიზიკიდან გამომდინარე. ამგვარად, გვიჩვენა რა ჩვეულებრივი მეტაფიზიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთების უკმარობა, — მაგ., ღმერთის არსებობის, ადამიანის სულის მოუსპობლობისა და უკვდავების საბუთებისა — მას ჰგონია, რომ საბოლოო განაჩენი გამოუტანა ყოველივე მეცნიერულ მეტაფიზიკას; მისი დაძაბული კრიტიკის საბოლოო შედეგი ასეთია: შეუძლებელია ზეგრძნობადის ნამდვილი შემეცნება. საკუთრივ მეტაფიზიკური საგნები მისთვის მხოლოდ გონების იდეებია, რომლებსაც, მისი თქმით, ვერც ერთ შესაძლებელ ცდაში ვერ შევხვდებით. მაგრამ ამ ზოგადობასა და განუსაზღვრელობაში, რომელშიც ამის მტკიცება ხდება კანტთან, ჯერ სრულებითაც არ არის ნაჩვენები, რომ ღმერთი არ არის ან ვერ იქნება ცდის საგანი. მართალია, ღმერთი არაა საგანი ი მ ც დ ი ს ა, რომელსაც კანტი ერთადერთს უწოდებს ამ სახელს; მაგრამ კანტი ხომ თვითონ უშვებს (statuiert) გარეგანი შეგრძნებების მეშვეობით მიღებული ცდის გარდა აგრეთვე შინაგან ცდასაც; მართალია, შემდეგ იგი ამბობს, რომ ნამდვილი ცდა არსებობს მხოლოდ ჩვენ წარმოდგენათა მატერიის ჩვენს გარეშე მყოფი ინტელიგიბილური მიზეზის შეხვედრაში ჩვენს (ასევე ინტელიგიბილურ) სუბიექტთან, რომელსაც თავისივე ბუნება აიძულებს ცდას განსჯისეული ფორმები მიანიჭოს; ამგვარად, ხსენებული ინტელიგიბილური თვითონ არის ერთ-ერთი ფაქტორთაგანი ჩვენი შემეცნებისა და გამოდის, რომ სწორედ ამიტომ არ შეუძლია თვით იყოს შემეცნების ს ა გ ა ნი. შემეცნების საგანი მხოლოდ ამ ორივე ფაქტორის პროდუქტია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ხსენებული ინტელიგიბილური ყოველივე შემეცნების ერთ-ერთი ფაქტორთაგანია, იგი, როგორც წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ყოველივე ნამდვილი შემეცნებისა, ამ შემეცნებასთან მიმართებაში გვევლინება როგორც ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი, ხოლო შემეცნება, როგორც ასეთი, თავის ამ წინამძღვართან მიმართებაში გვევლინება როგორც შემთხვევითი. მაშასადამე, თუ ვაღიარებთ, რომ ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ ხსენებული ინტელიგიბილური ვერ იქნება ნამდვილი შემეცნების საგანი, მაშინ იგი აუცილებელი აზროვნების საგანი მაინც არის. ამაზე მეტის მტკიცება კი—იმაზე მეტისა, რომ, მაგ., ღმერთი აუცილებელი აზროვნების საგანია, არც ძველ მეტაფიზიკას სურდა. მაგრამ კანტისეული კრიტიკის საქმე მართლაც ასეა, როგორც ზემოთ ითქვა: ზუსტად რომ ვთქვათ, იგი მოხსნის და შეუძლებელს ხდის ზეგრძნობადის არა მარტო შემეცნებას, არამედ ყოველივე მოაზრებასაც; სახელდობრ, მოხსნის იმით, რომ, როგორც იგი თვითონ ამბობს, კრძალავს განსჯისეული ცნებების ყოველივე მიყენებას ზეგრძნობადისადმი. მაგრამ, როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც კანტმა ღმერთი თეორიული ფილოსოფიიდან განდევნა, მას თვითონ შემოჰყავს იგი პრაქტიკულ ფილოსოფიაში, წარმოგვიდგენს რა ღმერთის არსებობის რწმენას ზნეობრივი კანონის მიერ მოთხოვნილ რწმენად. თუ ეს რწმენა აზროვნებისაგან სავსებით დაცლილი არაა, მაშინ აქ ღმერთი, სულ ცოტა, მ ო ი ა ზ რ ე ბ ა მაინც. ახლა კი მე მაინტერესებს, როგორ ახერხებს კანტი ღმერთის მოაზრებას, თუ არ მოიაზრა იგი როგორც ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა; მართალია, კანტი არ იაზრებს მას როგორც სუბსტანციას სპინოზასეხური აზრით, როგორც id quod substat rebus*, მაგრამ უდავოა, იგი ღმერთს იაზრებს, როგორც აბსოლუტურად გონითსა და ზნეობრივ პიროვნებას. მართალია, ასეთი პიროვნების ცნება მ ე ტ ს შეიცავს, ვიდრე სუბსტანციის ცნება. ამგვარად, ღმერთი არ არის ო დ ე ნ სუბსტანცია, ისევე როგორც, მაგ., ადამიანს საკმარისად ვერ დავახასიათებთ იმის თქმით, რომ იგი სუბ-

* id quod substat rebus—ის, რაც საფუძვლად უდევს საგნებს (ლათ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანციაა. მაგრამ განა ამის გამო იგი აღარ არის სუბსტანცია? ასევე ნაკლებად მესმის მე, რაღა რჩება ღმერთის ცნებიდან, თუ უფლება არა მაქვს მოვიაზრო იგი როგორც მიზეზი. ამგვარად, კანტმა თავისი კრიტიკით თავისი ნასროლი საკუთარ მიზანს გადააცილა.

თუ, როგორც აქამდე ნათქვამიდან ჩანს, კანტის კრიტიკის მატერიალური შედეგი საბოლოოდ და თავის საფუძველში ასეთი ფუჭი და არაფრის მთქმელია, მაშ რაღას ეფუძნება მაინც ის უდავო დიადი და განსაკუთრებული, რაც მან შექმნა? რით იმსახურებს იგი, მიუხედავად ამისა, ფილოსოფიის ინსტავრატორის (განმაახლებლის) სახელს? შეიძლება ამის სხვადასხვა მიზეზი დავასახელოთ. 1. კანტმა თუნდაც იმით ითამაშა კეთილისმყოფელი როლი, რომ მხოლოდ იგი მიუდგა, სულაც, საქმეს მეთოდურად და სერიოზულად და მით ბოლო მოუღო იმ ფილოსოფიურ ანარქიას, რომელიც მანამდე სუფევდა; მე ვგულისხმობ არა გარეგან ანარქიას, რომ იმ პერიოდში არავის არ ეპყრა ხელთ ფილოსოფიის სადავეები, არამედ შინაგან ანარქიას — პრინციპების სრულ უქონლობას, (αρχή, საიდანაც მოდის ანარქია. როგორც ცნობილია, პრინციპს ნიშნავს), ბოლო მოუღო, მაშასადამე, ფილოსოფიის ამ სრულ უპრინციპობას; 2. თუ იმ ღრმა კითხვებს, რომლებიც ძირითადად ეხებიან ყოველივე შეცნობადი ყოფიერების ინტელიგიბილურ საფუძველს, მან პასუხი ვერ გასცა, — უფრო მეტიც, არც კი წამოუყენებია ისინი, მან, ყოველ შემთხვევაში, მათ გარდუვალ წამოყენებას ბიძგი მაინც მისცა; განსაკუთრებით კი, როგორც უკვე აღინიშნა, ღირებული ისაა, რომ მან ადამიანურ შემეცნებაში საყოველთაობისა და აუცილებლობის არსებობა დაასაბუთა გამანადგურებელი სკეპტიციზმისა და სენსუალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ კანტის ნამდვილი ისტორიული როლი, ის, რითაც იგი განმსაზღვრელი გახდა გერმანული ფილოსოფიის მომავლისთვის, მაინც ყოველივე ამაში როდი უნდა ვეძიოთ. მისი როლი ფილოსოფიაში უფრო იმან განაპირობა, რომ მან ფილოსოფიას მისცა მიმართულება სუბიექტურისაკენ, რომელიც მას სავსებით დააკარგვინა სპინოზამ; რადგან სპინოზასთვის დამახასიათებელია სწორედ სუბსტანცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ობიექტია, უსუბიექტოა, რომელმაც გაანადგურა თავისი თავი, როგორც სუბიექტი. მართალია, ერთგვარმა გაუბედაობამ, რომლის დაძლევაც კანტმა ვერ შესძლო და რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან მის ფილოსოფიას მაშინვე ყოველგვარი შესაძლებელი საძულველი პრედიკატებით შეჰვდნენ, მას წმინდა გონების კრიტიკის პირველი გამოცემის ის ადგილები, რომლებშიც იგი თავს ლამის იდეალისტადაც აცხადებდა, შემდეგ გამოცემებში შეაცვლევინა ახლით, სადაც იგი, თითქოს, იდეალიზმს უარყოფს. მაგრამ გზა იდეალიზმისაკენ, მიუხედავად ამისა, მაინც გაიკაფა. ნივთი თავისთავადი მეტისმეტად განუსაზღვრავი, უფრო მეტიც, — გამოუსადეგარი რამ იყო (რადგან ყველაფერი, რაც ობიექტს საგნად, სინამდვილედ აქცევს, კანტის მიხედვით, სუბიექტიდან მოდის), ასე რომ მისი არსებობა შეუძლებელი ხდებოდა და, ამგვარად, ფილოსოფიის შემდეგი ნაბიჯი, უდავოდ, ის იყო, რომ მხოლოდ სუბიექტი, მხოლოდ „მე" დაეტოვებინა. ეს ნაბიჯი გადადგა ფიხტემ, რომელმაც პირდაპირ თქვა: „მე" სახელდობრ, ყოველი „მე"-ს „მე" ერთადერთი სუბსტანციაა.

ფიხტე „მე"-ს გულისხმობს არა ზოგად ან აბსოლუტურ რაღმე, არამედ მხოლოდ ადამიანურ „მე"-ს. „მე", რომლის სახითაც ყოველი ადამიანი თავის თავს ჰპოვებს თავის ცნობიერებაში, ერთადერთი ჭეშმარიტად არსებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული ადამიანისათვის ყოველივე დგინდება მხოლოდ საკუთარ „მე“-სთან ერთად და საკუთარ „მე“-ში. ყოველი ადამიანისთვის ამ ტრანსცენდენტალური აქტით, — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ აქტით, რომელიც განაპირობებს ემპირიულ ცნობიერებას და, ამდენად, მას წინ უსწრებს — თვითცნობიერების ამ აქტით დგინდება მთელი სამყარო, რომელიც მხოლოდ ამიტომ არსებობს მხოლოდ ცნობიერებაში. ამ თვითდადგენით „მე ვარ“, იწყება ყოველი ინდივიდუუმისათვის სამყარო, ეს აქტი ყოველ ჩვენგანში თანაბრად მარადი, უდროო დასაწყისია ჩვენი თვითობისაც და სამყაროისაც. ყოველი ადამიანი თითქოს მარადიული წესით (modo aeterno) იწყება, მასთან ერთად მისი წარმოდგენისათვის დგინდება მთელი მისი წარსული, აწმყო და მომავალი. მაგრამ თუ ფიხტეს ეგონა, რომ სიძნელეებს, რომლებსაც აწყდება ფილოსოფიური გონი, როცა სამყაროს ასახსნელად წანამძღვრად ლებულობს ნივთთა ობიექტურ არსებობას, იმით დააღწია თავი, რომ მთელი ახსნა „მე“-ს შიგნით გადაიტანა, მას მით უფრო ვალდებულად უნდა ეცნო თავი, დაწვრილებით ეჩვენებინა, თუ როგორ დგინდება მხოლოდ და მხოლოდ „მე ვარ“-ით ყოველი ადამიანისათვის მთელი ეგრეთწოდებული გარესამყარო ყველა თავისი როგორც აუცილებელი, ისე შემთხვევითი განსაზღვრულობებითურთ. მას შეეძლო უშუალო ცნობიერების გარეთ არსებულად დადგენილი საგნები გარდამავალ საფეხურებად მაინც, თვითდადგენის ხსენებული აქტის გამაშუალებლებად მაინც ეღიარებინა. მაგრამ ფიხტე თითქოს სრულიად ვერავითარ განსხვავებებს ვერ ამჩნევს გარესამყაროში. ბუნება მას „არა-მე“-ს აბსტრაქტულ, მხოლოდ ზღვრის აღმნიშვნელ ცნებაში, სავსებით ცარიელი ობიექტის ცნებაში აქვს მოქცეული, რომელშიც (ამ ობიექტში) სხვას ვერაფერს აღვიქვამთ, გარდა იმისა, რომ იგი სუბიექტს უპირისპირდება — ამ ცნებაში მოქცეული მთელი ბუნება ფიხტეს ისე შემოადნა ხელში, რომ მან საჭიროდ აღარ ჩათვალა შემდგომი დედუქცია, რომელიც ამ ცნებას გასცდებოდა. საბოლოო ჯამში კანტის კრიტიკაში უფრო მეტი ობიექტურობა იყო, ვიდრე ფიხტეს მეცნიერებათმოძღვრებაში; რადგან კანტი მის მიერ წამოწყებულ კრიტიკაში, შემეცნების უნარის კვლევისას თავისდა შეუცნობლად ცდიდან ამოდიოდა, ფიხტესთან კი პროგრესი მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი, მაშასადამე, შემთხვევითი რეფლექსიის ხარჯით ხდებოდა.

ამგვარად, ფიხტესათვის ყოველივე „მე“-სგანაა და „მე“-სთვისაა. ამით ფიხტემ დამოუკიდებლობა ანუ ავტონომია, რომელსაც კანტი ადამიანურ თვითობას მისი მორალური თვითგანსაზღვრის სფეროში მიაწერდა, თეორიულზედაც გაავრცო, ანუ ადამიანურ „მე“-ს მიანიჭა იგივე ავტონომია მისი წარმოდგენებისთვისაც გარესამყაროს შესახებ. ამიტომ ხსენებული დებულება: — „ყოველივე „მე“-სგანაა და „მე“-სთვისაა“ — პირველად, მართალია, გულს ფხანს ადამიანურ თვითგრძნობას და თითქოს ადამიანის შინაგან „მე“-ს ანიჭებს უკანასკნელ დამოუკიდებლობას ყოველივე გარეგანისაგან. მაგრამ თუ უფრო ახლოს განვიხილავთ საქმეს, შევამჩნევთ, რომ ამ დებულებას თრაზონულობა და ყალბი შეპირების ელფერი დაჰკრავს, სანამ არ გვიჩვენებია, თუ როგორ, რა წესით არსებობს „მე“-სგან და „მე“-სთვის ყოველივე ის, რაც არ შეგვიძლია არსებულად არ ვაღიაროთ. თვით ამ სუბიექტური იდეალიზმის შეხედულებაც კი ვერ იქნება ის, რომ „მე“ მის გარეშე მყოფ ნივთებს თავისუფლად და ნდომების გზით (durch Wollen) ადგენს; რადგანაც მეტისმეტად ბევრი რამ არის ისეთი, რასაც „მე“ სრულიად სხვაგვარად ინდომებდა, გარეგანი ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიერება მასზე რომ იყოს დამოკიდებული. თვით ყველაზე უკანმოუხედავი იდეალისტიც კი ვერ გაექცევა იმას, რომ „მე“, რამდენადაც საქმე შეეხება მის წარმოდგენებს გარესამყაროზე, არ მოიაზროს როგორც დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი — თუ „თავისთავად ნივთზე“ არა, როგორც მას კანტი უწოდებდა, ან საერთოდ მის გარეშე მდებარე რაიმე მიზეზზე არა, რაღაც შინაგან აუცილებლობაზე მაინც; და თუ ფიხტე „მე“-ს ხსენებული წარმოდგენების წარმოქმნას მიაწერს, მაშინ ეს აუცილებლად, სულ ცოტა, ბრმა წარმოქმნა უნდა იყოს, არა მე-ს ნ ე ბ ა შ ი, არამედ მის ბ უ ნ ე ბ ა შ ი დაფუძნებული. მაგრამ ყოველივე ამას ფიხტე არ დაეძებს, მან მთელი აუცილებლობის მიმართ უფრო მისი უნებურად უარმყოფელის, ვიდრე მისი ამხსნელის პოზიცია დაიჭირა. ვინაიდან მე იძულებული აღმოვჩნდი იქ დამეწყო ფილოსოფია, სადაც იგი ფიხტემ მოიყვანა, პირველ ყოვლისა, მე აუცილებლად უნდა განმესაზღვრა თუ როგორაა შესაძლებელი გაერთიანება, ერთის მხრივ, იმ უდავო და უცილობელი აუცილებლობისა, რომლის უკუგდებასაც ფიხტე ლიტონი სიტყვებით ცდილობს, და, მეორეს მხრივ, ფიხტესეული ცნებებისა, ანუ „მე“-ს აბსოლუტურ სუბსტანციობის მტკიცებისა. მაგრამ აქ კი წამსვე გამოირკვა, რომ, მართალია, გარესამყარო ჩემთვის არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ვარსებობ და ჩემი თავი გაცნობიერებული მყავს (ეს თავისთავად ცხადია), მაგრამ გაირკვა ისიც, რომ, პირიქით, **რამდენადაც კი** ჩემთვის ვარსებობ, იმდენადვე თავი გაცნობიერებული მყავს, რომ, რაკილა „მე ვარ“-ს გამოვთქვამ, ამით სამყაროსაც უკვე არსებულად ვცნობ, — რომ, მაშასადამე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სამყაროს უკვე თვითცნობიერი „მე“ ქმნიდეს. მაგრამ არაფერი უშლიდა ხელს ამ ჩემში ახლა თვითცნობიერი „მე“-ს ერთი მომენტით უკან დაწევას, იქით, სადაც მას ჯერ თვითცნობიერება არ ჰქონდა — იმას, რომ დაგვეშვა რაღაცა არე აწ არსებული ცნობიერების მიღმა და რაღაც ქმედება (Tatigkeit), რომელიც თვით კი აღარ მოდის ცნობიერებაში, არამედ მოდის მხოლოდ თავისი შედეგის მეშვეობით. ეს ქმედება კი სხვა ვერაფერი იქნებოდა თუ არა სწორედ თავისთავთან მოსვლის სამუშაო, თვითგაცნობიერების სამუშაო, რომლისთვისაც ბუნებრივია (და სხვაგვარად შეუძლებელიცაა), რომ ეს ქმედება თვითცნობიერების მიღწევისთანავე წყდებოდეს და მხოლოდ მისი შედეგილა რჩებოდეს. ეს წმინდა შედეგი, რომლის სახითაც ეს მუშაობა ცნობიერების წინაშე დგება და სახეს აღარ იცვლის (stehenbleibt) წარმოადგენს სწორედ გარესამყაროს, რომელსაც „მე“ სწორედ ამიტომ გაიცნობიერებს არა როგორც თავის მიერ შექმნილს, არამედ მხოლოდ როგორც მასთან ერთად და მის ერთდროულად არსებულს. ერთი სიტყვით, მე ვცდილობდი ამეხსნა „მე“-ს განუყოფელი კავშირი მის მიერ აუცილებლად წარმოდგენილ გარესამყაროსთან ამ „მე“-ს ტრანსცენდენტალური წარსულით, რომელიც წინ უსწრებს ნამდვილ ანუ ემპირიულ ცნობიერებას, მაშასადამე, ისეთი ახსნა მომეცა, რომელსაც „მე“-ს ტრანსცენდენტალურ ისტორიამდე მივყავართ. ამგვარად, ჩემმა პირველივე ნაბიჯებმა ფილოსოფიაში გამომამჟღავნა ტენდენცია ისტორიულისკენ, ყოველ შემთხვევაში თავის თავს განმაცნობიერებელი, თავისთავთან მოსული „მე“-ს ფორმით მაინც; რადგანაც „მე ვარ“ მხოლოდ თავისთავთან მოსვლის გამოხატულებაა და, მაშასადამე, ეს თავისთავთან მოსვლა, რომელიც „მე ვარ“-ში გამოითქმის, წანამძღვრად გულისხმობს თავისთავს გ ა რ ე თ და თავისწინ ნამყოფობის არსებობას (Außer und von. sich. Gewesensein), რადგან მხოლოდ იმას ძალუძს თავისთავთან მოსვლა, რაც მანამდე თავისთავს გარეთ იყო. მაშასადამე, „მე“-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველი მდგომარეობა თავისთავს გარეთ ყოფნა ყოფილა. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ (და ეს ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია), რომ „მე", რამდენადაც იგი ცნობიერების მიღმა არსებულად მოიაზრება, სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ არ არის ინდივიდუალური, რადგან ინდივიდად იგი განსაზღვრავს თავისთავს სწორედ მხოლოდ თავისთავთან მოსვლაში; ამგვარად, ცნობიერების *მიღმა* ანუ *გამოთქმული* „მე ვარ"-ის *მიღმა* მოაზრებული „მე" არის ყოველი ადამიანური ინდივიდისათვის ერთი და იგივე. იგი მხოლოდ თვითოეულში *ხდება* *მის* „მე"-დ, მის ინდივიდუალურ „მე"-დ, რამდენადაც იგი სწორედ მასში (ინდივიდში) მოდის საკუთარ თავთან. იქიდან გამომდინარე, რომ ცნობიერების მიღმა არსებულად მოაზრებული ყველა ინდივიდისათვის ერთი და იგივეა, რომ აქ ინდივიდი ჯერ არ მონაწილეობს, აიხსნება ისიც, თუ რატომ ვეყრდნობი მე ჩემი წარმოდგენისთვის გარესამყაროს შესახებ აუცილებლად და რაიმე სათანადო წინასწარი ცდის ქონის გარეშე ყველა ადამიანურ ინდივიდთა თანხმობას (ბავშვიც კი, რომელიც რაღაც საგანს მიჩვენებს, წანამძღვრად გულისხმობს, რომ ეს საგანი ჩემთვისაც აუცილებლად უნდა არსებობდეს). მაგრამ ხდება რა „მე" *ინდივიდად* — რაც სწორედ „მე ვარ"-ის მეშვეობით ხდება ცნობილი — მაშასადამე, მიაღწევს რა „მე ვარ"-ს, რითაც მისი ინდივიდუალური ცხოვრება იწყება, იგი უკვე აღარ იხსენებს განვლილ გზას, რადგან ცნობიერება სწორედ ამ გზის დასასრულს წარმოადგენს და, ამგვარად, ცნობიერებამ (ამჟამად ინდივიდუალურმა) გზა ცნობიერებისაკენ შეუცნობლად განვლო ისე, რომ თვითონ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ამით აიხსნება სიბრმავე და აუცილებლობა მისი წარმოდგენებისა გარესამყაროს შესახებ, ისევე როგორც ზემოხსენებული საერთო წარმომავლობით — იდენტურობა და საყოველთაობა ამ წარმოდგენებისა გარესამყაროს შესახებ ყველა ინდივიდში. ინდივიდუალური „მე" თავის ცნობიერებაში პოულობს მხოლოდ, ასე ვთქვათ, მონუმენტებს, ძეგლებს იმ გზისას და არა თვით გზას. მაგრამ სწორედ ამიტომ არის მეცნიერების საქმე, სახელდობრ კი პირველმეცნიერებისა, ფილოსოფიისა, ის, რომ ცნობიერების ხსენებული „მე" *ცნობიერებამ* მოიყვანოს თავისთავთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიყვანოს ცნობიერებასთან. ან კიდევ მეცნიერების ამოცანაა, რომ ცნობიერების ხსენებულმა „მე"-მ მთელი გზა თავისი თავისთავს გარეთ-ყოფნის დასაწყისიდან უმაღლეს ცნობიერებამდე *თვითონ* ცნობიერად განვლოს. ამ თვალსაზრისით, ფილოსოფია „მე"-სთვის სხვა არაფერია, თუ არა ანამნეზი, გახსენება იმისა, რაც „მე"-ს თავის საერთო (თავის ინდივიდუალურობამდელ) ყოფიერებაში უქმნია და განუცდია. ეს შედეგი ემთხვევა პლატონის ცნობილ შეხედულებებს თუმცა ეს უკანასკნელები სხვა აზრით და არც თუ ფანტასტიკური მინარევის გარეშე იყო ხოლმე გაგებული).

ასეთი იყო, ამგვარად, გზა, რომელსაც მე პირველად და ჯერ კიდევ ფიხტედან ამოსული დავადექი, რათა ჩემი მხრივ კვლავ ობიექტურთან მივსულიყავი. ადვილი მისახვედრია, რომ ფიხტესეული მოძღვრების ამ შემობრუნებას, რომელიც მას გასაგებს ხდიდა და რომლითაც მოიხსნებოდა ძირითადი შემოპასუხება მის წინააღმდეგ, არ მოაკლდებოდა მისი პირველი გამოჩენისას ტაში. ეს იყო ცდა ფიხტესეული იდეალიზმის სინამდვილესთან შერიგებისა ანუ იმის ჩვენებისა, რომ მაინც შესაძლებელია ობიექტური სამყაროს გაგება ფიხტესეული წანამძღვრის მიღების პირობებშიც: „ყოველივე მხოლოდ „მე"-სგანაა და „მე"-სთვისაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ნაკლებ ვჩქარობდი საკუთარი სისტემის ჩამოყალიბებას, რომ იმით დავკმაყოფილდი (რაც ჩემს იმდროინდელ ახალგაზრდობას შეეფერებოდა), ჯერ-ჯერობით ფიხტეს სისტემა გამეხადა გასაგები, ვიმედოვნებდი რა, რომ თვით ფიხტე მოიწონებდა მისი სისტემისათვის ამგვარი აზრის მიცემას, თუმცა შემდგომში ასე არ მოხდა. მე ისეთი სისტემა კი არ მაინტერესებდა, რომლითაც ვიამაყებდი როგორც საკუთარით, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც თვით მე დამაკმაყოფილებდა. არც ისე იყო ჩემი საქმე, როგორც ზოგიერთებისა, რომლებიც კანტისა და ფიხტეს მიერ მადააღძრულნი ფილოსოფიას ეცნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა არაფერი ესწავლათ და ეგონათ, ფილოსოფიაში ყველაზე უფრო ადვილად გავიტანთ თავს ცოდნის გარეშეო. ჩემ წინ გადაშლილი იყო ადამიანური კვლევა-ძიების არა ერთი არე, რომელშიც შემეძლო საკუთარი დაკმაყოფილებისათვის მეღვაწა და რომლისკენაც ჩემი მანამდელი მიდრეკილებები მიზიდავდა. ამგვარად, მე იმ დროს მხოლოდ ფიხტეს სისტემის ახსნა მსურდა, თუმცა არასოდეს ვყოფილვარ ფიხტეს მსმენელი, რასაც აქ მხოლოდ ისტორიული სიზუსტისთვის შევნიშნავ და არა იმისათვის, რომ ფიხტეს მიმართ მადლიერებისაგან თავი გავითავისუფლო ან იგი უარვყო როგორც მასწავლებელი და წინამორბედი, რადგანაც იგი სწორედ ეს იყო ჩემთვის, ისევე როგორც ყველასთვის, რამდენადაც მან პირველმა თქვა თავისუფლებაზე დამყარებული ფილოსოფიის სიტყვა და „მე“-ს თავისთავადობაზე დაამყარა არა მხოლოდ პრაქტიკული ფილოსოფია, კანტივით, არამედ თეორიულიც და, მაშასადამე, — მთელი ფილოსოფიაც. ამგვარად, მაშინ მხოლოდ იმის ჩვენებას ვცდილობდი, თუ როგორ შეიძლება მოვიაზროთ ყველაფერი ადამიანური „მე“-ს მიერ დადგენილად. ფიხტეს იდეალიზმის ამ დალაგებას შეიცავს 1800 წელს გამოსული ჩემი ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა. თუკი არის თქვენს შორის ისეთი ვინმე, ვისაც სურს ახლა ან მომავალში ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს უახლესი ფილოსოფიის თანდათანობითი განვითარების სტადიები, მაშინ მე არ შემიძლია მას არ ვურჩიო ტრანსცენდენტალური იდეალიზმის ამ სისტემის შესწავლა, ამ სისტემაში იგი ფიხტესეული ნააზრევის საფარველს ქვეშ შეიცნობს ახალ სისტემას, რომელიც ადრე თუ გვიან იძულებული იქნება ეს საფარველი გაგლიჯოს; იგი ამ ნაშრომში სრულად გამოყენებულს ნახავს იმ მ ე თ ო დ ს, რომელმაც შემდგომში უფრო ფართო მოხმარება ჰპოვა. იპოვის რა აქ ამ მეთოდს, რომელიც შემდეგ ფიხტესაგან დამოკიდებული სისტემის სული გახდა, იგი დარწმუნდება, რომ სწორედ ეს მეთოდია ჩემი საკუთარი, უფრო მეტიც —იგი იმდენად ბუნებრივია ჩემთვის, რომ მისით თითქმის ვერც ვიამაყებ, როგორც აღმოჩენით, მაგრამ სწორედ ამიტომ ვერ მივათვისებინებ ვერავითარ შემთხვევაში სხვას, რათა სხვამ იამაყოს მისი აღმოჩენით. ამას ვამბობ არა თავის საქებად, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანის ვალია წინააღუდგეს სიყალბეს საერთოდ, კერძოდ კი მაშინაც, თუ მას ჩვენი სიჩუმით დავამოწმებთ.

ამგვარად, ამოცანა, რომელიც თავდაპირველად დავისახე, ასეთი იყო: ჩვენი თავისუფლებისაგან უპირობოდ დამოუკიდებელი, უფრო მეტიც, — ამ თავისუფლების შემზღუდველი წარმოდგენა ობიექტური სამყაროსი ამეხსნა ისეთი პ რ ო ც ე ს ი ს მეშვეობით, რომელშიც „მე“ გახვეულს ხედავს თავისთავს სწორედ ვთითდადგენის აქტის მიერ წინასწარ განუზრახველი, მაგრამ აუცილებელი წესით. სახელდობრ, იხდის რა თვითონ თავისთავს საგნად, „მე“-ს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს (anziehen) თავის თავი (იმ აზრით, როგორც ვამბობთ: „მე არ ვთვა-

ლისწინებ ამას და ამას — „მე ამას და ამას უგულებელვყოფ“), ხოლო „მე“ ვერ გაითვალისწინებდა თავისთავს ისე, თუ ამით თავს არ შემოიფარგლავდა, თუ თავის ქმედებას, რომელიც, თავისთავად, უსასრულობისაკენ მიისწრაფის, არ დააოკებდა, თუ თავისთავს, რომელიც მანამდე წმინდა თავისუფლება იყო და იყო როგორც არარა, თავისთვის რაღაცად ანუ შემოფარგლულ რაიმედ არ გახდიდა. ზღვარი, რომელსაც ფიხტე „მე“-ს გარეთ ათავსებდა, ამგვარად, თვით „მე“-ში აღმოჩნდა და სავსებით იმანენტური გახდა პროცესი, რომელშიც „მე“-ს საქმე აქვს მხოლოდ თავისთავთან, თავის საკუთარ, თავისთავში არსებულად დადგენილ წინააღმდეგობასთან, რომელიც იმაში დგომარეობს, რომ იგი სუბიექტი და ობიექტია, უსასრულოა და სასრულია ერთსა და იმავე დროს. გახდა რა „მე“ ობიექტი, ამით მან თავისთავი კი იპოვა, მაგრამ იპოვა არა როგორც მარტივი, რასაც იგი ადრე წარმოადგენდა, არამედ როგორც ორმაგი, როგორც სუბიექტი და ობიექტი ერთდროულად — ამიერიდან იგი არის თ ა ვ ი ს თ ვ ი ს (für sich) და სწორედ ამით შეწყვიტა მან ყოფნა თავისთავად: მასში დადგენილი შემთხვევითობა გარდუვალად უნდა გადალახულიყო; ამ სუკცესიური გადალახვის მომენტები ნაჩვენები იქნა როგორც ბუნების მომენტთა იდენტური და ამ პროცესს თვალი მივადევნე საფეხურიდან საფეხურამდე, მომენტიდან მომენტამდე, ვიდრე იმ წერტილს არ მივაღწიე, სადაც „მე“ შეზღუდულობიდან კვლავ თავისუფლებაში გაიჭრა და აქლა დაეუფლა იგი ნამდვილად თავისთავს, ანუ გახდა უკვე თავისთვის არსებული, როგორც მანამდე თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არსებული იყო, გახდა არსებული როგორც წმინდა თავისუფლება. ამით დასრულდა თეორიული ფილოსოფია და დაიწყო პრაქტიკული. ფილოსოფიაში პირველმა მე ვკადრე ისტორიული განვითარება მომეცა; მთელი ფილოსოფია წარმოადგენდა ჩემთვის თვითცნობიერების ისტორიას, რომელიც მე ფორმალურად ეპოქებად დავყავი, მაგ., პირველი ეპოქა: თავდაპირველი შეგრძნებიდან (თავისთავის გაობიექტურების შედეგად „მე“-ში არსებულად დადგენილი შემოსაზღვრულობა) პრაქტიკულ ჭვრეტამდე. მაგრამ ჩემი ინსტრუმენტი იმდენად შეზღუდული იყო, რომ არ მოხერხდა მასზე მთელი მელოდიის შესრულება.

წინსვლის პრინციპი ანუ ჩემი მეთოდი ემყარება, ერთი მხრივ, განვითარებადი ანუ თვითცნობიერების შექმნაში გართული „მე“-ს და, მეორე მხრივ, მასზე მარეფლექტორებელი, თითქოს მისი თვალის მადევნებელი, მაშასადამე მოფილოსოფოსე „მე“-ს გარჩევას. ყოველი მომენტი ობიექტურ „მე“-ში გარკვეულ განსაზღვრულობას ადგენდა, მაგრამ ეს განსაზღვრულობა დგინდებოდა მხოლოდ თვალის მადევნებლისათვის და ა რ ა თ ვ ი თ მ ე ს თ ვ ი ს. მაშასადამე, პროგრესი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმაში გამოიხატებოდა, რომ ის, რაც წინარე მომენტში „მე“-ში მხოლოდ ფილოსოფოსი დამკვირვებლისათვის არსებულად დგინდებოდა, მომდევნო მომენტში „მე“-სთვის ობიექტურად — ანუ თვით ამ „მე“-სთვის არსებულად დგინდებოდა და რომ ამ სახით საბოლოოდ ობიექტური „მე“ თვით ფილოსოფიური „მე“-ს თვალსაზრისამდე მიიყვანებოდა, ანუ ობიექტური „მე“ სავსებით იდენტური (gleich) ხდებოდა მოფილოსოფოსე და, ამდენად, სუბიექტური „მე“-სი; მომენტი, რომელშიც მყარდებოდა ეს იდენტობა (Gleichheit), რომელშიც, მაშასადამე ობიექტურ „მე“-ში არსებულად ზუსტად იგივე დგინდებოდა, რაც სუბიექტურში არსებულად, ფილოსოფიის დამაგვირგვინებელი მომენტი იყო, რომელიც ამით ამავე დროს გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვევით უზრუნველყოფდა მის დასასრულს. ობიექტურ და ფილოსოფიურ „მე“-ს შორის დაახლოებით ისეთივე მიმართება იყო, როგორც სოკრატულ საუბრებში მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ობიექტურ „მე“-ში არსებულად ყოველ დროს ფარულად იმაზე მეტი დგინდებოდა, ვიდრე მან თვით იცოდა; სუბიექტური, მოფილოსოფოსე „მე“-ს ქმედება კი იმაში მდგომარეობდა, რომ დახმარებოდა ობიექტურ „მე“-ს მასში დადგენილის შემეცნებასა და ცნობიერებამდე მისვლაში და იგი ამგვარად საბოლოოდ სრულ თვითშემეცნებამდე მიეყვანა. ამ პროცედურამ, რომლის დროსაც ყოველთვის ის, რაც წინა მომენტში მხოლოდ სუბიექტურად დგინდება, მომდევნო ობიექტს ემატება, ჩვენს უფრო ფართო გადმოცემაშიც სასარგებლო სამსახური გასწია.

იდეალიზმის ამ დალაგების საწყისები მოიპოვება ცალკეულ ნაშრომებში, რომლებიც ჩემი ფილოსოფიური თხზულებების პირველ ნაწილში ხელმეორედაა გამოცემული. ვისაც სურს პატივი დამდოს და იმსჯელოს ჩემი ფილოსოფიური განვითარების მსვლელობაზე, განსაკუთრებით კი ვისაც უნდა გაეცნოს საკუთრივ ევრისტიკულ პრინციპს, გამოგონების პრინციპს, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, ის იმ საწყისებს უნდა მიუბრუნდეს[1].

გერმანულიდან თარგმნა ფ. ფეიქრიშვილმა

---

[1] თარგმნილია მანფრედ ბურისეული (M. Buhr) გამოცემიდან: Schelling, Zur Geschichte der neueren Philosophie, ლაიპციგი, 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## წიგნის განხილვა

1981 წლის 27 იანვარს საკავშირო ფილოსოფიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების ესთეტიკის სექციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თაოსნობით ჩატარდა განხილვა ზურაბ კაკაბაძის წიგნისა „ხელოვნების ფენომენი" («Феномен искусства», Тбилиси, изд-во «Мецниереба», 1980).

მოხსენებით გამოვიდა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ზ. კაკაბაძის წიგნი მოვლენაა საბჭოურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, თქვა მან. ამის საწინდარია ავტორის ფართო ერუდიცია, ღრმა აზრის ნათლად გადმოცემის უნარი, წამოჭრილ პრობლემათა აქტუალობა. ზ. კაკაბაძის წიგნები მუდამ ყურადღების ცენტრში ექცევა, მაგრამ დიდ დავასაც იწვევს.

ავტორი აკრიტიკებს თანამედროვე ბურჟუაზიული დასავლეთის ცხოვრების წესს, აანალიზებს მის ასახვასა და გამოვლენას დასავლურ ხელოვნებაში. ამასთან ბევრი რამ მისი ნათქვამიდან ჩვენთვის, ჩვენი საზოგადოებისათვისაც გაფრთხილებად ჟღერს. ამ მხრივ ავტორი საყვედურსაც იმსახურებს: ის ყოველთვის მკვეთრად არ განასხვავებს ერთმანეთისაგან დასავლური საზოგადოების კრიზისის სპეციფიკურ გამოვლინებასა და გლობალურ საკაცობრიო პრობლემებს, რაც სიძნელეებს უქმნის მოუმზადებელ მკითხველს.

წიგნი სცდება წმინდად ესთეტიკური პრობლემატიკის საზღვრებს; ეს უფრო ხელოვნების ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფიაა. მაგრამ ესთეტიკაშიც იგი ჩვენი ლიტერატურისათვის პრინციპულად ახალ — ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ მიდგომას გვთავაზობს. ეს გახლავთ ესთეტიკის პრობლემათა კვლევა ადამიანის ფილოსოფიის თვალსაზრისით. ამგვარი მიდგომის აუცილებლობას ბევრი საბჭოთა ესთეტიკოსი გრძნობს, მაგრამ თანმიმდევრულად ის პირველადაა გატარებული. სავარაუდოა, რომ ამ გზით მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მრავალი, ჯერაც საკამათო, პრობლემის გადაჭრას შევძლებთ.

რა თქმა უნდა, წიგნში სადავო დებულებებიც გვხვდება, რაც როგორც ვთქვით, მის ღირსებათა გაგრძელებაა. პირველ თავში ავტორი ამტკიცებს, რომ ხელოვნების ნაწარმოები არანაირად არ არის ჩართული რეალური სინამდვილის სტრუქტურაში, რომ მისი ე. წ. რეალური „წინა პლანი" სულაც არ შეადგენს მის ნამდვილ კომპონენტს. მაგრამ მაშინ რა ვუყოთ საზოგადოდ ესთეტიკურის სპეციფიკას? ის ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იდეალური ღირებულება კონკრეტულ, რეალურ განხორციელებას ჰპოვებს?

ავტორი საგანგებოდ ხაზავს ადამიანის ისტორიულობას, რაც, რა თქმა უნდა, არავითარ პრეტენზიებს არ იწვევს. მაგრამ, ლაპარაკობს რა იდეალების, უმაღლესი ღირებულებების შეცვლაზე სხვადასხვა ეპოქებში, ის მეტისმეტად წამოსწევს წინ ამ ცვალებადობის მომენტს და ამით ჩრდილში აქცევს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადამიანური ისტორიის უწყვეტობას, მემკვიდრეობითობას. მემკვიდრეობითობის გარეშე კი ისტორია შეუძლებელია. ამასთან, ავტორი შუა საუკუნეებიდან უშუალოდ ახალ დროზე გადადის. იქნებ, მას რომ რენესანსული იდეალის კვლევისთვისაც მიექცია გარკვეული ყურადღება, ეს შენიშვნაც ზედმეტი აღმოჩენილიყო?

წიგნის პათოსი ტექნიკური ცივილიზაციის, ადამიანის ცხოვრებზე ტექნიკის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ — ისევ იმის გამო, რომ წიგნს სხვადასხვა დონის მკითხველები ეყოლება — უკეთესი იყო ავტორს საკითხი სოციალურ პლანშიც გაერჩია.

ო. ჯიოევმა წიგნის ღირსება უპირველეს ყოვლისა ფილოსოფიის იმ გაგებაში დაინახა, რაც მას საფუძვლად ედება. აქ იგულისხმება უზოგადესი ფილოსოფიური პრობლემების დაკავშირება ადამიანის ცხოვრების საკითხებთან. ზ. კაკაბაძისათვის დამახასიათებელია ინტერესი კონკრეტულ-ადამიანური ყოფიერებისადმი, ამასთან, ადამიანის ცხოვრების კონკრეტული მოვლენები ყოფიერების ფუნდამენტურ ტენდენციებთან მიმართებაში გაიგება. ამგვარი ფილოსოფიური პოზიციითაა განპირობებული, რომ ზ. კაკაბაძის წიგნები ყოველთვის აქტუალურია და ავტორს არ სჭირდება მათი ხელოვნური „გააქტუალურება“. დავუშვათ, მეცნიერების უახლეს მიღწევათა მოხმობით. ამასთან ზ. კაკაბაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანური ცხოვრების იმ ტენდენციებს, რაც არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფით შედეგებს. იგი მათზე მძაფრი და განზოგადებული ფორმით წერს, რათა მკითხველმა გაიაზროს მისი შეშფოთება და გაიზიაროს საფრთხე, რომელზეც ლაპარაკია წიგნში.

ზ. კაკაბაძის წიგნი იმითაცაა ღირებული, რომ საპაექროდ გიწვევს. განსაკუთრებით საინტერესოა სიცოცხლის საზრისის საკითხის მისეული გადაწყვეტა (აქვე დავსძენ — ზ. კაკაბაძის წიგნი ერთ-ერთი იშვიათ თხზულებათაგანია, სადაც ეს საკითხი განიხილება). ავტორი სიცოცხლის საზრისს უკავშირებს ადამიანის სწრაფვას დაძლიოს თავისი სასრული ყოფიერება და ეზიაროს უსასრულოს, მარადიულს. ადამიანის სხვა მისწრაფებებს, კერძოდ, შემოქმედებისა და ურთიერთობის მოთხოვნილებას, იგი უსასრულობისადმი ამ „პირველადი“ სწრაფვის გამოვლენად თვლის. ამასთან, საბოლოო კრიტერიუმი, რითაც ფასდება საკუთარი სასრულობის დაძლევისადმი ადამიანური სწრაფვის ღირებულება, ავტორის აზრით, ამ სწრაფვის ყოფიერების ფუნდამენტურ ტენდენციასთან შესაბამისობაა. მაგრამ ზ. კაკაბაძე გულისხმობს ადამიანის სწრაფვას უფრო სრულყოფილი ყოფიერებისადმი, ეს კი, არსებითად, ღირებულებითი მახასიათებელია. მაინც რაშია ამგვარი ღირებულების უპირატესობა შემოქმედებისა და ურთიერთობის ღირებულებებთან შედარებით? უფრო ლოგიკური ხომ არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ადამიანი ღირებულებას ანიჭებს შემოქმედებასა და ურთიერთობას თავისთავად, ამ ღირებულებასთან ზიარებით კი იმავდროულად „მარადისობასაც“ ეზიარება?

ამასვე უკავშირდება მეორე საკითხიც. ღირებულებითი რელატივიზმი ზ. კაკაბაძეს სამყაროს მეცნიერულ-ტექნიკური ხედვიდან, ყოველივეს კაუზალურად ახსნის პრეტენზიიდან გამოჰყავს. ალბათ, საჭირო იყო დამატება, რომ ღირებულებათა გარელატიურება მაშინ ხდება, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური მიდგომა ერთადერთი აღმოჩნდება, როდესაც უგულებელიყოფა სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულების თავისებურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოსტოევსკის რომანთა პოლიფონიურობის შესახებ მ. ბახტინის შეხედულებათა განხილვისას ავტორი თვლის, რომ პოლიფონიზმი, ბახტინის მიხედვით, მხოლოდ რომანის აგების ხერხია და არა თვით მწერლის მსოფლმხედველობის მახასიათებელი. სინამდვილეში მ. ბახტინი, ადარებს რა მწერლის მხატვრული შემოქმედების პოლიფონიურობას და მისივე პუბლიცისტიკის მონოლოგიურობას, არ ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი უფრო ადექვატურად ასახავს დოსტოევსკის მსოფლმხედველობას.

ვ. გოგუაძე მიესალმა წიგნის გამოსვლას, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენს ფილოსოფიურ ცხოვრებაში. ავტორმა შეძლო ახლებურად, არასტანდარტულად დაესვა ესთეტიკური მეცნიერების მრავალი ძველი საკითხი. კერძოდ, ხელოვნებისა და ფილოსოფიის ურთიერთობის განხილვისას მან დაძლია იმ შეხედულების ინერცია, რომლის თანახმადაც მათ შორის განსხვავება იმაზე დაიყვანება, რომ ხელოვნება სახეებით აზროვნებს, ფილოსოფია კი — ცნებებით. ერთადერთი, რაც შეიძლება უსაყვედურო წიგნის ავტორს, ისაა, რომ იგი XX საუკუნის ხელოვნების ანალიზით იზღუდება. თუმცა საინტერესო იქნებოდა გაგვეგო მისი აზრი ხელოვნების განვითარების მთელი პროცესის შესახებ.

წიგნის დადებითი შეფასება ვ. გოგობერიშვილმაც გაიზიარა. ავტორი სწორად სვამს ადამიანისა და ბუნების მიმართების საკითხს, მაგრამ როდესაც ღირებულებით-ეთიკური პოზიციიდან ვაკრიტიკებთ „ბუნების წინააღმდეგ აჯანყების“ უარყოფით შედეგებს, ისიც უნდა გავხაზოთ, რომ ადამიანის ისტორიის რაღაც ეტაპზე ასეთი „ჯანყი“ აუცილებელი იყო, რომ უამისოდ ადამიანი ვერ მოიპოვებდა მისთვის ყველაზე ძვირფასს — თავისუფლებას. ვ. გოგობერიშვილმა განიხილა ცალმხრივი ტენდენციები ბუნებისადმი დამოკიდებულებაში — უტილიტარიზმი, პრაგმატიზმი, ნატურალიზმი — და მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა ეპოქაში ბუნებისადმი მხოლოდ ხელოვანის დამოკიდებულება არ ექვემდებარება კრიტიკას. მაშ, მართებული ხომ არ იქნება ის ეტალონად გამოვაცხადოთ?

მ. გავაშელმა ხაზი გაუსვა წიგნში წამოჭრილი პრობლემების აქტუალობას და ისევ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის საკითხზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, მან პარალელი გაავლო წიგნში გამოთქმულ აზრებსა და ვ. რასპუტინის მოთხრობას „მატიორასთან დამშვიდობებას“ შორის.

თ. კუკავამ აღნიშნა ავტორის ერუდიცია, წიგნის ინფორმატიული სიმდიდრე, აქტუალობა, კარგი სტილი, მაგრამ უარყო წიგნის სიახლე და ორიგინალურობა, ზოგიერთი მისი დებულება მიუღებლად ჩათვალა. სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მართლაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ ამის გამო ზურგი არ უნდა შევაქციოთ მთლიანად სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას. ყოველ თავის უარყოფით გამოვლენას სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია თავადვე შველის. მთავარი თვით ტექნიკა კი არ არის, არამედ მისი გონივრული ან არაგონივრული გამოყენება. თ. კუკავა ზ. კაკაბაძეს არც იმაში დაეთანხმა, რომ ხელოვნების ამოცანაა ყოფიერების სიღრმისეული შრეების წარმოჩენა. ავტორს მხედველობიდან რჩება გამოხატვის მომენტი და ამით ესთეტიკურის სფეროც იზღუდება.

ხელოვნებასთან დაკავშირებული პრობლემები ზ. კაკაბაძის ნაშრომში ონტოლოგიასთან მჭიდრო კავშირში განიხილება, თქვა თ. ბუაჩიძემ. ეს უეჭველად წიგნის ავტორის დიდი დამსახურებაა. მხოლოდ ონტოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიზი იძლევა ესთეტიკის საგნის არსებობის წესის დახასიათებას (და არა მხოლოდ ესთეტიკის საგნის არსებობის წესისა), ამიტომ წინასწარი ონტოლოგიური კვლევის გარეშე ესთეტიკა ვერ აშენდება (იგივე შეიძლება ითქვას ფილოსოფიის სხვა დისციპლინაზეც). არსებითი ნაკლი ჩვენში შესრულებული ბევრი ესთეტიკური ნაშრომისა სწორედ ისაა, რომ მათ აკლიათ ესთეტიკური სფეროს ონტოლოგიური ხედვა. ამგვარი ონტოლოგიური სიბეცე აუცილებლობით ბადებს ისეთ გავრცელებულ შეცდომებს როგორიცაა: ბიოლოგიზმი, ფსიქოლოგიზმი და ა. შ., წარმოშობს გაუგებრობებს და, რაც მთავარია — ესთეტიკურ ე. ი. ფილოსოფიურ განხილვას არაფილოსოფიური მსჯელობით ცვლის.

მკვიდრი ონტოლოგიური საძირკველი ზ. კაკაბაძის გამოკვლევას საშურ სიღრმესა და სინათლეს ანიჭებს. ყოველი საკითხი — ერთი შეხედვით სავსებით არაფილოსოფიურიც კი, მაგალითად, საკითხი მოდების შესახებ, — ავტორის მიერ უღრმეს ფილოსოფიურ ძირებამდეა მიყვანილი. განსაკუთრებით მწვავედ და საინტერესოდაა დაყენებული წიგნში პრობლემა ადამიანისა და ტექნიკის მიმართებისა. აქაც წინა პლანზეა კვლავ ღრმა ფილოსოფიური საკითხი — ადამიანის ჭეშმარიტი არსებობის წესის მიმართება თანამედროვე ტექნიკის განვითარების შედეგებთან, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით გაპირობებულ ცხოვრების წესთან. ბრმა და გულუბრყვილოა ის ადამიანი, რომელიც ვერ ხედავს ტექნიკის განვითარების უარყოფით შედეგებს — როგორც საზღვარგარეთ, ისევე ჩვენშიც. ზ. კაკაბაძეს ეკუთვნის წერილი, რომელშიც ის ცდილობს აჩვენოს, რომ ფილოსოფიას ძირეული კავშირი აქვს ადამიანურ ცხოვრებასთან. ჩვენს ავტორს შეეძლო არ დაეწერა ეს წერილი: მისი წიგნი ამ თეზისის შესანიშნავი დასაბუთებაა.

დასასრულ ზ. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ უპასუხა მისი წიგნის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს. რა თქმა უნდა, ნ. ჭავჭავაძე მართალია, როცა ამბობს, რომ ესთეტიკურის არსი იდეური შინაარსის კონკრეტული ხორცშესხმაა. მაგრამ წიგნში იმაზეა ლაპარაკი, რომ თვით ეს ხორცშესხმა წარმოსახვითის, ირეალურის სფეროს განეკუთვნება. მხატვრული ნაწარმოების აღქმა ნიშნავს რაიმეს, როგორც „სურათის“, ესე იგი როგორც რეალური სამყაროსაგან განზე მდგომის აღქმას.

ადამიანური ყოფნის ისტორიულობის საკითხთან დაკავშირებით ზ. კაკაბაძემ აღნიშნა: ადამიანის ისტორიულობა ჩვეულებრივ დაჰყავდათ ერთი და იმავე მიმართულებით, ესე იგი ერთადერთი, კონკრეტული, მარადმნიშვნელოდი იდეალისაკენ მოძრაობაზე. მაგრამ ეს სწორი არ არის, სხვადასხვა ეპოქებისათვის სწორედ სხვადასხვა იდეალებია ნიშნეული. არ არსებობს მარადიული კონკრეტული იდეალები და ცხოვრების შესაბამისი მიმართულებები, ნამდვილი ისტორიულობა სწორედ მათი შეცვლაა. შესაძლოა, ამ მომენტის გახაზვის სურვილმა გამოიწვია გარკვეული „გადახრა“ ცვალებადობისა და „წყვეტადობის“ მიმართულებით. მეორეს მხრივ, ავტორს მიზნად არ დაუსახავს მოეცა კულტურის ისტორიული განვითარების მეტ-ნაკლებად სრული მონახაზი. შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფუნდამენტურ იდეალთა ანალიზი საჭირო გახდა მხოლოდ გარკვეული ზოგადი თეზისის საილუსტრაციოდ — ამიტომ ავტორის წინაშე არ იდგა რენესანსული იდეალის დახასიათების აუცილებლობა.

ღირებულებისა და ყოფიერების მიმართების თაობაზე ზ. კაკაბაძემ თქვა: ღირებულებაზე ლაპარაკისას ჩვენ, საბოლოო ჯამში, ყოფიერება გვაქვს მხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველობაში. დადებითი ღირებულება ყოფნაა, უარყოფითი — არყოფნა. შესაბამისად, უფრო სრულ ყოფნას მეტი ღირებულება გააჩნია, ნაკლებად სრულს — ნაკლები. ასე რომ, ყოფნის სისრულე, თუმცა თავისთავად ღირებულებითი დახასიათება არ არის, ღირებულებათა საზომის სახეს იღებს. ხოლო თუ ეს ასეა, ალბათ იმასაც უნდა დავეთანხმოთ, რომ უმაღლესი ღირებულება სწორედ მარადისობაა.

რაც შეეხება პოლიფონიზმის პრობლემას დოსტოევსკის რომანებსა და მსოფლმხედველობაში, აქ კრიტიკა იმდენად თვით მ. ბახტინს არ შეეხება, რამდენადაც მის ეპიგონებს. მაგრამ ბახტინთანაც ვხვდებით გამონათქვამებს, რომლებიც გვაძლევენ იმგვარი გაგების საშუალებას, თითქოს პოლიფონიზმი მხოლოდ დოსტოევსკის მხატვრულ მეთოდს ახასიათებს და არა მის მსოფლმხედველობას.

ბევრი შენიშვნა გამოითქვა ავტორის მიმართ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მავნე მხარეებისა და ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პრობლემები სოციალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მაგრამ ტექნიკის განვითარებას ახასიათებს ზოგიერთი ზოგადი კანონზომიერება და შედეგი, რომელიც ადამიანის ნება-სურვილზე აღარ არის დამოკიდებული და ამიტომ ბადებს გლობალურ, საერთო-საკაცობრიო პრობლემებს, რომელთა უგულებელყოფაც დაუშვებელია. მეორე მხრივ, გაუმართლებელია ტექნიკისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულება და იმის იმედით ყოფნა, რომ ტექნიკა თვითონვე უშველის ყველა მის მიერ მოტანილ უბედურებას; თვით ამ „შველას" შეიძლება ახალი მავნე შედეგი მოჰყვეს. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ ტექნიკაზე საერთოდ უნდა ვთქვათ უარი. ადამიანს პრინციპულად არ შეუძლია ტექნიკის გარეშე არსებობა; მაგრამ მის განვითარებას აქვს გარკვეული ზღვარი, რომლის იქითაც ტექნიკა თვით ადამიანის წინააღმდეგ შემობრუნდება. მრავალი ინდუსტრიის მიერ შექმნილი საგანი ემსახურება არა ადამიანის ნამდვილ, არსებით მოთხოვნილებებს, არამედ მოჩვენებით მოთხოვნილებებს, რომელთაც ისევ ინდუსტრია ბადებს რეკლამის მეშვეობით. ამიტომ „ტექნიკისადმი გონივრული დამოკიდებულება", რომელზეც ხშირად ლაპარაკობენ, ხანდახან უნდა ნიშნავდეს ზოგიერთი მიმართულებით ტექნიკური პროგრესის შეკავებას.

ბუნების წინააღმდეგ ჯანყი, ბუნებისადმი დამონებისაგან ადამიანის განთავისუფლების იდეალი მართლაც აუცილებელი იყო და დადებითი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს იდეალის შეზღუდულობასთან, ზღვართან, რომლის იქითაც ის უარყოფით მნიშვნელობას იძენს. რაც შეეხება ბუნებისადმი ხელოვანის დამოკიდებულებას, ლაპარაკი ხომ სწორედ იმაზეა, რომ ხელოვნება არ უნდა იყოს ერთადერთი, განსაკუთრებული სფერო, სადაც ადამიანი „ბუნების სიყვარულს" ავლენს; არ შეიძლება ვუმღეროთ ბუნებას მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ სუფთა სინდისით მივდგეთ მას და დავანგრიოთ.

განხილვის შედეგები შეაჯამა ესთეტიკის სექციის თავმჯდომარემ **ვ. ჭელიძემ.** ყველა თანახმაა იმაში, თქვა მან, რომ ზ. კაკაბაძის წიგნი მეტად საინტერესო და აქტუალურია; მას ინტერესით კითხულობენ როგორც სპეციალისტები, ისე ფართო მკითხველი საზოგადოება. ისღა დაგვრჩენია, ავტორს შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ.

**გია ნოდია**

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია

## საიუბილეო სესია

მიმდინარე წლის 9 თებერვალს ჩატარდა საიუბილეო სესია, რომელიც ს. წერეთლის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ა. ფრანგიშვილმა. სესიაზე წაკითხული მოხსენებები მიეძღვნა ს. წერეთლის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ზოგიერთ ძირითად ასპექტს. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ დაახასიათა ს. წერეთლის ღვაწლი ქართული ფილოსოფიის ისტორიაში. მან აღნიშნა, რომ ს. წერეთლის განსაკუთრებული ადგილი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება იმ პრობლემატიკის მნიშვნელობით, რომელსაც იგი იკვლევდა. ს. წერეთლის კვლევა-ძიების მთავარი სფერო დიალექტიკური ლოგიკა იყო. ეს სფერო კი მას გაგებული ჰქონდა როგორც არსის, აზრისა და მათი მიმართების შემსწავლელ ფილოსოფიურ დისციპლინათა საფუძვლად მდებარე დისციპლინა, ე. ი. როგორც მოძღვრება მარქსისტული ფილოსოფიის უღრმეს ძირებზე, პირველსაფუძველზე, როგორც „პირველი ფილოსოფია“. ფილოსოფიის ყოველი სხვა დარგის მართებული განვითარება, მისი პრობლემატიკის სწორი კვლევა კი აუცილებლობით მოითხოვს აი ამ პირველ საფუძველზე მყარ და მტკიცე დგომას.

ს. წერეთლის ადგილი ქართული ფილოსოფიის განვითარებაში, მისი მნიშვნელობა ამ ფილოსოფიის დღევანდელი ეტაპისათვის იმითაც არის განპირობებული, რომ ს. წერეთელმა, ყველაზე ახალგაზრდამ ახალი ქართული ფილოსოფიური სკოლის მთავარ წარმომადგენლებს შორის, ერთგვარად დაასრულა ეტაპი, რომელსაც შ. ნუცუბიძემ, დ. უზნაძემ და ს. დანელიამ მისცეს დასაბამი და უშუალო გავლენა მოახდინა ახალი თაობის ფილოსოფოსთა ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ახალი თაობის ყურადღების ცენტრში ახალი პრობლემატიკა მოექცა — ადამიანი, კულტურა, ღირებულებები. ეს მეცნიერების განვითარების ლოგიკამაც მოიტანა და ცხოვრების, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების საჭიროებამაც. ამ პრობლემატიკის მართებული დამუშავებისათვისაც ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ და ვემყარებით კიდევაც იმას, რაც კერძოდ სავლე წერეთელმა გააკეთა ფილოსოფიაში. და თუმცა სავლე წერეთელს ამ პრობლემებზე არ უმუშავია, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ იყო უმაღლესი შინაგანი კულტურის, მაღალი ადამიანური ღირებულებების პატივისმცემელი და მატარებელი სანიმუშო ადამიანი, რომლის სახეცა და საქმეც ყოველთვის გონების თვალწინ გვიდგას და დღესაც გვეხმარება ჩვენს საქმიანობაში.

**ს. ავალიანმა** თავის მოხსენებაში გააშუქა ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის ევოლუცია.

ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის, სახელდობრ მისი უსასრულო დასკვნის თეორიის ევოლუცია, აღნიშნა მან, იწყება 1934 წლიდან, როდესაც ს. წერეთელი მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე, რომლის თემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში“. უსასრულო
დასკვნის ცნება ს. წერეთელმა პირველად ჩამოაყალიბა მოხსენებაში „დასკვნის
პრობლემისათვის“, ფილოსოფიის ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო სესიაზე
(1947), სადაც მან მოგვცა უსასრულო დასკვნის ცნების განსაზღვრება და ამ
ცნების საფუძველზე შეიმუშავა ორგინალური დიალექტიკურ-ლოგიკური კონ-
ცეფცია უსასრულო დასკვნის თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიის პირველი
ვარიანტი გადმოცემულია ს. წერეთლის მონოგრაფიებში: „ლოგიკურის მარ-
ქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ (1952) და „ლოგიკური კავშირის დიალექ-
ტიკური ბუნების შესახებ“ (1956). მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის ჩა-
მოყალიბებამ მოითხოვა ჰეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკული დაძლევა, ამ
მიზანს ისახავდა ს. წერეთელი თავის წიგნში „რაციონალური მარცვალი ჰეგე-
ლის დასკვნის თეორიაში“ (1959). მონოგრაფიაში „დასაბუთების საწყისი“
(1963) ს. წერეთელმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ უსასრულო დასკვნის
თეორიის დამუშავების მიმართულებით: აქ მან დაამტკიცა, რომ უსასრულო
დასკვნა ლოგიკური დასაბუთების უზოგადეს საწყისს წარმოადგენს. უკანასკნელ
მონოგრაფიაში „დიალექტიკური ლოგიკა“ (1965) ს. წერეთელმა ჩამოაყალიბა
დიალექტიკური ლოგიკის კანონები და კატეგორიები (ე. წ. „ლოგიკურის კატე-
გორიები“), აჩვენა აზრის ლოგიკური ფორმების დიალექტიკური ბუნება და
მოგვცა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის ცნობი-
ლი პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური ცდა. ამ წიგნში დასრულებუ-
ლი სახით წარმოდგენილია ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფ-
ცია — მისი უსასრულო დასკვნის თეორია.

**მ. ბაკურიამ** თავის მოხსენებაში გააშუქა ს. წერეთლის თვალსაზრისი დია-
ლექტიკური ლოგიკის საგნის შესახებ.

ს. წერეთელს, აღნიშნა მან, დიალექტიკური ლოგიკა ესმოდა როგორც
მეცნიერება ლოგიკურის ანუ აზრის მოძრაობა-განვითარების ობიექტური, აუ-
ცილებელი და საყოველთაო ლოგიკური ფორმების შესახებ.

ლოგიკური, ს. წერეთლის მიხედვით, არის სინთეზური, რომელიც თავის
მომენტად შეიცავს ანალიზურობას, რადგან წმინდა ანალიზურ-ლოგიკური
შეუძლებელია. სინთეზურ-ლოგიკური კი შინაგანი შეფარდებითი უარყოფის
შემცველია. შეფარდებითი უარყოფა აერთიანებს უარსაყოფელსა და უარმყო-
ფელს, მათი ერთიანობა კი საწინააღმდეგოთა ერთიანობაა, სადაც ზოგადის
როლს შეასრულებს განსხვავებულთა ერთიანობა. ეს ერთიანობა არის უზო-
გადესი, კატეგორიალური ანუ შინაარსეული ზოგადობა, რომელიც წარმოად-
გენს გასაერთიანებელთა ერთიანობის წესს, როგორობას. რადგან ასეთი ზო-
გადობა კატეგორიალურ-ლოგიკურია, ამიტომ დიალექტიკური ლოგიკა არის
კატეგორიების ლოგიკა, კერძოდ, ლოგიკურის კატეგორიების ლოგიკა; დია-
ლექტიკური ლოგიკა შეისწავლის ყველა იმ ლოგიკურ კავშირ-ურთიერთობებს,
რომელნიც ლოგიკურის კატეგორიათა ლოგიკურ კავშირებს ექვემდებარება და
მისით განპირობებულია. ლოგიკურის კატეგორიათა ბუნების წერეთლისეული
დახასიათებიდან გამომდინარეობს მათი რეფლექსურობა, რომელიც განსა-
ზღვრავს საერთოდ ლოგიკურის რეფლექსურ ხასიათს. ლოგიკურის რეფლექ-
სურობიდან კი, ს. წერეთლის აზრით, გამომდინარეობს მათი ორმნიშვნელო-
ბა. კატეგორიალურ ლოგიკურში, როგორც სინთეზურ-ლოგიკურში, განხორ-
ციელებული უარყოფა არა მხოლოდ უარყოფითია, არამედ დადებითიც არის;
ორმნიშვნელობაა სწორედ სხვისი უარყოფით რაიმეს დადგენა. ორმნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, აღებული საპირისპიროთა აუცილებლობის აზრით, არის უარყოფითი დიალექტიკა, მაგრამ უარყოფითი დიალექტიკა დიალექტიკის მხოლოდ მომენტია, რომელიც მოითხოვს გამართლებას. მაგ., ს. წერეთლის აზრით, დადებითი დიალექტიკა ამართლებს. ასეთ გამმართლებელ ლოგიკურს, მისი აზრით, წარმოადგენს უსასრულო ლოგიკური. უსასრულო-ლოგიკური, წერეთლის აზრით, განსხვავებით სასრულ-ლოგიკურისაგან, არის უპირობო ლოგიკური. სასრულ-ლოგიკური არის ისეთი რამ, რომელიც მტკიცდება და უარიყოფა სხვით. უსასრულო-ლოგიკური კი არის თვითდაფუძნებითი ხასიათის. იგი გამომდინარეობს ლოგიკურის რეფლექსური ხასიათიდან. თუ რაიმე მტკიცდება საკუთარი უარყოფით, მაშინ იგი უსასრულო ლოგიკური იქნება. ამ ვითარების ლოგიკური დასკვნის სახით გაფორმება მოგვცემს უსასრულო დასკვნას. ასეთი ლოგიკურის ძირითადი კანონი იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობის ანუ თვითსაფუძვლის კანონი, ხოლო აზრის ფორმათა ურთიერთკავშირი არის დიალექტიკურის განხორციელება. აზრის ყოველი ფორმა არის სრული ლოგიკური ფორმის ცალმხრივობა; იგი თავის გამართლებას პოულობს უსასრულო ლოგიკურში — უსასრულო დასკვნაში. ამ გზით ვღებულობთ ლოგიკურ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს აზრის ფორმათა ლოგიკურ გადასვლებს. ამ ლოგიკური განვითარების დასაწყისს წარმოადგენს, ს. წერეთლის აზრით, მსჯელობა, ხოლო სრულ ლოგიკურ გაშუალებას, დასკვნის უმაღლეს ფორმას, რომელიც ამავე დროს ლოგიკური დასაბუთების საწყისიცაა, — უსასრულო დასკვნა.

**კ. სანაიას** მოხსენება მიეძღვნა ს. წერეთლის შეხედულებებს მსჯელობის შესახებ.

მსჯელობას ს. წერეთელი განიხილავდა აზროვნების დიალექტიკური ბუნების ანალიზის საფუძველზე.

ს. წერეთელს მსჯელობა მიაჩნდა განსაზღვრული, სასრული და სინთეზური ბუნების ლოგიკურ მოვლენად, ამიტომ მსჯელობის არსის დასადგენად მას აუცილებლად მიაჩნდა განსაზღვრულობის, სასრულობის და სინთეზურობის კატეგორიების ანალიზი. განსაზღვრულობის ბუნებიდან გამოდის, რომ მის სრულ აზრობრივ გამოთქმას ესაჭიროება დადებითი და უარყოფითი მსჯელობები, რამდენადაც განსაზღვრულობას დადებითი და უარყოფითი მომენტები ახასიათებს. ამიტომ განსაზღვრულობის გამოთქმა არ შეიძლება მხოლოდ დადებითი ან მხოლოდ უარყოფითი მსჯელობით. საჭიროა ორივე სახის მსჯელობა. განსაზღვრულობა არის სინთეზური ბუნებისა და იგი შეიცავს შინაგან უარყოფას, ხოლო თუ განსაზღვრულობაში არის უარყოფა, მაშინ მისთვის აუცილებელი იქნება წინააღმდეგობაც, რადგან უარყოფა წინააღმდეგობის არსებაა.

ამდენად, ს. წერეთლის თანახმად, მსჯელობათა დაყოფა ორ სახედ, — დადებით და უარყოფით მსჯელობებად, — ემყარება მსჯელობის შინაგან დიალექტიკურ ბუნებას; მას განსაზღვრავს სასრულობის, განსაზღვრულობის და სინთეზურობის კატეგორიები.

სავლე წერეთელი აქ ემიჯნება ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას, რომელიც არ განიხილავს დადებითი და უარყოფითი მსჯელობების ურთიერთკავშირის კატეგორიულ საფუძვლებს.

საყურადღებოა, აგრეთვე ს. წერეთლის შეხედულება მსჯელობის ობიექტურობის შესახებ. ს. წერეთლის მიხედვით, საგნისგან განსხვავებით, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობა აბსოლუტურად დამოუკიდებელია აზრისაგან და ამიტომ საგნის უარყოფა არ ადგენს ამ საგანს, მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა; ამდენად, მსჯელობა მისივე უარყოფით დგინდება. ამაში მდგომარეობს ლოგიკურის ობიექტურობა. წერეთლის აზრით, აქ გვაქვს უსრულესი ლოგიკური აუცილებლობა.

**მ. ჭელიძემ** დაახასიათა ანტიკური ფილოსოფიის უახლესი ფილოსოფიურ-ისტორიული ინტერპრეტაციები და მათ შუქზე შეაფასა სავლე წერეთლის „ანტიკური ფილოსოფია“ (1968). ეს ნაშრომი იმის ნიმუშია, თუ როგორ არის შესაძლებელი ფილოსოფიის ისტორიის მიმართ მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპების, დიალექტიკურ-ლოგიკურის მეთოდის, როგორც ფილოსოფიის ისტორიის სისტემური გადმოცემის მეთოდის გამოყენება. ეს მეთოდი თავიდან აგვაცდენს უკიდურესობათა აბსოლუტიზაციას, კერძოდ, რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის ცალმხრივობებს, რაც სწორედ ანტიკური ფილოსოფიის თანამედროვე დასავლური თვალსაზრისებისათვის არის დამახასიათებელი, და მთლიანობაში წარმოგვიდგენს ფილოსოფიურ-ისტორიული მასალის მრავალმხრივობას, თავისი არსებით ფილოსოფიური აზრის განვითარების ორგანულ მთლიანობას რომ ქმნის და რომელშიც დიალექტიკა მუშაობს როგორც აზრის განვითარების ობიექტური, საყოველთაო და აუცილებელი კანონზომიერება.

ფილოსოფიის ისტორიისათვის რეტროსპექცია ერთ-ერთი თავისებურებაა, რადგან იგი არის რეფლექსია აზრის განვლილ ისტორიაზე; მაგრამ მას როგორც მეცნიერებას წინა აქვს პერსპექტიული განვითარების დიდი გზა. სწორედ ამ გზაზე დგას სავლე წერეთელი როგორც ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი.

საიუბილეო სესიაზე მოგონებებით გამოვიდნენ ვ. კობახიძე, თ. ნანობაშვილი, გენო ცინცაძე.

## ლევან გოკიელის დაბადების 80-ე წლისთავი

სამეცნიერო საზოგადოებამ აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ლევან გოკიელის დაბადების 80-ე წლისთავი. 1981 წლის 3 დეკემბერს მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების და ფილოსოფიის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკისა და ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტების და საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1. ლ. გოკიელის ცხოვრება და მოღვაწეობა (პ. კოლონია), 2. ლ. გოკიელი როგორც მათემატიკოსი და ლოგიკოსი (მ. ჭიჭინაძე), 3. ლ. გოკიელის ძირეული დასკვნების თეორიის შესახებ (კ. სანაია), დეკარტეს cogito-ს პრინციპის ლოგიკური ასპექტი (მ. ჭელიძე). მოგონებებით გამოვიდნენ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ვ. კუპრაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ-ი ნ. ჭავჭავაძე, პროფესორები ლ. მაღნარაძე და ფ. ხარშილაძე.

**მ. ჭიჭინაძემ** აჩვენა ორგანული კავშირი მათემატიკის ლ. გოკიელისეულ დაფუძნებასა და მის ლოგიკურ მოძღვრებას შორის. უსასრულობაში ლოგიკური რეგრესის მეთოდი, რომლის შეშვეობითაც ლ. გოკიელი წყვეტდა სიმრავლის თეორიის სიძნელეებს, შემდგომში საფუძვლად დაედო მის მოძღვრებას ეგრეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებულ ძირეული დასკვნის — დიალექტიკური დასკვნის გარკვეული სახის შესახებ.

თავის მხრივ, მათემატიკის დაფუძნების ტალღაზე წარმოშობილი ეს თეორია შემდგომში თვით გადაიქცა ლევან გოკიელის მიერ მათემატიკის დაფუძნების საკუთარი თეორიის შექმნის, კერძოდ, პარადოქსების ამოხსნის ლოგიკურ საფუძვლად. ლ. გოკიელმა ნათელყო, რომ სიმრავლეთა თეორიის ეგრეთ წოდებული პარადოქსები ნამდვილად ლოგიკური წინააღმდეგობები კი არა, არამედ ძირითადად უსასრულობაში ლოგიკური რეგრესიის შეცდომაა.

**კ. ხანაიამ** დაახასიათა ძირეული დასკვნის ადგილი, ლევან გოკიელის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში. ლ. გოკიელის მიხედვით, ძირეულია ისეთი დასკვნა, სადაც რაიმე დებულების შინაარსი და ამ შინაარსისათვის საფუძვლების დაძებნა ძირითად მომენტად შეიცავს იმ სიტუაციის გათვალისწინებას, რასაც მისი უარყოფის თვით ფაქტი ქმნის. უარყოფითი მომენტი ორგანულად მონაწილეობს ერთიან ლოგიკურ პროცესში, სადაც იგი გარკვეულ დადებით როლს ასრულებს, რამდენადაც მოითხოვს მდგომარეობის მუდმივ შესწორებას, უარყოფის ნეგაციის უსასრულობას, რაც მოცემულ დებულებას ადასტურებს. ძირეულ დასკვნას ჩვეულებრივი დასკვნებისაგან განსხვავებით აქვს მთლიანი და არა დანაწევრებული ხასიათი. მაგრამ ეს არ ნიშნავს ძირეული დასკვნის უშუალო, ინტუიციურ ხასიათს. მისი გაშუალებული ხასიათი მჟღავნდება უარყოფითი მომენტის როლში, რაც გამოიხატება უსასრულობაში რეგრესული სვლით.

ძირეული დასკვნა როგორც დიალექტიკური დასკვნა გამოსახავს ლოგიკაში დაპირისპირებულთა დიალექტიკური ერთიანობის ძირითად ბირთვს და ამიტომ იგი არის დიალექტიკური ლოგიკის ობიექტი. მასში ხდება ძირეული ცნებების თვითდაფუძნება საკუთარ საფუძველზე ანუ „ძირზე“. ლევან გოკიელმა, ს. წერეთელთან ერთად, მიაკვლია და შეისწავლა დასკვნის ისეთი ფორმები, — უსასრულო დასკვნა და ძირეული დასკვნა, რომლებშიც აზროვნების დიალექტიკური ხასიათი მთელი სისრულით წარმოჩნდება და რომელთაც აქვთ როგორც საერთო, ისე განსხვავებული ნიშნები, რის გამო შეიძლება ისინი მივიჩნიოთ დიალექტიკური დასკვნის ორ სახეობად. ლევან გოკიელის ძირეული დასკვნის კონცეფცია დიალექტიკური ლოგიკის მნიშვნელოვანი შენაძენია. ძირეული დასკვნა მუდამ იქნება ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანი.

**მ. ქელიძემ** განიხილა დეკარტეს cogito-ს ცნობილი პრინციპის ლ. გოკიელისეული ინტერპრეტაცია. ლ. გოკიელის აზრით, cogito არასილოგისტური დასკვნის სპეციფიკური ფორმაა, მის არსებას ძირეულად დასკვნა წარმოადგენს. დასკვნის ფორმის მხრივ cogito-ს დებულება დაიყვანება მტკიცებაზე „ვეჭვობ, მაშასადამე ვარსებობ“, რომელშიც უმთავრესი ნეგაციის მომენტია, როგორც პოზიტიურის მოპოვების ლოგიკური წესი. ვეჭვობ და ამით ვადგენ ჩემს არსებობას როგორც ეჭვის შემტანი. ლ. გოკიელმა დიალექტიკურ-ლოგიკური დასკვნის მიერ აღმოჩენილი ფორმა, ძირეული დასკვნა, მიუყენა cogito-ს პრინციპს. იგი ფილოსოფიური აზროვნების ლოგიკური ბუნების კვლევით მივიდა ძირეული დასკვნის თეორიის დაფუძნებამდე, მანამდე აზროვნების დიალექტიკურ-ლოგიკურ ფორმებზე იკვლევდა ს. წერეთელი, რომელმაც დიალექტიკური ლოგიკის მთლიანი სისტემა ააგო. მათ მეტად საინტერესო მეცნიერული თანამშრომლობით შესძლეს დასკვნის დიალექტიკურ-ლოგიკურ ფორმათა განსხვავებული ნიუანსების დამუშავება და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიალექტიკური ლოგიკის განვითარების ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზურაბ კაკაბაძე



ქართულმა მეცნიერებამ და კულტურამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — წავიდა ჩვენგან ზურაბ კაკაბაძე, ფილოსოფოსთა ახალი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ჩვენი ფილოსოფიური აზროვნების დღევანდელ სახეს და უქმნიდა მას სახელს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ზურაბ მეთოდეს ძე კაკაბაძე დაიბადა 1926 წელს ცნობილი ქართველი პედაგოგის ოჯახში. აქ მიღებული განათლებისა და თვითმყოფადი ნიჭის წყალობით მან უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს გამოავლინა ერუდიციის სიფართოვე და დამოუკიდებელი, ღრმა და ვონებამახვილური აზროვნების უნარი და მიიქცია თავისი მასწავლებლების — ახალი ქართული ფილოსოფიური სკოლის მოთავეების — ყურადღება. გამოჩენილი ფილოსოფოსის კოტე ბაქრაძის ხელმძღვანელობით სწავლობდა ის ასპირანტურაში, რომელიც 1953 წელს დაამთავრა და ლოგიკურის პრობლემისადმი მიძღვნილი დისერტაცია დაიცვა იმავე წელს. ლოგიკურის პრობლემა მაშინ მწვავე კამათის საგანი იყო და ზ. კაკაბაძემ თავისი წვლილი შეიტანა მის ნათელყოფასა და მეცნიერულ გადაწყვეტაში. შემდეგში ის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა უნივერსიტეტში, ხოლო 1958 წელს მუშაობას იწყებს ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც 1968 წლიდან ხელმძღვანელობდა ესთეტიკის განყოფილებას. ამავე დროს მას უნივერსიტეტში მიჰყავს თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიის რთული კურსი. XX საუკუნის ფილოსოფიის საკვანძო პრობლემას მიეძღვნა სწორედ ზ. კაკაბაძის წიგნი „ეგზისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსრელის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“, რომელიც მან სადოქტორო დისერტაციად დაიცვა 1967 წელს. ამ წიგნმა მას ფართო აღიარება მოუპოვა არა მარტო ფილოსოფიის დარგის სპეციალისტებს შორის და ეს მისმა დიდმა ღირსებამ განაპირობა: ეს არ იყო ცალკეული თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ვიწრო სპეციალური საკითხის მაღალპროფესიული გამოკვლევა; უკვე მასში ზ. კაკაბაძემ მთელი სიმწვავით დასვა ადამიანისა და მისი ყოფიერების პრობლემა, რომელიც მთელი მისი შემოქმედების წამყვანი ძაფი ხდება. შემდგომში ერთმანეთს მოსდევს მისი წიგნები „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, „წერილები“, „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“, „ხელოვნების ფენომენი“, სტატიები სხვადასხვა კრებულებში, მეცნიერულ და ლიტერატურულ ჟურნალებში, რომლებშიც წარსული და თანამედროვე ფილოსოფიის, ხელოვნებისა და ცხოვრების საკითხების ღრმა გააზრების საფუძველზე ზ. კაკაბაძე ისევ და ისევ უბრუნდება ადამიანის ყოფიერებას, მის ძირითად ტენდენციებს, ცდილობს გამოავლინოს ყველა საფრთხე, რაც კი ადამიანურ ყოფიერებას ემუქრება, დასახოს მათი დაძლევის გზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კაკაბაძე ბრწყინვალედ წარმოადგენდა ქართულ ფილოსოფიურ კულტურას. მან ახალი ქართული ფილოსოფიის მოთავეებისაგან შეითვისა კვლევის ფუნდამენტურობა, ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ღრმა ცოდნა, გადმოცემის მკაცრი ლოგიკურობა და ლაკონიურობა, სიძულვილი მოჩვენებითპრობლემური მრავალსიტყვაობისადმი. მაგრამ ზ. კაკაბაძემ არა მარტო შეითვისა ქართული ფილოსოფიური აზროვნების საუკეთესო ტრადიციები, არამედ გაამდიდრა კიდეც ის ახალი ფერებით — ფილოსოფიისა და ცხოვრების კავშირის უფრო ნათელი წარმოდგენით, ლოგიკური და მხატვრული აზროვნების, თანამედროვე ფილოსოფიისა და ხელოვნებისათვის დამახასიათებელი გულწრფელობისა და გამოხატვის გროტესკული ხერხების მოხდენილი შეხამებით. ზ. კაკაბაძემ ფილოსოფია ცხოვრებისაგან განყენებული ყალბი სიმაღლეებიდან ჩამოიყვანა და ადამიანური ყოფიერების პრობლემებთან მისი ორგანული დაკავშირებით ცხადყო ფილოსოფიის ნამდვილი მნიშვნელობა. ფილოსოფიის ახლებური გააზრების შესაძლებლობა ზ. კაკაბაძეს მისცა არა მარტო ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ნიჭმა, არამედ აგრეთვე თანამედროვე კულტურის — მეცნიერების ღრმა ტენდენციების, ლიტერატურისა და ხელოვნების ბუნების — ადეკვატურმა გაგებამ. ზ. კაკაბაძეს შეუმცდარი მხატვრული ალღო ჰქონდა და მკაცრი მომთხოვნიც იყო სულიერი შემოქმედებისადმი. ამიტომ მისეულ შეფასებას დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ ხოლმე.

ზ. კაკაბაძის ყურადღების ცენტრში ადამიანის ყოფიერება იყო. ამიტომაც არ გამორჩენია მას ამ ყოფიერების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიც სამშობლოსადმი, მისი ისტორიისა და კულტურისადმი ადამიანის დამოკიდებულებაა. აქაც ზურაბი უაღრესად გულწრფელი იყო — ის თავისუფალი იყო ყალბი განდიდებისადმი ყოველგვარი მისწრაფებისაგან, რაც ზოგადსაკაცობრიო კულტურის მნიშვნელობის უარყოფაში იჩენს ხოლმე თავს, და ამავე დროს ის პირდაპირ და უკომპრომისოდ წინაღუდგებოდა ხოლმე ყოველივეს, რაც მას ერისა და ეროვნული კულტურისათვის საზიანოდ მიაჩნდა. ზ. კაკაბაძის დამოკიდებულება ერისა და ეროვნული კულტურისადმი არ იყო მხოლოდ თეორიული გააზრების შედეგი: ის იმით იყო განსაზღვრული, რომ მას ყოველი კულტურული ღირებულების აღქმის არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა და ამავე დროს სულითა და ხორცით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან, მის ბუნებასთან, მის ენასა და კულტურასთან. ამიტომ ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი მასში თანაგრძნობას და თანამოაზრეს პოულობდა, ხოლო პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებული შეზღუდულობა და მით უფრო ერის ღირსების შებღალვის ცდა — შეურიგებელ მოწინააღმდეგეს.

ზ. კაკაბაძის წიგნები, ლექციები, საუბრები, ყოველდღიური ცხოვრება მისი პიროვნების განუმეორებლობას ამჟღავნებდა. იგი ღრმად ხედავდა ფილოსოფიურ პრობლემებს და ამიტომ ულმობლად მკაცრი იყო პრობლემების ყალბი გადაწყვეტის შეფასებაში, მაგრამ მას ამავე დროს კარგად ესმოდა ფილოსოფიური პრობლემების მთელი სირთულე, ისიც იცოდა, რომ მათი გადაწყვეტის გაიოლებისაკენ მისწრაფებაში ადამიანური სისუსტე ვლინდება ხოლმე, ამიტომ მისთვის ფილოსოფიური ეჭვი და ფაქიზი ირონიაც იყო დამახასიათებელი.

ზ. კაკაბაძის უდროოდ წასვლა აუნაზღაურებელი დანაკლისია ფილოსოფიური მეცნიერებისა და კულტურისათვის, მაგრამ კიდევ უფრო დიდია მისი მეგობრების გულისტკივილი: მათ იციან, რომ დიდია ზ. კაკაბაძის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი წვლილი შეეძლო შეეტანა ზურაბს ერის კულტურის საგანძურში. ჯერ ძალზე მცირე დრო გავიდა, მაგრამ მის მეგობრებს მაინც გვაკვირვებს იმ გრძნობის სიცხოველე, თითქოს ზურაბი ისევ ჩვენს შორის იყოს. იქნებ ეს იმიტომაა, რომ სიკვდილის პირისპირ ადამიანებს ჩამოსცილდებათ ხოლმე ყოველივე ყალბი და მოჩვენებითი, ზურაბ კაკაბაძეში კი არ იყო არაფერი ყალბი და მოჩვენებითი. ეს გრძნობა ვერ აყუჩებს ტკივილს, მაგრამ მაინც გვანუგეშებს იმაზე ფიქრით, თუ რაოდენ ღირებული ყოფილა ჭეშმარიტი ადამიანის სიცოცხლე.

ზ. კაკაბაძე ადამიანის თავისუფლების, შემოქმედების, მისი განუმეორებლობის თანმიმდევრული დამცველი იყო და თავისი წასვლითაც კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, თუ რამდენად უნიკალური და შეუცვლელია ადამიანი. ზ. კაკაბაძის განუმეორებელი შემოქმედება ახალ და ახალ სტიმულებს მისცემს ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ განვითარებას, მაგრამ ვერავინ შექმნის იმ წიგნებს, რომელთა დაწერასაც ფიქრობდა ზურაბი. ვერაფერი შეგვივსებს ზ. კაკაბაძის წასვლით გამოწვეულ დანაკლისს: მით უფრო გვმართებს ყოველივე ვიღონოთ, რათა არ დაშრეს ქართული ფილოსოფიური აზროვნების წყარო, ჩრდილი არ მიადგეს მის სახელს, ვიზრუნოთ ფილოსოფოსთა ახალი თაობების იმგვარ აღზრდაზე, რომ მათ ნააზრევსაც ჰქონდეს თანამედროვე ჟღერადობა, რაც ასე დამახასიათებელი იყო ზ. კაკაბაძის შემოქმედებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლინებლად 1982 წლისათვის აცხადებს კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 200 მანეთის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად დეკემბერში ანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ახალგაზრდა მეცნიერებს საუკეთესო ნამუშევრებისათვის.

მედლები და პრემიები მიენიჭებათ ცალკეულ მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერალი ნამუშევრებისათვის (მეცნიერულ ნაშრომთა სერიისათვის ერთიანი თემატიკის მიხედვით), აღმოჩენებისათვის, გამოგონებებისათვის.

მედლებისა და პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცნიერი და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლები, მასწავლებლები, სტაჟიორ-მკვლევარები, ასპირანტები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 33 წელს.

კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ:

ა) სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს;

ბ) სამინისტროებს, უწყებებს;

გ) სამრეწველო საწარმოთა და საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკურ საბჭოებს.

ორგანიზაციები, რომელნიც წამოაყენებენ კანდიდატებს, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ოქტომბრისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილებაში წარწერით „საქართველოს სსრ მეცნიერეთაბა აკადემიის მედლის პრემიითურთ მოსაპოვებლად“ წარმოადგინონ:

ა) მოტივირებული წარდგენა, რომელიც შეიცავს ნამუშევრის მეცნიერულ დახასიათებას;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნამუშევრის (ნაშრომთა სერიის), აღმოჩენის ან გამოგონების მასალები 3 ეგზემპლარად;

გ) ცნობები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, აღმოჩენების, გამოგონებების სია, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, დაბადების წელი, ბინის მისამართი).

ცნობები ტელეფონით: 93-29-86, 93-88-89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

## გამომცემლობა „მეცნიერება“

**ფიდო ნადიბაიძე, ალეთოლოგიური რეალიზმის ძირითადი პრინციპები.**

რედაქტორი ვ. გოგობერიშვილი.

ნაშრომში გადმოცემული და გაანალიზებულია შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური კონცეფციის — ალეთოლოგიური რეალიზმის — ძირითადი პრინციპები, რომელთა მატერიალისტურ ინტერპრეტაციას ავტორი პრინციპულად გამორიცხავს.

144 გვ. ფასი 95 კაპ. ტირაჟი 1000.

**Тамаз Буачидзе, Гегель о сущности философии.**

**Редактор чл.-корр. АН ГССР Н. З. Чавчавадзе**

В книге исследуется понимание сущности философии Гегелем, критически анализируется гегелевское толкование проблем предмета и метода философии, отношения философии к различным отраслям культуры.

В работе дана попытка показать, что основной идеей гегелевского учения, обусловливающей решение философом всех фундаментальных вопросов, в частности, вопросов, связанных с проблемой сущности философии, является положение об абсолютном могуществе разума. В труде находит освещение целый ряд спорных вопросов, относящихся к проблеме предмета, метода и задачи философии.

Книга предназначена для специалистов и лиц, интеерсующихся вопросами философии.

159 с., цена 1 руб. 15 коп., тираж 1500

**გიორგი ცინცაძე, პიროვნება, დრო, განწყობა.**

რედაქტორი პროფ. ო. ტაბიძე.

ნაშრომის მიზანია გააშუქოს ადამიანის მთლიანში პიროვნების, დროისა და განწყობის ფენომენთა ადგილი და ურთიერთმიმართება. ავტორისათვის წამყვანია ადამიანის ჰუმანისტური გაგება: ადამიანი არა როგორც გვარეობითი ყოფიერება, არა როგორც მეტაფიზიკურის პროექტი, არამედ როგორც პირი და პიროვნება, როგორც მე, რომელიც იქმნება და ყალიბდება შენთან მიმართებასა და დიალოგში, შენის არსებობის აღიარებით. ასე გადის ერთეული ბოლოვადი არსება თავისსავე თავში სასრულობიდან და იძენს ყოფიერებას, იმ სახეს, რომელიც მას კი არა აქვს, არამედ ყოველთვის ხელახლა მოსაპოვებელია და ამოცანაა, მომავალი ყოფნის მიზანია.

ადამიანი, როგორც მომავალი ყოფნა, მიემართება თავის თავს, რომელიც, ამ მიმართებით გასაგნებული, არის უკვე წარსული, და შექმნის თავის აწმყო ყოფნას. ამიტომ პიროვნება არის დროული ყოფნა — მომავალი, რომელიც წარსულიდან ქმნის აწმყოს.

ყოფნა, რომელიც წარმოადგენს დროულობის ინკარნაციას, არსებობს როგორც განწყობა — პრეზენცში დაფიქსირებული ცოცხალი ხანიერობა. რადგანაც პიროვნება ყოველთვის თავის თავზე ადრეა, ამიტომ იგია ამავე დროს პრეზენცის, იმავე განწყობის გამრღვევი არსება მომავლის ყოფნის განწყობით.

240 გვ. ფასი 1 მან 50 კაპ. ტირაჟი 2000.

**ო. ჯიოევი, კიტა მეგრელიძე.**

რედაქტორი ნ. ჭავჭავაძე.

ბროშურაში ავტორი მკითხველს აცნობს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კიტა მეგრელიძის (1900—1944) ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ახასიათებს მის შეხედულებებს აზროვნების სოციალურ ბუნებაზე, რომლებიც XX საუკუნის მეცნიერების პერსპექტიული მიმართულებების მთლიანობითი კომპლექსური, სისტემურ-სტრუქტურული განხილვის — განზოგადებასა და გამოყენებას ემყარება, არკვევს კ. მეგრელიძის ადგილს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში, გამოავლენს მისი მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობას აზროვნებისა და კულტურის ფილოსოფიური პრობლემის შემდგომი დამუშავებისათვის.

61 გვ., ფასი 25 კაპ., ტირაჟი 2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

**სარედაქციო კოლეგია**

615/122

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 85 კაპ.

ინდექსი 76195